მართლმადიდებელ მრევლს ვულოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 10 აპრილი, 2004 წელი. №85 (634)

ფასი 50 თეთრი

### კულუარები

## საუბრები სახელმწიფო კანცელარიაში

პარლამენტის პირველი სხდომები არც ისე უხმაურო იქნება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. კულუარებში ამბობენ, რომ პრობლემატურად ჩაივლის მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურა. ამასთან, რამდენიმე პარლამენტარი პროკურატურიდანაც მიიღებს უწყებას...

A3

### ეკონომიკა

## საქართველო ყოველწლიურად ათასობით ტონა ტრანზიტულ ტვირთს კარგავს

შესაძლოა, მალე საქართველომ სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი დაკარგოს. ასეთ დასკვნას ქართველი ექსპედიტორები საკუთარი ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად აკეთებენ. ქვეყანაში არსებული ბიუროკრატია, უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი და არაკონკურენტუნარიანი ტარიფები გადამზიდავ კომპანიებს ყოველწლიურად ათასობით ტონა ტვირთს აკარგვინებს.

A4

### უცხოეთი

## ბაღდადის დაცემის წლისთავი და ერაყელთა გაერთიანება

2004 წლის 9 აპრილი, ბაღდადის დაცემის დღე, ერაყელმა ამბოხებულებმა აქამდე არნახული ბრძოლებით და თავდასხმებით აღნიშნეს. დღეს ერაყის თითქმის ყველა ქალაქში უკვე ფრონტის ხაზი გადის.

A5

### საზოგადოება

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ანატოლი სობჩაკის ბიუსტის გახსნაზე

A6

### სამართალი

## მოსკოვში ქართველ "კანონიერ ქურდებს" ანტიკრიმინალურ ოპერაციებს უწყობენ

ФСБ-ს თანამშრომლებმა მოსკოვში დააკავეს ორი ქართველი "კანონიერი ქურდი" - 32 წლის გოჩა ჯინჭარაძე, რომელიც კრიმინალურ სამყაროში "ბილი"-სა და "ყურშა"-ს ზედმეტსახელითაა ცნობილი და 33 წლის გელა კულეჯიშვილი, ზედმეტსახელად - "შავი გელა".

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☼ |
| ქუთაისი | 26 | ☼ |
| ბათუმი | 24 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |
| ფოთი | 25 | ☼ |
| თელავი | 22 | ☼ |
| ზუგდიდი | 26 | ☼ |
| გორი | 22 | ☼ |
| ახმეტა | 23 | ☼ |
| ჭიათურა | 24 | ☼ |
| გაგრა | 23 | ☼ |
| სამტრედია | 26 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4363 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6840 |
| რუბლი | 0.0701 |

# 9 აპრილის მონუმენტი 1 სექტემბერს გაიხსნება

ვერიკო თევზაძე

წელს, პირველ სექტემბერს, მთავრობის სასახლის წინ აღიმართება 9 აპრილს დაღუპულთა მონუმენტი. ეს განცხადება გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანატოლი სობჩაკის ძეგლის გახსნისას გააკეთა.

სააკაშვილის აზრით, თბილისში სობჩაკის ძეგლის გახსნა არის ქართველი ხალხის ღირსების გამოხატულება, რომელსაც შეუძლია **"დააფასოს და სათანადოდ აღნიშნოს სხვა ერების წარმომადგენელთა ღირსება".**

რაც შეეხება 9 აპრილს დაღუპულთა მონუმენტს, მასზე ახალი კონკურსი გამოცხადდება. პრეზიდენტის განმარტებით, წინა კონკურსში გამარჯვებული ნამუშევარი **"არ შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს. მე დღეს ვავალებ მერიას და შესაბამის სამსახურებს, რომ პარლამენტის წინ დაიდგას გრანდიოზული ძეგლი, როგორც სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა. 9 აპრილი, პირველ რიგში, საქართველოს ერთიანობის ზეიმია."**

რატომ უნდა დაიდგას 9 აპრილს დაღუპულთა ძეგლი პირველ სექტემბერს? - **"იმიტომ, რომ ეს არის სასწავლო წლის დაწყების დღე და მინდა, ბავშვებს, მომავალ თაობებს გადაეცეს ეს ტრადიცია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მათ იცოდნენ, რომ სახელოვანი წინაპრები ჰყავდათ",** - ასე ფიქრობს საქართველოს პრეზიდენტი.

ანატოლი სობჩაკის ქვრივმა ლუდმილა ნარუსოვამ გუშინ განაცხადა, რომ 9 აპრილის ტრაგედიის გამო საქართველო და რუსეთი ერთმანეთთან კონფრონტაციაში არ უნდა შევიდნენ. ნარუსოვას აზრით, პირიქით, დაღუპულთა ხსოვნა წესიერ პოლიტიკოსებს ავალებს, დახმარების ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. ლუდმილა ნარუსოვამ, როგორც რუსეთის მოქალაქემ, ქართველ ხალხს გუშინ ბოდიში მოუხადა დემონსტრანტების წინააღმდეგ მომწამვლელი გაზის, ტანკებისა და ორლესული ნიჩბების გამოყენების გამო, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა.

ნარუსოვამ საქართველოს ხელისუფლებას სობჩაკის ძეგლის გახსნისთვის მადლობა გადაუხადა.

# წინათ კი ნიჭი იყო საჭირო

მაია ჭალაგანიძე

*1949 წელი იდგა, როდესაც მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირში პირველად წაიკითხა თავისი ლექსები. ეს მას გიორგი შატბერაშვილმა ძალით "ჩაადენინა", რადგან 20 წლის პოეტი ფიქრობდა, რომ მის ლექსს ვერავინ გაიგებდა. ეს სწორედ ის ეროვნული სულით განმსჭვალული ლექსები იყო, რომელთაც "ანტისაბჭოთა" ეწოდა და რის გამოც აკრძალული პოეტის ხვედრი ერგო. სწორედ ამ აკრძალვამ მოუტანა ბატონ მუხრანს პირველი და დიდი პოპულარობა. ზუსტად 75 წლის წინ მუხრან მაჭავარიანი საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთაში დაიბადა. ერთი წლის ყოფილა, როდესაც მშობლებმა საცხოვრებლად თბილისში გადმოიყვანეს. ცხოვრობდნენ ვერაზე, არაგვის ქუჩაზე. სწავლობდა მე-7 ვაჟთა (ახლა 53-ე) სკოლაში. მერვე კლასში კი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსისთვის პირველი ჰონორარი - კოსტიუმის ორდერი მიიღო...*

*12 აპრილს მუხრან მაჭავარიანი 75 წლის ხდება. ეს დიდი დრო და ბევრი მოვლენებია. სად, რატომ და როდის უნდა იდგეს პოეტი - ამის შესახებ თავად*

გაგრძელება B1 გვერდზე



გოგიტა ბახაძის ფოტო

*მუხრან მაჭავარიანი.*

# თენგიზ ასანიძე პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლას აპირებს

*ასლან აბაშიძემ აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში წლობით გამოკეტილი თენგიზ ასანიძის გარდაუვალი გათავისუფლებისგან დროში გაწელილი, გაურკვევლობის ბურუსით მოცული მოვლენის შექმნა მაინც მოახერხა.*

თუ წამებაა, ბარემ ბოლომდე - სწორედ ასე შეიძლება მოკლედ დახასიათდეს აჭარის ადგილობრივი ხელისუფალის დამოკიდებულება მისი "პირადი ტუსაღის" მიმართ.

თავისი ახლო ნათესავის, ბათუმის ყოფილი მერისა და ბათუმისვე თამბაქოს ქარხნის ყოფილი დირექტორის თენგიზ ასანიძის მიმართ ასლან აბაშიძეს რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მისი პატიმრობის მიღმა არა ჩადენილი დანაშაულისთვის დასჯის სურვილი, არამედ პირადი ინტერესები იმალებოდა, ეს უკვე არაერთხელ გამოვლინდა. თუმცა, აჭარის ლიდერმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ თავის დროზე გამოცემული ასანიძის შეწყალების განკარგულებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად სტრასბურგის სასამართლოს განაჩენიც თენგიზ ასანიძის გათავისუფლების შესახებ ტენდენციურად მიიჩნია, მაგრამ

გაგრძელება A7 გვერდზე

# სააღდგომოდ მათზე, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს

ნინო ცინცაძე

**ცერებრული დამბლა: თავის ტვინის განვითარების დარღვევა მუცლადყოფნის პერიოდში. შესაძლოა, განვითარდეს მშობიარობის ან ადრეულ ნეონატალურ პერიოდში; ძირითადად, გამოიხატება მოძრაობის დარღვევაში; შეიძლება თანხვდებოდეს მეტყველების, მხედველობის, სმენის დარღვევა და ეპილეფსიური გულყრები. სიხშირე: 2-4 ყოველ 1000 ახალშობილზე. უმრავლეს შემთხვევაში მენტალური სფერო შენახულია. თუ საქმე თავის ტვინის საკმაოდ მძიმე დაზიანებასთან არ გვაქვს, რაც იშვიათია, ასეთ ბავშვებს ძალიან კარგი ინტელექტუალური უნარები აქვთ და თუ ასეთი ადამიანების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია სწორედ და დროულად მოხდა, ისინი საზოგადოებასთან აბსოლუტურად ადაპტირებულნი ხდებიან.**

კასპის ბავშვთა სახლში ცერებრუ-

გაგრძელება A8 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*კასპის ბავშვთა სახლის ბინადრები.*

## "ბელადის" პრობლემა

### რა ელით საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულ პარტიებს?

გიორგი ასანიშვილი

*28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 16 პოლიტიკური სუბიექტიდან მხოლოდ ორმა ("ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები" და "მრეწველები-ახლები") შეძლო შვიდპროცენტიანი "მწვერვალის დაპყრობა". მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე დამარცხებულებიდან ბევრი საბოლოოდ გაკოტრდება და არსებობას დაასრულებს.*

გამორიცხული არ არის, ასეთი უსიამოვნო ხვედრი პირველად "აღორძინებას" ერგოს. ერთი შეხედვით, ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული პარტიის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, ისიც ცხადია, რომ მისი მომავალი მთლიანად ასლან აბაშიძის პოლიტიკურ კარიერას უკავშირდება - საკმარისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ფეხი დაუცდეს და საქმე ცუდად წაუვიდეს, რომ "აღორძინების" დღევანდელი ექვსპროცენტიანი მაჩვენებლიდან 0,6 პროცენტიც აღარ დარჩება. საერთოდ, ასეა: დიდი თუ პატარა ბელადების გარშემო "დარაზმული" ხალხის ერთიანობა უმალ ირღვევა, როგორც კი მათ კერპს კვარცხლბეკი შეერყევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## აჭარლების ჩასახლება წალკაში ორგანიზებულ სახეს მიიღებს

მაია მოსიაშვილი

**"მალე აჭარლების ჩასახლებას წალკაში ორგანიზებული სახე მიეცემა და ჩვენ ამაში დაგვეხმარებიან ჩვენი მეგობრები აჭარიდან, ასევე - საბერძნეთის საელჩო. მართალია, წალკაში ჩასახლებულებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არის პრობლემები, მაგრამ ისინი საყოფაცხოვრებო, სოციალურ ხასიათს ატარებს და ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, უახლოეს პერიოდში მოგვარდება,"** - განაცხადა გუშინ ქვემო ქართლის გუბერნატორმა სოსო მაზმიშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე, რომელსაც ორგანიზაცია "ჩვენი აჭარას" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათი მხრიდან განცხადება მიხეილ მახარაძემ გააკეთა. მან დაადასტურა, რომ წალკის პრობლემას რელიგიური ნიადაგი არ აქვს და იქ ჩასახლებულ აჭარელებს ადგილობრივებთან, განსაკუთრებით კი ბერძნებთან, ძალიან კარგი ურთიერთობები აქვთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები, შესაძლოა, გაუარესდეს

ზულფუგარ აგაიევი

*ევრაზიანეტ.ორგ*

ცოტა ხნის წინ მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესს ზიანი მიადგა, როდესაც პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი საერთოდ შეწყვეტს მოლაპარაკებებს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი სომხეთთან საზღვარს გახსნის. უკანასკნელი თვეების განმავლობაში აზერბაიჯანის მთავარმა მოკავშირე თურქეთმა საერთაშორისო საზოგადოებას მიანიშნა, რომ მას სომხეთთან 11 წლიანი ბლოკადის მოხსნა სურს. თურქეთის გადაწყვეტილებაზე გავლენა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილმა მოახდინა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეპორტაჟი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 გულახდილად | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ტრანსპორტის მოძრაობა 11-12 აპრილს

### ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგზაო პოლიციის სამმართველოს პრესცენტრის განცხადება

ქ. თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს ცნობით, 2004 წლის 11, 12 აპრილს დედაქალაქის ეკლესია-მონასტრებში და სასაფლაოებზე რელიგიურ დღესასწაულ "აღდგომასთან" დაკავშირებით მოსალოდნელია მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრა, ავტოტრანსპორტის მოზღვავება და ქუჩების ჩახერგვა.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ქ. თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველო და რაიონული საგზაო პოლიციის თანამშრომლები დედაქალაქის ძირითად სასაფლაოებზე (მუხათგვერდი, კუკია, ვერა, საბურთალო) განახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს, რის მიხედვითაც:

1. კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩიტაიას ქუჩიდან ქვალონის ქუჩამდე და ქვალონის ქუჩიდან თბილისის ზღვისკენ მიმავალ უსახელო გზამდე ტრანსპორტი იმოძრავებს ცალმხრივი მიმართულებით;

2. ცალმხრივი მოძრაობა დაწესდება აგრეთვე საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის ქუჩიდან. თამარაშვილის ქუჩიდან ძმათა სასაფლაოს შესახვევამდე და სანდრო ეულისა და ჯიქიას ქუჩების გადაკვეთამდე;

3. მუხათგვერდის სასაფლაოს მიმართულებით ტრანსპორტი ცალმხრივად იმოძრავებს დ. აღმაშენებლის ხეივნიდან ფარნავაზ მეფის გამზირის გადაკვეთამდე, თვით სასაფლაოს ტერიტორიაზე კი დაწესდება წრიული მოძრაობა.

ქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველო თხოვნით მიმართავს ადგილობრივ მოსახლეობას და დედაქალაქის სტუმრებს, გაგებით მოეკიდონ განცხადებაში აღნიშნულ მინიშნებებს, რათა სადღესასწაულოდ თავიდან ავიცილოთ საცობებისაგან გამოწვეულ ჩახერგილ და გაუვალ ქუჩებში საათობით დგომა.

## ყაჩაღები დააკავეს

სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში მოქმედი სამარშრუტო და კერძო ტაქსების მძღოლებსა და მგზავრებზე ყაჩაღურ თავდასხმებში "სპეციალიზებული" ყაჩაღური ჯგუფის წევრები: ვარკეთილი-3-ში რეგისტრირებული, დროებით ნიკო მარის ქუჩაზე მცხოვრები, ნასამართლევი, 19 წლის ჯემალ მგოიანი, მეტსახელად - "ლაპშა" და ვარკეთილი -3-ში მცხოვრები, ნასამართლევი, 20 წლის სერგო მალახოვი, მეტსახელად - "გოხა".

კერძოდ, 2004 წლის 4 თებერვალს, დღის საათებში, მალახოვი და მგოიანი პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან ყაჩაღურად თავს დაესხნენ კარინა ჩილინგარიანს, რომელსაც დანისა და საფანტის პისტოლეტის მუქარით გასტაცეს ოქროს ყელსაბამი და 50 ლარი.

2004 წლის 12 თებერვალს მგოიანმა საფანტის პისტოლეტის მუქარით მეტრომშენის დასახლებაში, მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში მცხოვრებ, 82 წლის დავით კბილაშვილს ყაჩაღურად გასტაცა მისი კუთვნილი ავტომანქანა "ვაზ-21".

ავტომანქანა ამოღებულია.

2004 წლის 3 თებერვალს მგოიანი და მალახოვი პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღურად თავს დაესხნენ კერძო ტაქსის მძღოლ უშანგი გორჯოლაძეს, რომელსაც პისტოლეტისა და დანის მუქარით გასტაცეს 30 ლარი და ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონი, რის შესახებაც დაზარალებულს დღემდე პოლიციაში არ განუცხადებია. დაკავებულებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს.

ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათი თანამონაწილეების დადგენა-დაკავებისა და მათ მიერ ჩადენილი სხვა ყაჩაღური თავდასხმების დადგენის მიზნით.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამსახური.

*მედია-ნიუსი*

## ციხიდან გაქცევები - სამართალდამცველთა საბოტაჟის შედეგი

იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი შარშან ციხეებიდან პატიმართა გახშირებულ გაქცევებს სამართალდამცავ უწყებებს უკავშირებს და აცხადებს, რომ იუსტიციისა და შს სამინისტროებს შორის დაპირისპირების გამო, სამართალდამცველები საბოტაჟს უწევდნენ პენიტენციალურ სისტემას და ხელს უწყობდნენ არეულობას სასჯელაღსრულების სისტემაში.

**"ის, რომ პატიმართა გაქცევები შეწყდა, არ ნიშნავს იმას, რომ ციხეებში უსაფრთხოების თვალსაზრისით იდეალური სიტუაცია შეიქმნა. მძიმე მდგომარეობაშია სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუმცა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ არ მოხდეს სარეჟიმო დარღვევები"**, - აცხადებს პაპუაშვილი.

მისივე თქმით, დღეისათვის ყველა სამთავრობო უწყება კოორდინირებულად მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს პენიტენციალური სისტემიდან 150-ზე მეტი პატიმარი გაიქცა. ბოლო და რეკორდული გაქცევა რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 2003 წლის 10 სექტემბერს მოხდა. ამ გაქცევის შემდეგ იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი თანამდებობიდან გადადგა. გუშაგი, რომელიც გაქცევის დროს კოშკურაზე იდგა და ამჟამად სამსახურებრივი გულგრილობის გამო საპატიმროში იმყოფება, აცხადებს, რომ 10 სექტემბრის არეულობა გუშაგის მკვლელობით დაიწყო, რომელიც გარედან ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. ამ ფაქტზე გამოძიებას ატარებს სასჯელის აღსრულების ადგილებში კანონიერებაზე ზედამხედველობის პროკურატურა.

*მედია-ნიუსი*

## აბაშიძის გარემოცვა სროლას სწავლობს

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ასლან აბაშიძის მხარდამჭერი ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები სპეციალიზებულ სასროლეთზე ინტენსიურ წვრთნებს გადიან. იმავე წყაროს ცნობით, ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე არსებულ დახურულ სასროლეთზე ყოველდღიურად ვარჯიშობენ ავტონომიის სხვადასხვა სტრუქტურებში მოღვაწე თითქმის ყველა რანგის თანამშრომლები. სასროლეთის თანამშრომლების ინფორმაციით, აბაშიძის მხარდამჭერი მაღალჩინოსნები სასროლო საქმეში უნარ-ჩვევებს სხვადასხვა ტიპის პისტოლეტებისა და ავტომატური ცეცხსასროლი იარაღის გამოყენებით იუმჯობესებენ.

*ინტერ-პრესი*

## ეკუმენური მსვლელობა ჯვრით თბილისში



*ეკუმენური მსვლელობა ვნების პარასკევს.*

9 აპრილს, ვნების პარასკევს, თბილისის ქუჩებში მოეწყო ეკუმენური მსვლელობა ჯვრით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა ქრისტიანული ეკლესიის სასულიერო პირებმა და მორწმუნეებმა. ხის დიდ ჯვარს მორიგეობით დაატარებდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, თბილისის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი ბერნანდინ სიდეროვსკი, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის წარმომადგენელი მღვდელი ელიშე, ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელი საქართველოში, პასტორი ჰარი აზიკოვი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების ფედერაციის ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმსახურნი: დეკანოზი ბასილ კობახიძე და მღვდელი ზაზა თევზაძე.

მსვლელობის მონაწილენი რიგ-რიგობით ჩერდებოდნენ და ლოცულობდნენ თბილისის კათოლიკურ, სომხურ, ლუთერანულ და ბაპტისტურ ეკლესიებში. ჯვრით მსვლელობის მონაწილეებს საქართველოს საპატრიარქომ არ მისცა ოფიციალური უფლება მართლმადიდებლურ ეკლესიებში შეჩერების და ლოცვისა.

დამაგვირგვინებელ ეტაპზე მსვლელობას საქართველოს განათლების მინისტრი კახა ლომაია და საქართველოს მთავრობის აპარატის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე შეუერთდნენ.

**"ქრისტეს ვნებანი ყალბი ემოციებისა და არტისტიზმის გარეშე უნდა განვიცადოთ",** - განაცხადა თავის ქადაგებაში დეკანოზმა ბასილ კობახიძემ, - **„ამიტომ, მოდით, უპირველეს ყოვლისა, ვიგლოვოთ იმ დევნებზე, რაც ჩვენგან, ქრისტიანებისგან განიცადა საუკუნეების მანძილზე ებრაელმა ხალხმა. დღეს, ვნების კვირას მოვინანიოთ ანტისემიტიზმი და ამ მონანიების ჭრილში ვიხილოთ მაცხოვრის გარდაცვალება."**

ეკუმენური მსვლელობა ევანგელისტურ-ბაპტისტურ საკათედრო ტაძარში მელ გიბსონის ფილმის "ქრისტეს ვნებანის" ჩვენებით დასრულდა.

## აჭარლების ჩასახლება წალკაში ორგანიზებულ სახეს მიიღებს

პირველი გვერდიდან

გუშინდელი ბრიფინგი იმ ამბის დასკვნითი ნაწილი იყო, რომელიც ერთი კვირის წინ დაიწყო: ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მხარის უშიშროების სამსახურის უფროსმა შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. მან თქვა, რომ სააღდგომოდ წალკაში ბრუნდებიან საბერძნეთში მცხოვრები წალკელი ბერძნები და ისინი წინასწარ იმუქრებიან საკუთარი სახლების გადაწვით იმ შემთხვევაში, თუ იქიდან უნებართვოდ შესული ჩასახლებულები არ გამოვლენ. იმავე თათბირზე, უშიშროების ინფორმაციის კომენტირებისას, გუბერნატორს ეჭვქვეშ არ დაუყენებია მისი რეალობა, უფრო მეტიც, არ გამორიცხა არა მარტო ეთნიკური, არამედ რელიგიური დაპირისპირების საშიშროებაც მაჰმადიან აჭარლებსა და ქრისტიან ბერძნებსა და სომხებს შორის.

გუშინ გუბერნატორმა ხაზგასმით საპირისპირო რამ განაცხადა - რომ არ იცის, რატომ გააკეთა უშიშროების სამსახურმა ეს განცხადება და რომ ის არ არის რეალურ საფუძველზე აგებული ვერსია.

როგორც ბრიფინგიდან გაირკვა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხულოსა და შუახევის რაიონებიდან მოსახლეობის წალკაში ჩასახლებისთვის ხელის შეწყობა და მათთვის საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვა. წინასწარი ინფორმაციით, ამის მსურველი ათასზე მეტი ოჯახი უკვე არსებობს. რატომ ეტანებიან აჭარლები ასე ძალუმად "საქართველოს ციმბირად" წოდებულ წალკას? ამ კითხვაზე "ჩვენი აჭარას" წარმომადგენლები პასუხობენ, რომ ხულოსა და შუახევში ხალხი ძალიან სწრაფად მრავლდება და იქ მათ დასასახლებლად ადგილები აღარ ჰყოფნით, წალკა კი კლიმატით და სოფლის მეურნეობის დარგებით ძალიან ჰგავს მათ ძველ საცხოვრებელს.

მიხეილ მახარაძე "ჩვენი აჭარადან" არ უარყოფს, რომ წალკაში აჭარულ და სომხურ სოფლებს შორის ჯგუფური დაპირისპირებები ხშირია, მიზეზად კი მიწას ასახელებს. როგორც ჩანს, სომხებს არ მოსწონთ, რომ თავისუფალ მიწას აჭარლები იკავებენ, ის აჭარლები, რომლებიც ძალიან სწრაფად მრავლდებიან... ამ ფონზე რა ბერკეტებს ფლობს სახელმწიფო, რომ კონფლიქტი წალკაში კიდევ უფრო არ გაღრმავდეს?

**"სამართლიანობა არის ყველაზე დიდი ბერკეტი. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს და, რაც მთავარია, უნდა მოხდეს მიწების სწორი გადანაწილება, რაც წალკის პრობლემას მთლიანად აღმოფხვრის,"** - აცხადებს ქვემო ქართლის გუბერნატორი.

## ღარიბ ქვეყანათა ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ღარიბ ქვეყანათა ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი თვითდასაქმებულია და ხელფასს სახელმწიფოსგან არ იღებს.

სიღატაკის ზღვართან მიახლოებულ ქვეყანათა ჩამონათვალშია: სომხეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ბელორუსი, ყაზახეთი. პირველი ადგილები უკავიათ: მოლდოვას, ტაჯიკეთს, ზამბიას, ჰაიტისა და ლიბიას.

ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა შორის ჭარბობს 25-დან 50 წლამდე პირები, შემდეგ მოდიან 50 წელს გადაცილებული და 15-24 წლის უმუშევრები.

დიფერენცირებულია საარსებო მინიმუმიც, რომელიც საშუალო ხელფასის (100-150 ლარი) პირობებშია გაანგარიშებული.

*მედია-ნიუსი*

## გურჯაანში მეზობელმა მეზობელი მოკლა

გურჯაანის რაიონში კრიმინალური ვითარება კვლავ დაიძაბა. ამ ყველაფრის მიზეზად უკვე ფერადი ლითონების ვაჭრობა სახელდება. მკვლელობა, რომელიც გუშინწინ საღამოს მოხდა, სწორედ ლითონის მოპარვის ფაქტს უკავშირდება. გურჯაანში მცხოვრებმა გიორგი ქიტიაშვილმა ვახტანგ ბოტკოველი საკუთარი სახლის წინ მოკლა. **"როგორც ჩვენ მკვლელის ოჯახის წევრებმა გვითხრეს, რამდენიმე წლის წინ ვახტანგ ბოტკოველმა ალუმინი მოიპარა. თუმცა, ეს ჯერჯერობით ვერსიაა,"** - ამბობს პროკურორის თანაშემწე გაიოზ სამნიაშვილი. მკვლელობა მაკაროვის სისტემის იარაღით მოხდა. როგორც გამოძიება ამტკიცებს, მკვლელს პისტოლეტი ოფიციალურად აქვს გაფორმებული, თუმცა, ქუჩაში ტარების უფლება არ ჰქონდა. წინასწარი მოკვლევის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ქიტიაშვილმა დანაშაული ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. **"რაც შეეხება გარდაცვლილ ბოტკოველს, იგი თავის დროზე ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს,"** - ამბობს სამნიაშვილი. ამჯერად, მომხდართან დაკავშირებით ძიებას რაიონის პროკურატურა აწარმოებს. ქიტიაშვილის მიმართ კი ძებნაა გამოცხადებული.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

## საქართველო ამერიკის ვალის გადახდას 2012 წლიდან დაიწყებს

1999-2003 წლებში დაგროვილი საგარეო ვალების დაფარვას საქართველო 2005 წლიდან დაიწყებს. ამერიკის შეერთებული შტატების ვალს კი, რომელიც 241,1 მილიონ დოლარს შეადგენს, 2012 წლიდან გაისტუმრებს. დღეისათვის საქართველოს საგარეო ვალი ორ მილიარდ დოლარს აღემატება.

2003 წლის ბიუჯეტმა ვალის მომსახურებაზე 124.6 მილიონი ლარი გაიღო. აქედან 76,6 მილიონი - ვალების საპროცენტო მომსახურებაზე, 48 მილიონი კი - ძირითადი თანხის მომსახურებაზე.

ამ პერიოდში რესტრუქტურიზაციის რეჟიმში 1999 წლის პირველ ნოემბრამდე აღებული ვალები მოხვდა. ამ გადაწყვეტილებით, საქართველო 2001 წლის პირველი იანვრიდან 2003 წლის პირველ იანვრამდე, კონსოლიდაციის პერიოდში (1999-2003 წლები) თავისუფლდებოდა ვალისაგან.

რესტრუქტურიზაციის შემდეგ მიღებული შეღავათები ასეთია: 2001 წელს საქართველომ (131,6 მილიონი დოლარის ნაცვლად) 17,9 მილიონი გადაიხადა, 2002 წელს კი, 144,4 მილიონის ნაცვლად - 16,9 მილიონი.

*მედია-ნიუსი*

## პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის დელეგაცია მიიღო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ანატოლი სობჩაკის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსულ რუსეთის 42-კაციან დელეგაციას შეხვდა. თუმცა, ანატოლი სობჩაკის მეუღლე პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ვერ მივიდა. როგორც შეხვედრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, საქართველოში ქართველები 9 აპრილს სიამაყითა და სიმწრით იხსენებენ. "ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენმა დელეგაციამ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა, ჩვენ კი ანატოლი სობჩაკის ძეგლის დადგმა მოვახერხეთ, რადგან მიმაჩნია, რომ ანატოლი სობჩაკი ადამიანური ღირსების განსახიერებაა და მას სხვისი ჭირი საკუთარივით ესმოდა", - აღნიშნა ბურჯანაძემ. მისივე განცხადებით, რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული კულტურული ურთიერთობები აუცილებლად შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციას.. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების განცხადებით კი, ისინი ბედნიერები არიან იმით, რომ საქართველოში ანატოლი სობჩაკის ძეგლი გაიხსნა, რაც უდიდესი პატივისცემის გამოხატულებაა ქართველი ხალხის მხრიდან.

*ინტერ-პრესი*

## სოხუმი აკვატორიაზე კონტროლს ამკაცრებს

სოხუმის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების განცხადებას აფხაზეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში კონტრაბანდული საქონლის შეტანის თაობაზე და აფხაზეთის აკვატორიაზე კონტროლს ამკაცრებს. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარისათვის გაუგებარი და მიუღებელია საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, თითქოს ქართული მხარის კონტროლს დაუქვემდებარებელი ტერიტორიებიდან საქართველოში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონელი ხვდება. მისივე თქმით, აფხაზეთი, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, "უკვე 9 წელია, თავისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ბლოკადის, ბაბუშერის აეროპორტის უმოქმედობისა და სოხუმის საზღვაო პორტის არასრული დატვირთვის პირობებში ცდილობს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების მოსმენისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თბილისში ავიწყდებათ, რომ აფხაზეთს 10 წელზე მეტია, დამოუკიდებლობა აქვს გამოცხადებული და საშინაო და საგარეო საქმეებს დამოუკიდებლად წარმართავს. ამასთან, ბლოკადის გამო ჩვენ საკუთარი პრობლემების მოგვარება შემოვლითი გზებით გვიწევს,"- განაცხადა შამბამ, რომლის თქმით, "რომ არა აფხაზური ხელისუფლების აქტიურობა, აფხაზეთის მოსახლეობას უკიდურეს სიღარიბესა და სიდუხჭირეში მოუწევდა ცხოვრება".

*ინტერ-პრესი*

## აბაშიძე სასამართლოთი უკმაყოფილოა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას "არაობიექტურს" უწოდებს და ცესკოს დადგენილების გასაჩივრებას შემდგომ ინსტანციაზე აპირებს. "იმედი მქონდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლო "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" სარჩელს დააკმაყოფილებდა, თუმცა პირიქით მოხდა. ახლა კიდევ ერთი ინსტანციაა დარჩენილი, თუმცა ილუზია ობიექტურობისა აღარ გამაჩნია," — აცხადებს ასლან აბაშიძე, რომელიც სასამართლოთა არაობიექტურობის მიზეზად ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს მიიჩნევს.

*მედია-ნიუსი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №234

*2004 წლის 22 მარტი ქ. თბილისი*

გ. ქარქაშაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გურამ ქარქაშაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის თანამდებობიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №398

*2004 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი*

ნ. თათარაშვილის საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - "მთავარი არქმშენინსპექციის" უფროსად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ნესტან თათარაშვილი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - "მთავარი არქმშენინსპექციის" უფროსად.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №400

*2004 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი*

ნ. ცაგარეიშვილის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ნუგზარ ცაგარეიშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

*ზურაბ ჟვანია*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთისა და სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას დაღუპულთა მემორიალთან - "სიცოცხლის ხესთან", "ალექსანდროვის ბაღში", 9 აპრილს, 04.00 საათზე პატივი მიაგეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** 9 აპრილის აღმნიშვნელმა ცერემონიამ ბათუმში ასლან აბაშიძის გარეშე ჩაიარა. წინასწარი ინფორმაციით, უნივერსიტეტის ბაღში, 9 აპრილის ძეგლთან აჭარის ლიდერი 11.30 საათზე უნდა მისულიყო. მას ელოდებოდა დაცვა და ცერემონიალში მონაწილე საპატიო ყარაული, თუმცა ცერემონიამ აჭარის მეთაურის გარეშე ჩაიარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ქვეყნის ყოფილ და ახალ ხელისუფლებას 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნისადმი უპატივცემულობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ქვეყნის პირველმა პირებმა 15 წლის განმავლობაში 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მემორიალი "ვერ აღირსეს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ მდებარე 9 აპრილის მემორიალი ედუარდ შევარდნაძემ ყვავილებით შეამკო. "ის, რაზეც ოცნებობდნენ 15 წლის წინათ დაღუპული ადამიანები და რასაც, პრაქტიკულად, თავი შეწირეს, აღსრულდა: დამოუკიდებელი სახელმწიფო აშენდა... და ეს არის ყველაზე უკეთესი ძეგლი, რომლის დადგმაც შეიძლებოდა მათთვის," - განაცხადა შევარდნაძემ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ ჭიათურაში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ტიტულისთვის ერთმანეთს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი თენგიზ მოცრაძე და "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი იასონ ჭუმბურიძე დაუპირისპირდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 9 აპრილის მემორიალი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ მოინახულა და დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად სანთელი დაანთო. 9 აპრილი იმდენად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისთვის, რომ ის ყველას უნდა ახსოვდეს. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას," - თქვა ბურჯანაძემ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მიხაილ გორბაჩოვის ფონდში აცხადებენ, რომ გაკვირვებულები არიან უფლებების ქართველ დამცველთა რეაქციით, რომლებიც თბილისში სსრკ-ის პრეზიდენტის შესაძლო ჩასვლას აპროტესტებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეული 129 კაცის შემადგენლობით 12 აპრილს სპეციალური მოსამზადებელი კურსის გასავლელად გერმანიის ქალაქ აუსბერგში გაემგზავრება. აუსბერგიდან კი ასეული სრული შემადგენლობით ჩავა კოსოვოს ქალაქ პრიზრენში, სადაც გერმანულ-იტალიური ბრიგადის შემადგენლობაში ექვსთვიან სამშვიდობო მისიას შეასრულებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინდელ სხდომაზე ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქში გამარჯვებულ მაჟორიტარად ცნო "ნაციონალური მოძრაობის" წევრი სოფიო ლარცულიანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმსა და ქობულეთში დანიშნულ მაჟორიტარი დეპუტატების ხელახალ არჩევნებში "აღორძინება" თავისი კანდიდატების წარდგენას კვლავ აპირებს. როგორც თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განაცხადა, პარტია დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში კვლავ გამარჯვებას მოიპოვებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "სამართალმემკვიდრენი მხოლოდ ჩვენ ვართ"

## ცრემლები და პოლიტიკური განცხადებები მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში

გუშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ზუსტად 12 საათზე, საქართველოს ჰიმნი აჟღერდა და იქ შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად აღმართა მარჯვენა მუშტი ჰაერში. ასე დაიწყო ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს წევრთა პრესკონფერენცია. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, გუშინდელი შეკრება ნაკლებად ჰგავდა ჟურნალისტებთან შეხვედრას. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ზვიად გამსახურდიას მომხრეები სჭარბობდნენ. შესაბამისად, თითოეული გამომსვლელის სიტყვას საკმაოდ ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვებოდა ხოლმე.



დრო მათ ვერ ცვლის.

ემოციურად დატვირთულ შეკრებაზე იყო ცრემლები, შეძახილები: "ზვიადი, ზვიადი!", "საქართველო, საქართველო!", იყო საუბრები კომუნისტურ რევანშსა და საქართველოს ოკუპაციაზე, კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და პერმანენტულ პუტჩებზე... მოკლედ, ზვიად გამსახურდიას მომხრეები, როგორც ყოველთვის, ცალსახად გამოხატავდნენ ერთგულებას ზვიად გამსახურდიასა და მათ მიერ ქვეყნის პრემიერ-მინისტრად არჩეულ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასადმი.

უზენასესი საბჭოს წარმომადგენლებმა გუშინ კატეგორიულად განაცხადეს, რომ **"ცხრა აპრილი საქართველოს ისტორიაში არა მხოლოდ ტრაგიკულ თარიღად უნდა შევიდეს, არამედ იმ დღედ, როდესაც საქართველომ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა, რადგან 1991 წლის წლის ცხრა აპრილს უზენაესი საბჭოს დარბაზში წაკითხულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი".**

გუშინვე გავრცელდა ყოფილი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის განცხადება.

**"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის ბაზის კონსტიტუციური უწყვეტობის პრინციპის გამოყენება საშუალებას იძლევა, გაუქმდეს 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის (სადაც გადაწყდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია), 1994 წლის ივლისის სოჭის (გადაწყდა აფხაზეთის გასხვისება), 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის (მოხდა აფხეზეთის დამოუკიდებლობის ცნობა) და 1992 წლის 30 ივლისის ე.წ. თბილისის ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს 1921 წლის 13 ოქტომბრის ე.წ. ყარსის შეთანხმებას",** - ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, ყოფილი უზენაესი საჭოს წევრები აცხადებენ, რომ თავის დროზე მათ გააუქმეს ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის იყო. ხოლო **"1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება და სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილება საქართველოდან საოკუპაციო ჯარის გაყვანის თაობაზე ქვეყანას მისცემს საშუალებას, აღადგინოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, გათავისუფლდეს საოკუპაციო ჯარისაგან, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი წილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან და გააუქმოს ყველა კაბალური ხელშეკრულება".**

**"არავის შეუძლია გააუქმოს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული სქაართველოს რეპუბლიკის უზენაესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებამოსილება მისი საკონსტიტუციო ვადის გასვლამდე. იგი დღესაც განაგრძობს კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობის შესრულებას. მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვა, კონსტიტუციური უწყვეტელობა, კანონიერი ხელისუფლებისა და კანონიერების აღდგენა იხნის საქართველოს",** - ასე სრულდება ეს განცხადება.

ამ ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უცნაური იყო ის პათოსი, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტის წევრის ელიზბარ ჯაველიძის გამოსვლაში გაისმა. მისი თქმით, გუშინდელი შეკრება არა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, არამედ უზენაესი საბჭოს (ანუ პარლამენტის) შენობაში უნდა გამართულიყო და **"ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება იქ აუცილებლად დაბრუნდება და გაყრის ყველას, ვინც უკანონოდ იკავებდა იქ ადგილს".** უცნაური ეს გამოსვლა კი იმიტომ იყო, რომ ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ გასული ოთხი წლის განმავლობაში შესანიშნავად მოირგო ერთ-ერთი ამგვარი სავარძელი და, ბუნებრივია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სარგებლობდა ყველა იმ პრივილეგიით, რომელიც დეპუტატს კანონის ძალით ენიჭება.

თუმცა გუშინ ექსპრეზიდენტის მომხრეები ასეთ წვრილმანებს არ გამოჰკიდებიან. ისინი ერთად იყვნენ და ერთიანი პოზიციის დემონსტრირებას ცდილობდნენ. ყველაზე მთავარი მათთვის სწორედ ეს იყო.

# "ბელადის" პრობლემა

პირველი გვერდიდან

ასეთი პროცესი სოციალისტურ პარტიაში უკვე დაწყებულია. მართალია, ქართულ პარტიულ სივრცეში ამინდს ის ვერც ადრე ქმნიდა და ანგარიშგასაწევ ძალად არ ითვლებოდა, მაგრამ ვახტანგ რჩეულიშვილის ხელში, მანევრირებას, ასე თუ ისე, ახერხებდა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა. სოციალისტების ახალგაზრდა თაობას დღეს ესეც აღარ ხელეწიფება. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, მათ საქმიანობის სფერო შეიცვალონ და საერთოდ ჩამოსცილდნენ დიდ პოლიტიკას.

საკმაოდ გაურკვევლად გამოიყურება პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" მომავალიც. ამ გაერთიანებამ 28 მარტის არჩევნებში, ნებსით თუ უნებლიეთ, დღევანდელ ხელისუფლებას კარგი საქმე გაუკეთა - ოპოზიციურ პარტიებს ის ხმები წაართვა, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო პარლამენტში მოსახვედრად. ორ თვეში შექმნილი პარტიისთვის 4,23-პროცენტიანი შედეგი საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ამიტომ, ამ შემთხვევაში, მთავარი ის არის, "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე ზ. გამსახურდია მოინდომებს თუ არა პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას და მიღწეულის გაუმჯობესებას. თუ დაწყებული საქმე მან შუა გზაში მიატოვა, მაშინ "თავისუფლების" უსახური დასასრული ძნელი განსაჭვრეტი სულაც არ იქნება.

სამაგიეროდ, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ფარხმალს არ დაყრის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას "საქართველოს გადარჩენის უკანასკნელი შანსი" - შალვა ნათელაშვილი. მანამდე, დარჩენილი ოთხი წლის განმავლობაში ლეიბორისტების მთავარი ამოცანა, ალბათ, პარტიის რღვევის პროცესის შეჩერება იქნება.

შალვა ნათელაშვილის პოლიტიკურმა ორგანიზაციამ თავისი სიძლიერის პიკს გასული წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ, მოვლენების განვითარებამ, იგი ავანგარდიდან არიერგარდში გადაისროლა. შეძლებს თუ არა ლეიბორისტული პარტია კრიზისის დაძლევას და ხელახალ მომძლავრებას, ეს, მნიშვნელოვანწილად, დღევანდელ ხელისუფლებაზე უფროა დამოკიდებული - თუ მთავრობა რეფორმებს წარმატებით განახორციელებს და ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლებას მოახერხებს, მაშინ ნათელაშვილის მემარცხენე-პოპულისტურ ლოზუნგებს საზოგადოების გარკვეულ წრეებში ნაკლები გასავალი ექნება; ხოლო თუ ხელისუფლება სერიოზულ შეცდომებს დაუშვებს, ლეიბორისტების ლიდერი მისთვის ნაბოძები შანსის მაქსიმალურად გამოყენებას შეეცდება.

პერსპექტივის თვალსაზრისით, ლეიბორისტებს რაღაც შანსი თუ მაინც აქვთ, "ედპ-ტრადიციონალისტებზე" ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. აკაკი ასათიანი და მისი გუნდი ქართული პოლიტიკის უკვე გუშინდელი დღეა. მართალია, ტრადიციონალისტების ლიდერი, ერთი შეხედვით, "ყინვაგამძლედ" გამოიყურება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყოველი არჩევნების შემდეგ მისი მაჩვენებლები სულ უფრო უარესდება. ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება აკაკი ასათიანის პოლიტიკურ პარტნიორზე - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე.

28 მარტის დანარჩენ "გმირებზე" ხომ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია: ისეთი ჯუჯა პარტიები, როგორებიც არიან გაერთიანება "მძლეველი", ეროვნული იდეოლოგიის პარტია, სახალხო ალიანსი და სხვა, არც აქამდე მიიჩნეოდნენ ანგარიშგასაწევ ძალად და ვერც მომავალში იქნებიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში...

ამ ხელმოცარულების არმიის გადარჩენის შანსი შეიძლება ისიც იყოს, თუ ისინი იპოვნიან ლიდერს, რომელიც მთელ სპექტრს გააერთიანებს და მომავალი არჩევნების დროს, ერთი დროშის ქვეშ დარაზმავს. თეორიულად ასეთი რამ დასაშვებია, პრაქტიკულად კი - შეუძლებელი, რადგან თითოეული პარტიის ლიდერში პატარა ეშმაკია ჩაბუდებული, რომელიც "ბელადს" კარნახობს, რომ მხოლოდ ის უნდა იყოს სხვების წინამძღოლი.

კულუარები

# საუბრები სახელმწიფო კანცელარიაში

ლენა მიქაძე

ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგების გაუქმების გამო, ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა, ალბათ, გადაიდება - სავარაუდოდ, აპრილის ბოლოსათვის. პირველი სხდომის დღეს, კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის მეთაური დანიშნავს.

მანამდე კი, სახელისუფლებო კულუარებში უკვე გაჩნდა მოსაზრებები, რომ პარლამენტის პირველი სხდომები საკმაოდ ხმაურიანი იქნება. როგორც ცნობილია, პარლამენტის მიერ ამა წლის 6 თებერვალს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, პრეზიდენტი ვალდებულია, პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხი დასვას. ახლახან დაკომპლექტებულ მთავრობაში დიდი ცვლილებები არ უნდა იყოს მოსალოდენელი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ყველა მინისტრი უმტკივნეულოდ ვერ მიიღებს კანონმდებელთა ნდობას. ლაპარაკობენ იმაზეც, რომ წინა კვირას გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე პრეზიდენტმა შენიშვნები მისცა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს. ამასთან, სახელმწიფო კანცელარიის კულუარებში საკმაოდ ღიად საუბრობენ იმაზე, რომ მთაწმინდის მაჟორიტარ გიგი წერეთელს თავადაც აღარ სურს აღამსრულებელ ხელისუფლებაში დარჩენა და გული პარლამენტისკენ მიუწევს.

მოსალოდნელია იძულებითი ცვლილებები დეპუტატთა რიგებში. ამბობენ, რომ სხდომების დაწყებიდან მოკლე პერიოდში განერალური პროკურატურიდან უწყებას უკვე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებიც მიიღებენ. გვარები არ კონკრეტდება, მაგრამ აქცენტი მაჟორიტართა ბლოკზე კეთდება.

სერიოზული მინიშნებები კეთდება კიდევ ერთი სახელისუფლებო ცვლილების შესახებ; იზრდება უპორტფელო მინისტრთა რიცხვი. მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებისას, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უპორტფელო მინისტრთა მომატებას არ გამორიცხავდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მეხუთე სახელმწიფო მინისტრის პოსტს ზურაბ მელიქიშვილი დაიკავებს. ამჟამად რეგიონული სამსახური ორია - სახელმწიფო კანცელარიაში და პრეზიდენტის აპარატში. დუბლირების თავიდან ასაცილებლად შემოდის სახელმწიფო მინისტრის კიდევ ერთი პოსტი, რომელსაც ზურაბ მელიქიშვილი დაიკავებს. დღეისათვის იგი პრეზიდენტის აპარატში რეგიონებს კურირებს.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

აცხადებს კონკურსს

**მაღალი პოლიგრაფიული დონის პლაკატების დასამზადებლად**

პლაკატზე განთავსდება საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული 15 პატრიოტის ფოტოები მოკლე საბრძოლო ბიოგრაფიებთან ერთად (ფოტოებსა და ბიოგრაფიებს კონტრაქტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გადასცემს).
პლაკატები განკუთვნილია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვალსაჩინო ადგილებზე განსათავსებლად.

**საკონკურსო პირობები:**
- კონკურსში მონაწილემ უნდა უზრუნველყოს:
- პლაკატის დაკაბადონებასთან დაკავშირებული სამუშაო;
- პროდუქციის დაბეჭდვა **(ფორმატი - A1, ტირაჟი - 3500 ც.)**;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დადგენილ ვადებში მიწოდება.
- კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია: განცხადება, სამუშაოს მოკლე აღწერა, ხარჯთაღრიცხვა;
- საკონკურსო საბუთების შემოტანის საბოლოო ვადაა **2004 წლის 21 აპრილი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N52. ტელ: 96-98-31.



# 3 მილიონი - მცირე ჰესების რეაბილიტაციისთვის

*ცხინვალის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებს მალე დენის საკუთარი წყარო - კეხვის მოქმედი ელექტროსადგური ექნებათ. ამ ორიოდე დღის წინ, ხეობაში ვიზიტისას, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ადგილობრივ მოსახლეობას განუცხადა, ევრობანკი საქართველოში მცირე ჰესების რეაბილიტაციის მიზნით 1,2-დან 3 მილიონამდე ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფას აპირებს. "დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე კეხვიჰესი პირველი იქნება, რომელსაც ამ თანხის ნაწილი მოხმარდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ამ თანხებს ეფექტურად გამოვიყენებთ, პროგრამა გაგრძელდება," - განაცხადა გილაურმა. ამ ჰესის გარდა, დაგეგმილია კიდევ რამდენიმე მცირე ჰესის რეაბილიტაციაც.*

მაია ურუშაძე

"24 საათი" არაერთხელ წერდა, რომ კონფლიქტურ რეგიონში მდებარე ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ელექტრომომარაგება საერთოდ უკონტროლოდ ხორციელდებოდა - მათ რუსული დენით ოსური მხარე, ე.წ. "იუგოოსეტინენერგო" ამარაგებდა. თანაც, შედარებით იაფად - სულ რაღაც, 7 თეთრად. ამ ვითარებაში, სრულიად მოუწესრიგებელი იყო დენის საფასურის ამოღების სისტემაც. არადა, ხეობაში მდებარე კეხვიჰესს, რომლის სიმძლავრეც 1 მეგავატია, ხეობის მოსახლეობის მოთხოვნილების 70 პროცენტის დაკმაყოფილება ძალუძს. აბონენტთა რიცხვი ხომ დიდი ლიახვის ხეობაში, სულ რაღაც, 1600-ია.

ამასთან, ჰესის ამუშავების შემთხვევაში, ხეობის ქართული მოსახლეობა ცხინვალის გადაწყვეტილებებზე აღარ იქნება დამოკიდებული. მით უმეტეს, რომ ამ ცოტა ხნის წინ ცხინვალის ადმინისტრაციამ "იუგოოსეტინენერგო" იჯარით გასცა და ახლა, კაცმა არ იცის, ეს კომპანია ვის ხელშია.

რეაბილიტაციისთვის ჰესს არც ისე დიდი თანხა - 50 ათას დოლარამდე დასჭირდება. სადგურზე ორი 0,5 მეგავატიანი ტურბინა დგას, რომელთაგან ერთს კაპიტალური რემონტი სჭირდება, მეორეს კი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება მაინც. გასაწმენდია სადერივაციო არხიც. არ არის გამორიცხული ჰესზე სიმძლავრეების მომატების საკითხიც გადაიჭრას.



ბესო გულაშვილის ფოტო

*გილაურს იმედი აქვს, რომ ენერგეტიკაში წესრიგის დამყარებას შეძლებს.*

მაგრამ, კეხვიჰესის რეაბილიტაციის დაწყებამდე ერთი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი. საქმე ისაა, რომ ჰესი 1998 წლიდან შპს "ვატ-ელ.ტე.დე"-ს 10-წლიანი იჯარით აქვს აღებული, მაგრამ იმის გამო, რომ საიჯარო პირობები არ შეუსრულებია, ქონების მართვის სამინისტრომ მას იჯარა ცალმხრივად გაუუქმა. ამის შემდეგ სადგური გაჩერებულია. ის მხოლოდ 35-კილოვოლტიანი ქვესადგურის ფუნქციას ასრულებს და მის კომპეტენციაში ცხინვალიდან მიღებული დენის შეზღუდვა შედის. თუ დენის საფასურმა დააგვიანა, ცხინვალი მაშინვე წყვეტს ხეობის ელექტრომომარაგებას.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი იმედოვნებს, რომ სულ მალე რეგიონის ენერგოსექტორში სრული წესრიგი დამყარდება. **"უპირველეს ყოვლისა, რეგიონში აღრიცხვიანობის სისტემა უნდა მოწესრიგდეს. აქ შემოვა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"** (გსეკ-ი)**, რომელიც სოფლებს გაამრიცხველიანებს და სადისტრიბუციო სექტორს მოაწესრიგებს,"** - აცხადებს მინისტრი. როგორც ირკვევა, ლიახვის ხეობის გამრიცხველიანების ხარჯები გსეკ-ს უკვე გათვალისწინებული აქვს და საქმესაც მალე შეუდგება.

ჯერჯერობით, არ არსებობს ელექტროსქემები, რომელთა საშუალებითაც ეს რეგიონი დენს "საქართველოს ელექტროსისტემიდან" მიიღებს - კონფლიქტის დროს დაზიანებული ხაზების აღდგენაზე აქამდე არავის უზრუნია. ახლა, როცა ხეობაში მდებარე ელექტროსადგურის ამოქმედება ევრობანკისგან მიღებული გრანტით იგეგმება, "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და გსეკ-ს ამ საკითხის სასწრაფოდ და საიმედოდ მოგვარება მოუწევთ.

# საქართველო ყოველწლიურად ათასობით ტონა ტრანზიტულ ტვირთს კარგავს

*შესაძლოა, მალე საქართველომ სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი დაკარგოს. ასეთ დასკვნას ქართველი ექსპედიტორები საკუთარი ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად აკეთებენ. ქვეყანაში არსებული ბიუროკრატია, უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი და არაკონკურენტუნარიანი ტარიფები გადამზიდავ კომპანიებს ყოველწლიურად ათასობით ტონა ტვირთს აკარგვინებს. ოფიციალური სტატისტიკა ბოლო წლებში ტვირთბრუნვის უმნიშვნელო მატებას აფიქსირებს, თუმცა, ექსპედიტორების განმარტებით, ტრანზიტული ტვირთების მესაკუთრეები ამ ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად ირჩევენ მარშრუტს საქართველოს გავლით.*

ეთერ მამულაშვილი

ამ ტენდენციის შექმნაში ქართველი ექსპედიტორები ძველ ხელისუფლებას ადანაშაულებენ, თუმცა ვარდების რევოლუციიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგაც კი, ბიზნესმენების განცხადებით, სიტუაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა. შექმნილი საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელზედაც დასაწყისში ვსაუბრობდით, გადამზიდველები ახლად არჩეულ პარლამენტს მოქმედ კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებების დაუყოვნებლივ გატარებას ურჩევენ.

საგადასახადოზე მეტად ქართველ ექსპედიტორებს არსებული საბაჟო კოდექსის შეცვლა ეჩქარებათ. **"ეს კოდექსი ჩვენს ბიზნესს პირდაპირ ურტყამს და თუ გვინდა, რომ საქართველო ნამდვილ ტრანზიტულ ქვეყნად გადაიქცეს, უნდა შეიქმნას ისეთი საბაჟო სივრცე, რომელიც მარტივად გადაკვეთადი იქნება",** - აცხადებენ ისინი.

დღეს არსებული საბაჟო სივრცით საქართველო ნამდვილად ვერ დაიკვეხნის; მეტიც, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე გამეფებული განუკითხაობა უცხოური ტვირთების მესაკუთრეებს ხშირად შორი გზის მოვლას აიძულებს.

პრობლემებს შორის ქართველი გადამზიდველები ყველაზე ხშირად საბაჟოებზე არსებულ ბიუროკრატიასა და კორუფციას ასახელებენ; მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე გავლის ან შემოსვლის შემთხვევაში აქციზური საქონელი სპეციალურ ნებართვას საჭიროებს, რომელსაც აქციზური ტვირთების მონიტორინგის სამმართველო გასცემს. მსგავსი ნებართვის აღება, წესით, უფასო უნდა იყოს, თუმცა დღეს რთულად მოიძებნება ექსპედიტორი, რომელსაც ამ ფარატინა ქაღალდში ათ ლარზე ნაკლები გადაეხადოს. **"საქმეს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათს მოითხოვს, ისინი ათ დღემდე აჭიანურებენ, რადგან, კანონის თანახმად, ნებართვის გაცემა აღნიშნულ სამმართველოს ათი დღის ვადაში შეუძლია. დრო რომ მოვიგოთ, ჩვენ იძულებულნი ვართ, გრკვეული თანხა გადავიხადოთ უფასო ნებართვებში",** - ამბობს "კავკასტრანსექსპრესის" ფინანსური დირექტორი ნიკო ზარდიაშვილი, რომლისთვისაც (როგორც მისი კოლეგებისთვის) დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. **"ჩვენს კლიენტს ყოველთვის ეჩქარება. როცა გადასაზიდ საქონელში სერიოზული ფულია ჩადებული, კლიენტი ცდილობს, რომ ეს ტვირთი დანიშნულების ადგილზე**



*საერთაშორისო ტვირთები საქართველოს საბაჟო პუნქტებზე ხშირად საჭიროზე ბევრად მეტ ხანს ჩერდება.*

**დროულად მიიტანოს. თუ ჩვენ ამ მხრივ პრობლემებს შევუქმნით (და ხშირად ვუქმნით კიდეც), ის წავა და სხვა გზას მონახავს",** - გვითხრა ზარდიაშვილმა.

მდგომარეობას ის ფაქტიც ართულებს, რომ აქციზური ტვირთების მონიტორინგის სამმართველო მხოლოდ ცენტრალურ საბაჟოზე არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ფოთის პორტიდან თამბაქოს, ალკოჰოლური პროდუქციის ან სხვა აქციზური საქონლის შემომტანს ხსენებული ნაბართვის ასაღებად თბილისში ჩამოსვლა და შემდეგ ისევ ფოთში დაბრუნება მოუწევს. **"ტვირთი, რომელიც ფოთიდან თბილისამდე 5-6 საათში უნდა ჩამოვიდეს, ამ და სხვა მიზეზების გამო ამ გზის გავლას ხშირად ორი-სამი დღე უნდება",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კომპანია "ჯეოტრანსის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შუბითიძემ.

თუმცა, ამის მიზეზი მხოლოდ ეს როდია. საერთაშორისო ტვირთები საქართველოს საბაჟო პუნქტებზე ხშირად საჭიროზე ბევრად მეტ ხანს ჩერდება.

საბაჟოზე არსებული სპეციალური გაცილების სამსახური, რომელიც დატვირთულ ავტომობილებს ერთი საბაჟო პუნქტიდან მეორემდე აცილებს, თავის დროზე მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ ქვეყანაში ტრანზიტულად შემოსულ ტვირთებს მოულოდნელად მისამართი არ "შეეცვალათ" და კონტრაბანდის სახით სადმე არ ამოეყოთ თავი. რამდენიმე წლის წინათ საბაჟო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, გადამზიდველ კომპანიებს დაევალათ ტრანზიტული ტვირთის გადაზიდვის დროს საბაჟოზე 100.000 ლარიანი გარანტიის წარდგენა. ამ ცვლილების მიუხედავად, გაცილების სამსახური დღესაც ფუნქციონირებს, რაც ექსპედიტორებს ტვირთის დანიშნულების ადგილამდე ჩასატანად დამატებით კიდევ ერთ ან ორ დღესართმევს.

**"თუკი მე წარვადგენ საბანკო გარანტიას, რომ ტვირთის გზიდან "აორთქლების" შემთხვევაში სახელმწიფოს ავუნაზღაურებ ამ "დანაკლისს", მაშინ გაუგებარია, რაში მჭირდება გაცილების სამსახური, რომელიც ტყუილად დროს მაკარგვინებს. ეს სამსახური დღეში მხოლოდ ორჯერ - 12-სა და 15 საათზე გამოდის. იმ შემთხვევაში, თუკი გადამზიდველი დათქმულ დროზე საქონლის გადმოტვირთვას ვერ მოასწრებს, მას მეორე დღემდე უწევს ლოდინი. თითოეულ საბაჟო პუნქტზე გაჩერებას, ერთი და იმავე პროცედურის გამეორებას რამდენიმე დღე და დამატებითი ხარჯები მიაქვს. ბუნებრივია, ეს ფული არაოფიციალურ გადასახადებზე გვეხარჯება",** - ამბობს შპს "ისნტრას" გენერალური დირექტორი ზაზა ხოშტარია.

საბაჟოზე კიდევ რამდენიმე არაოფიციალური ხარკის ამკრეფი სამსახური მუშაობს, რომელთა უმრავლესობა, ექსპედიტორების რწმუნებით, მასზე დაკისრებულ მოვალეობას ან არ ასრულებს, ან აჭიანურებს. ერთ-ერთი მათგანია ფიტოსანიტარული სამსახური, რომელსაც, საკუთარი წესდების თანახმად, თითოეული სატვირთო კონტეინერის გამადიდებელი ლუპით შემოწმება და მასზე მცენარეული სპორების დროული გამოვლენა ევალება. ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ აბსურდულ დავალებას ეს სამსახური თითქმის არასდროს ასრულებს, თუმცა ექსპედიტორ კომპანიებს ყოველი "შემოწმება" გარკვეული თანხა მაინც უჯდებათ.

**"რაც უფრო მეტი ნებართვა, სერთიფიკატი ან ლიცენზია იქნება გასაცემი სახელმწიფო ორგანოების მიერ, მით უფრო დიდ და ამოუწურავ შესაძლებლობას ვაძლევთ კორუფციას. თუ გვინდა, რომ კორუფცია არ იყოს, მაშინ ეს ყველაფერი მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. საჭიროა მაკონტროლებელი ორგანოების რაოდენობის შემცირება, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენთან კონტროლის ტექნიკური საშუალებები ძალიან მწირია. როცა იცი, რომ ლუპით არავინ დაიწყებს ათასობით ტონა ტვირთის შემოწმებას, მაშინ არც უნდა შექმნა ასეთი სამსახური",** - ამბობს "კავკასტრანსექსპრესის" ფინანსური დირექტორი ნიკო ზარდიაშვილი.

არაოფიციალურ ხარჯებს თუკი იმ ოფიციალურ გადასახადებსაც დავუმატებთ, რითაც გადამზიდველი კომპანიები იბეგრებიან, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ეს სახეობა დღეს გაჭირვებით სულდგმულობს. ქართველი ექსპედიტორების მტკიცებით, არსებული საგადასახადო განაკვეთებისა და მაღალი ტარიფების გამო მათ მეზობელი ქვეყნის გადამზიდველებთან კონკურენციის გაწევა ძალიან უჭირთ.

**"შარშან დაგვიწესეს დამატებით კიდევ ერთი ახალი, რეგულირების გადასახადი, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი აბსურდია. სატვირთო-საავტომობილო ტრანსპორტის რეგულირებას მთელ მსოფლიოში ახდენს ბაზარი და არა რომელიმე ორგანო. ასეთი აბსურდული სამსახური კი საქართველოში შარშან შეიქმნა, რომელიც ჩვენ მიერ გადახდილი რეგულირების გადასახადით ფინანსდება",** - ამბობს ედუარდ შუბითიძე.

# საუდის არაბეთი აშშ-სთან ნავთობის საკითხში თანამშრომლობას განაახლებს

თორნიკე შარაშენიძე

საუდის არაბეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დეფიციტს. ეს პირადად აღუთქვა პრეზიდენტ ბუშს საუდეთის ელჩმა აშშ-ში პრინც ბანდარ ბინ სულთანმა. ელჩის ეს განცხადება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ახლახან ოპეკ-მა ნავთობმოპოვება დღეში მილიონი ბარელით შეამცირა და ამგვარად საწვავის ფასების ზრდას დამატებითი სტიმული მისცა.

საუდის არაბეთის განცხადება კიდევ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ომის შემდეგ ერაყში არაბული სამყაროსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა. თუკი ადრე ოპეკი ითვალისწინებდა დასავლური ქვეყნების პოზიციებს (რომლებიც საწვავის უდიდესი მომხმარებლები არიან) და ნავთობმოპოვების პოლიტიკასაც შესაბამისად აწარმოებდა, ბოლო ხანებში ეს ურთიერთგაგება პრაქტიკულად გაქრა და ოპეკი არანაირ ანგარიშს აღარ უწევდა ამერიკელთა მოთხოვნებს. ორგანიზაცია ბოლო ხანებში რეგულარულად ამცირებდა ნავთობმოპოვებას, რაც საწვავის გაძვირებას იწვევდა. ეს კი, თავის მხრივ, ოპეკ-ის წევრი ქვეყნების შემოსავალს ზრდიდა.

ოპეკი თავის პოლიტიკას იმითაც ამართლებდა, რომ დოლარის დაცემის გამო ნავთობიდან მიღებული მათი მოგება (ისინი ნავთობს სწორედ ამერიკულ ვალუტაზე ყიდიან) მნიშვნელოვნად შემცირდა და ამის გამო მათ საწვავის ფასის აწევა ესაჭიროებათ. ცხადია, ეს არგუმენტები არ აკმაყოფილებდა დასავლეთს, რომელიც ოპეკ-ის ბოლო სხდომამდე იმედს არ კარგავდა, რომ ორგანიზაცია ნავთობმოპოვებას აღარ შეამცირებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპეკ-ის პოლიტიკით კარგად სარგებლობს ხოლმე რუსეთი. ოპეკ-ის გადაწყვეტილებას მთელი საქმიანი სამყარო ელოდება ხოლმე და ბირჟები დაუყოვნებლივ რეაგირებენ ნავთობისმოპოვების გაზრდასა თუ შემცირებაზე. როგორც კი ოპეკი ნავთობმოპოვებას შეამცირებს, რუსეთი მაშინვე ზრდის ნავთობმოპოვებას და ბაზარზე გამოთავისუფლებულ ნიშას იკავებს. საწვავის ფასზე ეს პრაქტიკულად არ მოქმედებს, რადგან რუსეთის გადაწყვეტილებები იმდენად არ ხმაურდება და ბირჟებზე გავლენას არ ახდენს. მოსკოვმა სწორედ ამგვარი ქმედებებით მიაღწია თავისი პოზიციების განმტკიცებას სანავთობო ბაზარზე.

ახლა ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობი 35 დოლარი ღირს. ეს ოპეკისათვის კარგია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საწვავის ფასის ამ მაჩვენებელზე აყვანისათვის ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს ნავთობმოპოვების შემცირება მოუხდათ, ანუ ისინი საწვავის გაძვირებით ისეთ დიდ მოგებას ვერ ნახულობენ; სამაგიეროდ, დიდ მოგებას ნახულობს რუსეთი, რომელსაც სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით გააქვს "შავი ოქრო" მსოფლიო ბაზარზე. გაძვირებული ნავთობის წყალობით რუსეთის ეკონომიკას უკვე თითქმის ორი წელია, ზრდის შესაშური მაჩვენებლები აქვს.


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**13 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
აბესაძის, ანტონ კათალიკოსის, ავლევის, ცინცაძის, შალვა დადიანის, დიუმას, კუფტინის, ლერმონტოვის, ლესელიძის, პუშკინის, თუმანიანის, ხოდაშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**14 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
ერწოს, გუდამაყრის, ტიბაანის, მუხრანის, თიანეთის, დავით გარეჯელის, ჩარგლის, ხორნაბუჯის, ხევისუბნის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**14 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
დაბა წყნეთის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**15 აპრილს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ქვემო ალექსეევკის დასახლების მაცხოვრებლებს.

**15 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის, ნუცუბიძის პლატოს 3 მიკრორაიონის 1, 2, 3 და 4 კვარტლების, გურიელის, მარგიანის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), შატილის, ძოწენიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**15 აპრილს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
რუსთავის გზატკეცილის, ფონიჭალის 3 მ/რ-ის, ფონიჭალის დასახლების, სადგურის, სურგულაძის, ჟორდანიას, ლომინაძის, ღოღობერიძის ქუჩების, მაცხოვრებლებს.



## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აცხადებს კონკურსს

**სამინისტროს ლოგოტიპის შესაქმნელად**

**შესავალი**

2004 წელს საქართველოს განათლების სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ, რაც მის საქმიანობაში ახალი მიმართულებებისა და აქტივობების გაჩენას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს ლოგოტიპის შესაქმნელად.

**საკონკურსო პირობები:**

- ლოგო სიმბოლურად უნდა ასახავდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის ძირითად არსს და მიზანს;
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შეხამება ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პროფესიულ დონეზე და მნიშვნელოვნად აუმჯობესებდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმიჯს.

**შესრულებული სამუშაოს შემოტანის ვადაა 2004 წლის 21 აპრილი.**

საუკეთესო ნაშრომისთვის დაწესებულია ფულადი პრემია 1300 (ათას სამასი) ლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N52. ტელ: 96-98-31.

# ბაღდადის დაცემის წლისთავი და ერაყელთა გაერთიანება

ლევან ღირსიაშვილი

2004 წლის 9 აპრილი, ბაღდადის დაცემის დღე, ერაყელმა ამბოხებულებმა აქამდე არნახული ბრძოლებით და თავდასხმებით აღნიშნეს. დღეს ერაყის თითქმის ყველა ქალაქში უკვე ფრონტის ხაზი გადის. პროგნოზი, რომ ბაღდადის დაცემის ერთი წლისთავი კოალიციის ჯარებისათვის უმწვავესი და ტრაგიკული იქნებოდა, ახდა. პირველი და მოულოდნელი შეტევა ამბოხებულებმა ბაღდადის სიახლოვეს პატარა ქალაქ აბუ ღრაიბთან ამერიკელი სამხედროების კოლონაზე მიიტანეს. ჟერჯერობით დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ თავდასხმას ათი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა.

ამბოხების ცენტრად რჩება ქალაქი ფალუჯა, სადაც სადამ ჰუსეინის მომხრეები უკვე ერთი კვირაა, კოალიციის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებენ.

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა ფალუჯაში ცეცხლის დროებით შეწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება. **"დღეს კოალიციის ძალები ფალუჯაში ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აცხადებენ, რადგან დროებითი მმართველი საბჭოს წევრებს მიეცეთ მოლაპარაკების წარმოების საშუალება ანტი-კოალიციურ ძალებთან,"** - განაცხადა პოლ ბრემერმა. თუმცა, გუშინ ეს პირობა თავად ამერიკელებმა დაარღვიეს და ფალუჯაში მასირებული საჰაერო შეტევა განახორციელეს. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებები ე.წ. "ნემსური ბომბების" ჩამოყრის შესახებაც იუწყებოდნენ. ეს ბომბი კი საერთაშორისო კონვენციების თანახმად აკრძალულია და მასობრივი განადგურების იარაღის ტიპს განეკუთვნება. სააგენტო "ბიბისი"-ს აშშ-ს საზღვაო ქვეითთა ვიცე-პოლკოვნიკმა ბრენან ბირნმა განუცხადა, რომ კოალიციის ნაწილებს ფალუჯაზე იერიშების განახლების ბრძანება გუშინვე მიეცათ. თუმცა, იგივე "ბიბისი" სხვა მაღალჩინოსან ამერიკელ სამხედროზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ცეცხლის შეწყვეტა კვლავ ძალაში რჩება.







გუშინვე კოალიციის ნაწილებმა აიღეს ქალაქი კუტი, საიდანაც რამდენიმე დღის წინ ამბოხებულმა შიიტებმა უკრაინული რაზმები გაანდევნეს. ამბოხებულების კონტროლქვეშ კვალ რჩება შიიტების წმინდა ქალაქი ნეჯეფი. აქ შიიტების ლიდერის მოქთად სადრის დაჯგუფების "მეჰდის არმიის" მებრძოლები არიან გამაგრებულები.

ამბოხების დაწყებამდე, კოალიცია ბაღდადის დაცემის წლისთავის აღნიშვნას აპირებდა. 9 აპრილს ერაყის დედაქალაქში "ერაყის გათავისუფლებისადმი" მიძღვნილი ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო. კოალიციამ გუშინდელი დღე ვერ იზეიმა. შეიძლება ითქვას, რომ ერაყში ომის მეორე და გაცილებით სისხლისმღვრელი ფაზა დაიწყო.

### ერაყელთა ერთობა - რეალური საფრთხე

თუკი სადამის ეპოქაში შიიტებისა და სუნიტების ერთობაზე ვერავინ იფიქრებდა, დღეს ეს რეალობად იქცა. სუნიტების და შიიტების ერთიანობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება აშშ-ს უპირველეს მიზანსაც წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიზანი უკვე ასრულებულია, ოღონდ ვაშინგტონის წინააღმდეგ. სუნიტების და შიიტების ერთობა უკვე ჩამოყალიბების პროცესშია. მათ ამ ეტაპზე ერთადერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ - ამერიკელების განდევნა ქვეყნიდან.

**"ჩვენ ჩვენი ლიდერებისგან მიღებული გვაქვს ბრძანება, რომ ბრძოლა ვაწარმოოთ როგორც ერთმა განუყოფელმა ორგანიზმმა და ყველანაირად დავეხმაროთ სუნიტებს,"** - განაცხადა ნიმაა ფაკირმა, 27 წლის პედაგოგმა და "მეჰდის არმიის" ჯარისკაცმა. **"ჩვენ გვსურს ბრძოლების მასშტაბის გაზრდა, ამრიკელების განადგურება და მათი ქვეყნიდან გაძევება. ამის მისაღწევად ჩვენ ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ,"** - უთხრა მან "ნიუ-იორკ ტაიმსს".

გაერთიანების სიმბოლური პროცესი ხუთშაბათს დაიწყო, როდესაც ბაღდადში შიიტების ავტოკოლონამ, საიდანაც შავი ფერის დროშები ფრიალებდა, ხორბლის, ფქვილის, შაქრის და ბრინჯის დიდი მარაგი დაარიგა სუნიტურ მეჩეთებში. სავარაუდოდ, ამ ერთობას ოთხშაბათს აშშ-ს ავიაციის მიერ ფალუჯაში სუნიტური მეჩეთის განადგურებამ შეუწყო ხელი. **"სუნიტი, შიიტი, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ხელოვნური დაყოფაა. ფალუჯას მოსახლეობა ალყაშია და შიმშილობს. მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ,"** - აცხადებს 32 წლის შიიტი მეამბოხე საბაჰ სადამი.

ბაღდადიდან 35 კილომეტრში სამხრეთით მდებარე ქალაქი ფალუჯა ერაყული წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა. მეხუთე დღეა, რაც აქ გამაგრებული სუნიტი მებრძოლები კოალიციის შეტევებს იგერიებენ. ფალუჯას დასახმარებლად შიიტური "მეჰდის არმია" მზადყოფნას აცხადებს. მათი თქმით, ამ ამბოხების ბედი სწორედ ფალუჯაში წყდება.

ჯერჯერობით კვლავ დუმილს ამჯობინებს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ის ერაყში მიმდინარე მოვლენებზე კომენტარს არ აკეთებს. როგორც ჩანს, ის ბრძოლის სასწორის კოალიციისკენ გადახრას უცდის. ეს კი, წესით და რიგით, უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს. თუმცა, ვინ იცის?

# საფრანგეთი თურქეთის წინააღმდეგ

უკვე ათწლეულების მანძილზე მიმდინარე დავას თურქეთის გეოპოლიტიკური კუთვნილებისა და, შესაბამისად, მისი ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების შესახებ, თითქოსდა, წელს უნდა დასმოდა წერტილი. თუმცა, ევროპაში დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ ამ გეოგრაფიულად ძირითადად აზიურ ქვეყანას ყველაზე "დემოკრატიულთა" და "კულტურულთა" შორის, ანუ ევროკავშირში არაფერი ესაქმება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ხალხი ფრიად გავლენიან როლს ასრულებს ევროპულ ცხოვრებაში.

გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებამ, რომ "არსებულ სიტუაციაში" იგი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგი იქნება, მკვეთრი რეაქცია გამოიწვია თურქულ მედიაში.

მიშელ ბარნიემ, რომელმაც გასულ კვირას საფრანგეთის ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა, განაცხადა, რომ ანკარამ ვერ შეასრულა ევროკავშირში გაწვრიანებისათვის აუცილებელი პირობები. დღეისათვის **"თურქეთი პატივს არ სცემს აღებულ ვალდებულებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი აპირებს ამის გაკეთებას მომავალში,"** - ამბობს იგი და ამასთანავე ამატებს, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხიც კი არ დადგება.

გასული წლის ნოებერში ევროკომისიის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ თურქეთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებისას. თუმცა, თანამეგობრობაში გაწევრიანების კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად თურქეთის მთავრობამ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს. მათ შორის უმთავრესი საკითხია ცვლილებების განხორციელება სასამართლო სისტემაში და ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში.

1 მაისს ევროკავშირის 15 ქვეყანას კიდევ 10 წევრი შეუერთდება, ძირითადად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან. ევროკავშირის ლიდერებმა დეკემბერში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, შეესაბამება თუ არა თურქეთში არსებული მდგომარეობა ევროპულ სტანდარტებს. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება უკვე დიდი ხნის მანძილზე გაწელილი მოლაპარაკების პროცესი თურქეთის გაწევრიანების თაობაზე.

ბარნიეს კომენტარმა თურქულ მედიაში დიდი აურზაური მოახდინა და თურქეთის ფინანსურ ბაზარზე ვარდნაც კი გამოიწვია. თურქები მოტყუებულებად თვლიან თავს და საყვედურით სავსე სტატიებით ეხმაურებიან ფრანგ მინისტრს. **"მხოლოდ ახლა ჩამოიხსნა საფრანგეთმა ნიღაბი და გამოამჟღავნა თავისი რეალური სახე, როცა თურქეთი აიძულეს, შეესრულებინა ევროკავშირის ყველა მოთხოვნა და გზა გაეხსნა კვიპროსის პრობლემის დარეგულირებისათვის,"** - ასეთი იყო თურქული მედიის უმრავლესობის გუშინდელი პათოსი. თუმცა, ოფიციალური ანკარა ცდილობს, დიდი ყურადღება არ გაამახვილოს ბარნიეს განცხადებაზე და აღნიშნავს, რომ იგი მხოლოდ არსებული რეალობის აღმნიშვნელია. **"ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები, რომლებიც დროულად უნდა აღმოვფხვრათ, და ჩვენ შევძლებთ მათ გამოსწორებას დეკემბრამდე,"** - ასეთი იყო ოფიციალური ანკარის პასუხი.



*საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ბარნიე*

ევროკავშირის წევრობა თურქეთს უკვე დიდი ხანია, ოცნებად აქვს გადაქცეული. ევროსაბჭოსა და ნატო-ს ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან წევრ-სახელმწიფოს ევროპულ ოჯახში სრულფასოვან წევრად არა და არ იღებენ. წლეულს თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების ყველაზე რეალური შანსი მიეცა და ამისთვის მათ მართლაც ბევრი გააკეთეს. თურქებმა გააუქმეს სასიკვდილო განაჩენი და ყბადაღებული ქურთული უმცირესობის პრობლემის გადაწყვეტასაც გულწრფელად ლამობენ, მაგრამ ევროპაში დღესაც ბევრი მიიჩნევს და ეს საფრანგეთის პირველმა დიპლომატმაც დაადატურა, რომ თურქეთი არ არის ევროპა და თავისი მრავალმილიონიანი მუსლიმური მოსახლეობით შეიძლება ვერასოდეს იქცეს მის ნაწილად.

# თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები, შესაძლოა, გაუარესდეს

პირველი გვერდიდან

იანვრის ბოლოს შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტისას თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიიპ ერგოღანმა განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ, შესაძლოა, სომხეთთან საზღვარი გახსნას, "თუ თურქეთის მეგობრულ ინიციატივას გამოეპასუხებიან".

ერდოღანის თქმით, სომხეთის საზღვართან მცხოვრებ თურქებს, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ, საზღვრების გახსნა და მეზობელ ქვეყანასთან ვაჭრობა სურთ. არასამთავრობო ორგანიზაციის თურქეთ-სომხეთის ბიზნეს- საბჭოს მონაცემებით, ამჟამად ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა 70 მილიონ ამერიკულ დოლარს არ აღემატება. ორმხრივი ვაჭრობა საქართველოსა და ირანის ტერიტორიების მეშვეობით ხორციელდება.

თურქეთის გარეშე, მარტოდ დარჩენილ აზერბაიჯანს სომხეთზე გავლენის მოხდენა გაუჭირდება. "თუ თურქეთი სომხეთთან საზღვარს გახსნის, აზერბაიჯანი კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვან ბერკეტს დაკარგავს," - განაცხადა პრეზიდენტმა ალიევმა 24 მარტს უზბეკეთიდან დაბრუნების შემდეგ. "ეს სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელებას შეუძლებელს გახდის და, ფაქტობრივად, მოლაპარაკებებს წერტილს დაუსვამს."

ალიევის კომენტარის შემდეგ, სტატუსკვოს შესანარჩუნებლად აზერბაიჯანის სხვა მაღალჩინოსნები ანკარაზე ზეწოლის მოხდენას შეეცადნენ. "თუ თურქეთი საზღვარს გახსნის, ის ზიანს მიაყენებს არამარტო თურქულ-აზერბაიჯანულ მეგობრობას, არამედ მთელ თურქულ სამყაროს," - აღნიშნა აზერბაიჯანის პარლამენტის სპიკერმა მურთუზ ალესკეროვმა 6 აპრილს პარლამენტში გამოსვლისას.

დღემდე ყარაბაღის საკითხში თურქეთი აზერბაიჯანს ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს. 1993 წელს ანკარამ თურქეთს ბლოკადა გამოუცხადა. მას შემდეგ ორ ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს. თუმცა, ახლა, დაახლოებით 10 წლის შემდეგ, თურქეთის საგარეოპოლიტიკური მიზნები შეიცვალა. 2004 წლის დეკემბერში ევროკავშირმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება - დაიწყოს თურქეთთან გაწევრიანების შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებები, თუ - არა. თურქეთის შანსების გასაზრდელად, პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა რეფორმების ამბიციური პროგრამა დაიწყო, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას ითვალისწინებს.

ევროკავშირის ერთ-ერთ პირობას სომხეთთან ბლოკადის მოხსნაც წარმოადგენს. ევროკავშირი თურქეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მასზე მოდის თურქეთის ექსპორტის 50 პროცენტზე მეტი და იმპორტის, დაახლოებით, 45 პროცენტი. ევროკავშირის გარდა, სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ ანკარას შეერთებულმა შტატებმაც მოუწოდა. 26 მარტს ერევანში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმეტიჯმა განაცხადა, რომ ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა ორივე მხარეს სარგებელს მოუტანს.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანი ნავთობისა და გაზის დიდ საბადოებს ფლობს, რაც საშუალებას მისცემს თურქეთს, ოცნება აიხდინოს და დიდი მოგების მქონე აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ენერგეტიკულ დერეფნად გადაიქცეს. ილჰამ ალიევმა კარგად უწყის ეს გარემოება და ამიტომ სწრაფად შეახსენა ანკარას მისი რეალური ინტერესები. "თურქეთი დიდი სახელმწიფოა და დარწმუნებული ვარ, რომ თურქეთი გაუძლებს ზეწოლას [სომხეთთან საზღვრის გახსნის თაობაზე], - ხაზგასმით აღნიშნა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, - თურქულ-აზერბაიჯანული ძმობა ყველაფერზე მაღლა დგას."

აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამშვიდებლად თურქეთის ელჩმა ბაქოში აჰმედ უნალ ჩევიკოზმა განაცხადა, რომ სომხეთთან საზღვრის გახსნა მხოლოდ სამი პირობის შესრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი: მთიანი ყარაბაღიდან სომხეთის ჯარის გამოყვანა, თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე საბოლოოდ უარის თქმა და 1915 წლის გენოციდის აღიარების საერთაშორისო კამპანიის შეწყვეტა.

თუმცა, ზოგიერთი აზერბაიჯანელი ანალიტიკოსი შიშობს, რომ თურქეთის საგარეოპოლიტიკური მიზნები რეალურად იცვლება. ჩრდილოეთ კვიპროსის ოცდაათწლიანი ოკუპაციის შემდეგ, თურქეთმა ცოტა ხნის წინ საბერძნეთთან გაერო-ს გეგმის მიხედვით კუნძულის გაერთიანების თაობაზე დაიწყო საუბარი, რაც ევროკავშირში გაწევრიანების კიდევ ერთ პირობას წარმოადგენს. თურქეთმა ასევე ამერიკას ქურთების საკითხში დაუთმო, როდესაც ჩრდილოეთ ერაყში ქურთებით დასახლებული რეგიონის გასაკონტროლებლად ჯარები არ შეიყვანა. ამას გარდა, ანკარამ ქურთებს კულტურული უფლებები მიანიჭა და მშობლიურ ენაზე მაუწყებლობის საშუალება მისცა.

ზოგიერთი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ ერდოღანის მთავრობისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ვაჭრობის გაფართოება, ვიდრე მოძმე თურქულ რესპუბლიკასთან ურთიერთობების დაძაბვა. თურქულ-სომხური ბიზნეს საბჭოს მონაცემებით, საზღვრების გახსნის შემთხვევაში პირველსავე წელს ვაჭრობის მოცულობა 300 მილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწევს.

"ჩვენ აზერბაიჯანი და თურქეთი ცალკე ქვეყნებად უნდა განვიხილოთ, - ამბობს ალტაი გოუშოვი, აზერბაიჯანელი ექსპერტი თურქეთის საკითხებში, - მართალია, ორი ქვეყანა ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით გადაჯაჭვულები არიან, მაგრამ მათი ინტერესები შეიძლება დროდადრო გაიყოს."


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

 აცხადებს კონკურსს

**საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ლოგოტიპის შესაქმნელად**

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტით ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. პროექტი ითვალსწინებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას და ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებს.

პროექტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირება, რომელიც ყველა მიმართულებით ხორციელდება და ითვალისწინებს: სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანას, მოსწავლეთა ცოდნისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიუკერძოებელი და საყოველთაო სისტემის შექმნას, ახალი მოთხოვნების შესაბამისად მასწავლებელთა და სკოლების მმართველთა გადამზადებას, სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებას და განათლების სისტემის მართვის მოძველებული სისტემის განახლებას.

განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნების, სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდა.

**საკონკურსო პირობები:**

- ლოგო სიმბოლურად უნდა ასახავდეს განათლების პროექტის ძირითად არსს და მიზნებს;
- ლოგოს სტილი, ფორმა და ფერთა შეხამება ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო უნდა იყოს;
- ლოგო შესრულებული უნდა იყოს მაღალ პროფესიონალურ დონეზე და მნიშვნელოვნად აუმჯობესებდეს პროგრამის იმიჯს.

**შესრულებული სამუშაოს შემოტანის ვადაა 2004 წლის 21 აპრილი.**

საუკეთესო ნაშრომისთვის დაწესებულია ფულადი პრემია 1300 (ათას სამასი) ლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N52. ტელ: 96-98-31.

# საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ანატოლი სობჩაკის ბიუსტის გახსნაზე



პრეზიდენტმა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს მადლობა გადაუხადა.

ინტერპრესი

ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო!

ჩვენო სტუმრებო!

მინდა, ყველას მოგესალმოთ და გითხრათ, რომ ჩვენთვის ეს არის მნიშვნელოვანი დღე!

მნიშვნელოვანი დღეა და ქართველი ხალხი, რომელიც დამცირებულია და რომლის ღირსებაც შელახულია, იმსახურებს ყველანაირ მხარდაჭერას და სოლიდარობას მსოფლიოს ყველა ხალხის მხრიდან!

იგივე ქართველი ხალხი, ჩვენი ერი მზად არის, რომ გარდა თავისი ტრაგედიისა და გაჭირვებისა, დააფასოს და სათანადოდ აღნიშნოს სხვა ერების წარმომადგენლების ღირსება და დიდება!

ამგვარი რამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ ძალიან გამორჩენილ, განვითარებულ და მაღალკულტურულ ერებს!

ჩვენ გვყავს ხალხი, რომელმაც მშვენივრად იცის წარსულის დაფასებაც და მისი მნიშვნელობის მომავალზე გადაცემაც!

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გვყავდა მთავრობა რომელმაც ვერ დააფასა ვერც 9 აპრილის მსხვერპლთა ტრაგედია!

დღემდე, უკვე თხუთმეტი წელია, პარლამენტის შენობის წინ დგას ქვა, სადაც წერია, რომ აღიმართება ძეგლი.

ვაცხადებ, რომ მე ვავალებ მერიას და შესაბამის სამსახურებს, რომ 2004 წლის 1 სექტემბერს პარლამენტის შენობის წინ დაიდგას საქართველოს ერთიანობის გრანდიოზული ძეგლი, ვინაიდან 9 აპრილი პირველ რიგში საქართველოს ერთიანობის ზეიმია, საქართველოს სულიერი ამაღლების ზეიმი და ამას ჩვენ ყველა ერთად აღვნიშნავთ!

ძეგლი 1 სექტემბერს დაიდგმება იმის გამო, რომ ეს არის სასწავლო წლის დაწყების დღე და მინდა, ეს ტრადიცია მომავალ თაობებს გადაეცეს!

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ იცოდნენ, როგორი სახელოვანი წინაპრები ჰყავდათ!

ამავე დროს ჩვენ ასევე უკვდავყავით დიდება ომში დაღუპული მეომრებისა, რომელიც მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად გაკეთდა!

ისინი ბევრად უფრო მეტს იმსახურებენ, მაგრამ მათი ძეგლი ჩვენი ერთიანობა და ჩვენი ერთად დგომა იქნება!

ეს ძეგლი უნდა გახდეს ტრადიციულად ახალგაზრდობის სასიარულო ადგილი, იმიტომ, რომ მათ, ვინც თავი გაწირა სამშობლოსათვის, ყოველმა ჩვენთაგანმა თავისი ცხოვრებით უნდა დაუდგას ძეგლი!

ახლა მინდა მივმართო ჩვენს მეგობრებს და სტუმრებს, რომლებიც სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ!

ღრმად პატივცემულო ქალბატონო ლუდმილა და დელეგაციის წევრებო!

ჩვენთვის დღეს ძალზედ მნიშვნელოვანი დღეა!

მართლაც, ბატონ ანატოლი სობჩაკს უდიდესი წვლილი მიუძღვის - საზარელი პროპაგანდის ფონზე, რომელიც ზოგიერთი მაშინდელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებიდან მოდიოდა, მიუხედავად მაშინდელი მთავრობის წევრების შემაძრწუნებელი კომენტარებისა, რუსეთში მოინახა ისეთი ადამიანი, რომელიც არ შეუშინდა სიმართლის თქმას!

ჰყავს რა რუსეთს ასეთი ხალხი, მასაც თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ იგი უდიდესი ქვეყანა და უდიდესი ერია!

ასეთი ხალხით მსოფლიოში მრავალი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის!

სწორედ ასეთი ხალხი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რუსეთში, მათ გარდა, ვინც აქ ისროდა, არის ხალხი, რომელსაც ყოველთვის სურდა და სჯეროდა ჩვენი მეგობრობისა!

როდესაც ვსაუბრობთ მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მეგობრობას ისეთი ხალხი ამყარებს, როგორიც ანატოლი სობჩაკი იყო!

კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც საქართველოში ყველას სიმართლის მოსმენა სურდა, ყველას უნდოდა, რომ მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებულიყო იმის შეფასება, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა!

სწორედ ეს გააკეთა ანატოლი სობჩაკმა!

ძალიან კარგად მახსოვს აფხაზეთის ომიც, როდესაც მას ქართველი, აფხაზი და რუსი დაჭრილი მეომრები სანკტ-პეტერბურგის საავადმყოფოებში ჩაჰყავდა და უფასოდ კურნავდა.

ჩვენ ამას არასდროს დავივიწყებთ, იმიტომ, რომ ჩვენთვის ნამდვილი რუსეთი ეს არის სობჩაკი და რუსეთის ის ნამდვილი პატრიოტები, რომლებსაც მეზობლებთან მეგობრობა ყველაზე კარგად შეუძლიათ! ვინაიდან სხვებთან მეგობრობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც შენი ქვეყანა ბოლომდე გიყვარს!

დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე მეტად თავისი ქვეყნის პატრიოტები სწორედ ის ხალხი არიან, რომლებსაც სხვა ხალხების ღირსების დაფასება შეუძლიათ!

ჩვენ მადლობას ვუხდით რუსეთის ყველა მოქალაქეს, ყველა პეტერბურგელს, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში გვეხმარებოდა!

ძალიან ვემადლიერებით რუსეთში მყოფ ქართველებსაც, რომლებიც ძალიან ბევრს აკეთებენ იქ საქართველოსთვის!

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობას ალტერნატივა არ აქვს!

ჩვენ ვერ ვიქნებთით გახლეჩილები და არ იქნება ჩვენს შორის შუღლი და ბოროტება, ვინაიდან ძალიან ბევრი რამ გვაერთიანებს!

ვთვლი, რომ საქართველო დიადი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ იგი შეძლებს ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას თავის მეზობლებთან და პირველ რიგში რუსეთთან!

ჩვენ ყველანი ერთიანი კაცობრიობის სივრცის მონაწილენი ვართ!

ერთიანი კულტურისა და ისტორიის სივრცისა!

ბუნებრივია, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი და გაგვაჩნია ჩვენი სიამაყე!

და ის ადამიანი, რომლის ბიუსტსაც დღეს ვხსნით, ამ სივრცის უდიდესი ადამიანი იყო!

იგი ამ სივრცის ერთ-ერთი ლიდერი იყო და თუ გვინდა, რომ ყოველივე ეს არ დაირღვეს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ანატოლი სობჩაკი!

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ხალხი, ვინც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს, დამოუკიდებლობას და ამავდროულად მეგობრობასა და ურთიერთგაგებას!

მახსოვს ის პერიოდი, როდესაც 1998 წელს თბილისში პირველად შევხვდი ანატოლი სობჩაკს.

შეხვედრა რუსული და ქართული საზოგადოებრიობის დიდი დაპირისპირების შემდეგ შედგა.

მაშინ მართლაც ბევრი ყალბი სიტყვა იყო ნათქვამი მეგობრობაზე, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა!

რა თქმა უნდა, აღშფოთებული ვიყავი ამით და სწორედ მაშინ ანატოლი სობჩაკმა გვერდზე გამიყვანა და მითხრა: თქვენ ხართ საქართველოს მომავალი, თქვენ უნდა ააგოთ ახალი ურთიერთობები, უნდა გაიგოთ, რომ ყველა ეს ხალხი წამსვლელია და მალე ყველას მიავიწყდება, თქვენ, რუს თანატოლებთან ერთად ახლებურად აზროვნება უნდა დაიწყოთ და ჩვენ ყოველთვის ვიმეგობრებთ!

ეს არის პირადად ჩემთვის მისი ერთგვარი პოლიტიკური დანაბარები!

დიდი მადლობა ჩამობრძანებისთვის!

დიდი მადლობა ინიციატივისთვის!

*საქართველოს პრეზიდენტის საინფორმაციო სამსახური*

# ახალგაზრდა მოხალისეთა დღეები საქართველოში

*"ახალგაზრდა მოხალისეები, როგორც მომავლის ლიდერები, დიდ როლს ასრულებენ დღევანდელი დღის განვითარებაში. მათ მიერ შესრულებული ნებისმიერი სამუშაო ძალზედ გამოსადეგი და მნიშვნელოვანია"!..*

***კოფი ანანი***

ნათია ნინიძე
*პრეს-ჯგუფის წევრი*

"ახალგაზრდა მოხალისეთა დღეები" მთელ მსოფლიოში 16-18 აპრილს აღინიშნება. როგორც წესი, იგი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის სკოლებს, უნივერსიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნესმენებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს. მესამე წელია, ამ თარიღს საკმაოდ წარმატებით აღნიშნავენ საქართველოშიც. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი პარტნიორები, მხარდამჭერები და მოხალისეები ტრადიციას არც წელს უღალატებენ. ისინი ქვეყნის რამდენიმე რეგიონში - ბორჯომში, ქუთაისში, რუსთავში, ახალციხეში, ბათუმში, ოზურგეთში, ჭიათურაში, წყალტუბოსა და ზუგდიდში საზოგადოებისთვის საინტერესო სხვადასხვა ღონისძიებას ჩაატარებენ.

რაც შეეხება თბილისს.

გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელი, დიდი ხანია, აღარ ფუნქციონირებს. ნაგვისა და ვირთხების გამო, გვირაბში საშინელი სუნი და სიბინძურეა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა - "ახალგაზრდულმა ქრისტიანულმა ასოციაციამ" (Tbilisi YMCA), "საქართველოს სკაუტურმა მოძრაობამ", "ახალმა თაობამ საქართველოსთვის", აგრეთვე, ორგანიზაციამ - QSI, პროექტ "ჰარმონიის" და "საერთაშორისო განათლების ამერიკის საბჭოს" წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ეს პრობლემა მოხალისეობრივ საწყისებზე მოაგვარონ. მიწისქვეშა გადასასვლელში გაიწმინდება საკანალიზაციო მილები, გაილესება კედლები, დამონტაჟდება სანაგვე ყუთები და აღდგება ელექტროგაყვანილობა. ამის შემდეგ საფუძვლიანად გარეცხილ კედლებს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოხატავენ. გვირაბის ოფიციალური გახსნა 18 აპრილს, დღის 12 საათზეა დაგეგმილი. ღონისძიება 6 საათამდე გაგრძელდება. პანტომიმის თეატრისა და თითების თეატრის დასის წარმომადგენლები გამართავენ მცირე წარმოდგენებს; მოეწყობა ფოტონამუშევრებისა და ნახატების გამოფენა; ქუჩის მუსიკოსები ცოცხალი მუსიკით გაალამაზებენ საღამოს. თავად დამსწრეებს საშუალება ექნებათ, საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ სიმღერაში, ცეკვაში ან სახელდახელოდ გამართულ სპორტულ თამაშებში. ასე ჩაივლის და დასრულდება "ახალგაზრდა მოხალისეთა დღეები" თბილისში. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ცირკიდან თუ ზოოპარკიდან გამოსულ ბავშვებსა და მათ მშობლებს გმირთა მოედანზე არსებული სახიფათო გადასასვლელებით სარგებლობა აღარ მოუწევთ.


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### აცხადებს კონკურსს

### ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრს ესჭიროება სპეციალისტი და მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის**
**ოფისის მენეჯერის თანაშემწე**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

თანაშემწე ვალდებულია დაემორჩილოს ოფისის მენეჯერს და შეასრულოს მისი დავალებები და მითითებები; დახმარება გაუწიოს მას შემდეგ საქმიანობაში:

- ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციაში;
- ინვენტარიზაციის შედეგების ყოველწლიურად განახლებაში;
- კონტრაქტორების მიერ მოწოდებული საქონლის მიღება-დასაწყობებაში;
- მიღებული საქონლის რაოდენობისა და ვარგისიანობის შემოწმებაში;
- საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ოფისის მენეჯერს
- მიღება-ჩაბარებისას აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების შესახებ;
- საწყობისა და საწყობში დაცული ინვენტარის უსაფრთხოების დაცვაში.

საჭიროების შემთხვევაში საკოორდინაციო ცენტრის ოფისის მენეჯერის თანაშემწე შეასრულებს მძღოლის მოვალეობას.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- გამოცდილება ოფისის საორგანიზაციო საქმიანობაში;
- ავტომანქანის მართვის გამოცდილება (მინიმუმ 2 წელი).

**ანგარიშგება:**

განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისის მენეჯერის თანაშემწე ანგარიშვალდებულია საკოორდინაციო ცენტრის ოფისის მენეჯერის წინაშე.

**ხანგძლივობა და ხელშეკრულება:**

აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.

სამუშაო ადგილი თბილისშია. დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განცხადება საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის სახელზე და თქვენი ავტობიოგრაფია (CV) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეზუგბაია

**განცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 16 აპრილი.**


*საფეხურები*

# "ძალიან მინდოდა, თამუნა ფეხზე დამდგარი მენახა"

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

თინათინ ასათიანი

თამარ იებაია 22 წლისაა. სამშობიარო ტრავმის შედეგად მას ფსიქო-მოტორული ჩამორჩენა - ჰიდროცეფალურ-ჰიპერტენზიული სინდრომი განუვითარდა. მისი ერთადერთი მომვლელი არის დედა - ქალბატონი ციცო, რომელიც, შვილის გაჩენის შემდეგ მისი გამოჯანმრთელებისთვის იბრძვის.

მეუღლემ ქალბატონი ციცო სწორედ მაშინ მიატოვა, როცა მას და თამუნას ყველაზე მძიმე პერიოდი ჰქონდათ. ქმარმა მას ბავშვისთვის ინვალიდის ეტლი მისცა და უთხრა, - ჩასვი და ატარეო. **"ის ეტლი ისევ ისე დგას კართან. მე ვთქვი, - ბავშვს ეტლში არასოდეს ჩავსვამ-თქო. ძალიან მინდოდა, თამუნა ფეხზე დამდგარი მენახა,"** - ამბობს ქალბატონი ციცო. მართლაც, უკიდურესი გასაჭირის პირობებში, იმდენ ხანს ატარა ბავშვი ახტალასა და ურეკში, რომ ხუთი წლის ასაკში გოგონამ ფეხზე გაიარა.

მოგვიანებით, ქალბატონ ციცოს უთხრეს, რომ მისი შვილი საოპერაციო იყო. აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილება დროზე რომ მიღებულიყო, თამუნას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ქალბატონმა ციცომ, დახმარების მიზნით, არაერთხელ მიმართა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სხვადასხვა არასამთავრობო უწყებას. მათი ფინანსური დახმარებით, 1994 წელს თამუნა და დედამისი ჩინეთში გაგზავნეს სამკურნალოდ. მკურნალობისთვის გათვალისწინებული ხარჯის ნაწილი კერძო პირმა იმნაძემ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაფარეს. ჯანდაცვის სამინისტრომ ორჯერ გადაიხადა გულის შუნტირებისთვის საჭირო თანხა და 1998 და 1999 წლებში ძვირად ღირებული მედიკამენტებიც უფასოდ გამოუყო გოგონას.

ჩინეთში მკურნალობის შედეგად, თამუნამ რამოდენიმე სიტყვის წარმოთქმა შეძლო, რამაც ექიმებსაც და დედასაც იმედი გაუღვიძა, რომ, სწორი მკურნალობის შემთხვევაში, გოგონა გამოჯანმრთელდებოდა. ამიტომ, ქალბატონმა ციცომ, მკურნალობისთვის დამატებითი თანხების მოძიების მიზნით, ისვე მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს. პასუხად შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: "ჯანმრთელობის სამინისტროში საფინანსო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა თქვენი განცხადება და უარი ეთქვა, ვინაიდან საჭირო თანხის გამოყოფა, "უმწეოთა" პროგრამის შეზღუდულობის გამო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს არ შეუძლია".

1999 წელს ქალბატონმა ციცომ ავადმყოფის მონაცემები ამერიკაში გაგზავნა. მას შეერთებული შტატების ბავშვთა ეროვნული სამედიცინო ცენტრიდან შეეხმიანენ და პაციენტის გრძელვადიანი მკურნალობა 7000-დან 30 000 ამერიკულ დოლარამდე შეუფასეს. ქალბატონ ციცოს ეს თანხა არ გააჩნია. ოჯახს მძიმე სოციალურ პირობებში, ავჭალაში, ერთოთახიან ბინაში უწევს ცხოვრება; ელემენტარული საარსებო საშუალება არ აქვს - მათი შემოსავალი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დახმარებები და ინვალიდისთვის განკუთვნილ 17-ლარიანი პენსიაა.

ქალბატონი ციცოსთვის მთავარი შვილის გამოჯანმრთელებაა; იმედი აქვს, რომ თამუნას კეთილი ადამიანები არ მიატოვებენ და ოდესმე იგი კომუნიკაბელური, ჩვეულებრივი გოგონა გახდება.

**P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს. მობ: 893 32 44 41 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:**

**stagesngo@hotmail.com**

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ქვეყნის პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელ ავთანდილ დავითაძესთან ერთად ბავშვთა სახლები, ეკლესიები მოინახულა და საჩუქრები დაარიგა. დილით სანდრა რულოვსი ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საპატრიარქოს უმწეოთა სახლს ეწვია და სააღდგომო კვერცხები და პასკები გადასცა. მოგვიანებით იგი წყნეთის ბავშვთა სახლს, ჭავჭავაძის გამზირზე მოქმედ უპატრონო მოხუცებულთა სახლსა და ვაკის სამების ეკლესიას ესტუმრა. სააღდგომო საჩუქრები სულ 800 მოქალაქეს გადაეცა. უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს პირადი ჰიგიენის ნივთები და კვების პროდუქტებიც დაურიგეს.
**ინტერ-პრესი**

# თენგიზ ასანიძე პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლას აპირებს

პირველი გვერდიდან

დანარჩენი ორი ვერდიქტისგან განსხვავებით, ევროპული სტრუქტურის ნების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა.

**"ევროსასამართლომ განაჩენის გამოტანისას არ გაითვალისწინა იმ ადამიანების ინტერესები, რომლებიც ასანიძემ დააზარალა"**, - განაცხადა პირდაპირ ეთერში ინტერვიუს მიცემისას ასლან აბაშიძემ, თუმცა იქვე დაამატა, რომ იგი უზრუნველყოფს თენგიზ ასანიძის დაუყოვნებელ გათავისუფლებასა და თბილისამდე მის უსაფრთხო ჩასვლას. უკვე შემდგომ კი "ბევრი მტრის მყოლი" ასანიძის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა მან საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დააკისრა.

თუმცა, ასლან აბაშიძის პირობა, რომ განაჩენის გამოტანიდან მეორე დღეს ასანიძეს პატიმრობიდან გაათავისუფლებდა, დროში საკმაოდ გაიწელა.

თავად პატიმრის ახლობლები და ნათესავები სტრასბურგში განაჩენის გამოქვეყნებისთანავე შეიკრიბნენ აჭარის უშიშროების სამინისტროს შენობასთან და თითქმის ორი დღე მოუხდათ ლოდინი.

აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის რეზიდენციაში შეიკრიბა სათათბიროდ, თათბირის შედეგები კი შემდეგ ასანიძის ნათესავებს გააცნეს; კერძოდ, აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი მათ დაჰპირდა, რომ რიგი იურიდიულ-პროცესულური საკითხების მოგვარებისა და პატიმართან პირადად გასაუბრების შემდეგ ასანიძეს თბილისის გზას გაუყენებდნენ.



შვილიშვილები დაიზარდნენ...

გარდა ამისა, გუშინდელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თენგიზ ასანიძის ძმისშვილი გოჩა ასანიძე, რომელიც აჭარის მეთაურის რეზიდენციაში გამართულ თათბირს ესწრებოდა, საიდუმლო ვითარებაში ასლან აბაშიძესაც შეხვდა, თუმცა, თავად გოჩა აბაშიძე ამ ინფორმაციას უარყოფს და მათი საუბრის დეტალები უცნობი რჩება.

თავად თენგიზ ასანიძე კი აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორიდან გუშინ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებიდან 28 საათის შემდეგ, დღის 5 საათზე ისე გამოიყვანეს, რომ მისთვის არც ჟურნალისტებს მოუკრავთ თვალი და არც ახლობლებსა და ნათესავებს. აჭარის უშიშროების სამინისტროსთან მყოფმა ადამიანებმა მხოლოდ ის ჩამუქებულშუშებიანი "მერსედესი" დაინახეს, რომლითაც, სავარაუდოდ, თენგიზ ასანიძე გამოიყვანეს და აწ უკვე ყოფილი პატიმარი პირდაპირ ბათუმის აეროპორტის გზას გაუყენეს. თბილისის აეროპორტში შვიდის ნახევარზე დაშვებულ თვითმფრინავს, რომელშიც ასლან აბაშიძის ტყვეობიდან გათავისუფლებული ასანიძე იჯდა, ჟურნალისტთა არმია და მისი ახლობლები დახვდნენ.

**"ჩემი თავისუფლება მასმედიის ერთობლივი შტურმის შედეგია, რომელსაც აჭარის ხელისუფლებამაც კი ვერ გაუძლო"**, - განუცხადა ჟურნალისტებს თბილისში ჩამოსულმა თენგიზ ასანიძემ, რომელსაც აეროპორტში სტრასბურგის სასამართლო და მისი განაჩენი არ გახსენებია. რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს, **"საქართველოში დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ პოლიტიკური სარბიელიდან ბევრი სასარგებლოს გაკეთება შეიძლება"**, - თქვა თბილისის აეროპორტში ყოფილმა პატიმარმა, თუმცა ისიც დაამატა, რომ პირველი, რასაც ის ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ აპირებს, თბილისის ქუჩებში, კერძოდ, რუსთაველის გამზირზე გავლაა, რომელთანაც მას ბევრი მოგონება აკავშირებს.

*24 საათი*


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აცხადებს კონკურსს

### ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრს აუცილებლად მიაჩნია სპეციალისტის დაქირავება და მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**შესყიდვების სპეციალისტი**

შესყიდვების სპეციალიტი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების წარმოება მსოფლიო ბანკის და თანადამფინანსებლების მიერ დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად.

**შესყიდვების სპეციალისტი ვალდებულია:**

- მოამზადოს და სისტემატურად განაახლოს შესყიდვების გეგმა, რაც მოიცავს შესასყიდი ან პროექტის ფარგლებში შერჩეული საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ჩამონათვალს და დროის განრიგს;
- განახორციელოს ყველა საჭირო ზომა თითოეული შესყიდვის ქმედებათა განხორციელების დაგეგმარებისათვის;
- შეადგინოს შესყიდვების დოკუმენტაცია (რეკლამები, სატენდერო დოკუმენტები, შეფასების ანგარიშები, კონტრაქტები და შესაბამისი კორესპონდენცია);
- მონაწილეობა მიიღოს ეროვნული და საერთაშორისო შესყიდვების მთელს პროცესში (ქმედებების დაგეგმარებიდან კონტრაქტების გაფორმების სტადიის დასრულებამდე);
- მონაწილეობა მიიღოს ტექნიკური მახასიათებლების მომზადებაში და/ან იმის უზრუნველყოფა, რომ ტექნიკური მახასიათებლები მომზადებულია ისეთი მეთოდით რომელიც განაპირობებს სამართლიან და ეფექტურ კონკურენციას;
- მსოფლიო ბანკის შესყიდვების სფეროში დასაქმებულ პერსონალთან თანამშრომლობა;
- შეამოწმოს რომ შესყიდვების პროცედურები მკაცრ თანხმობაში მოდის მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებთან და საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან;
- საქონელზე, სამუშაოებზე და მომსახურებაზე კონტრაქტების განხორციელების შემოწმება;
- იმის უზრუნველყოფა რომ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფინანსური მართვის სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღოს გადახდების განრიგების და კონტრაქტებში გათვალისწინებული მექანიზმების შედგენაში და რომ ფინანსური მართვის სპეციალისტი დროულად იღებდეს ინფორმაციას კონტრაქტების შესახებ;
- იყოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენელი საბაჟო სამსახურში იმპორტირებული საქონლის მიღებისას;
- დახმარება გაუწიოს დანიშნულ თანამშრომლებს საქონლის და სამუშაოების შემოწმებასა და მიღებაში;
- რეგულარულად მოამზადოს განახლებული ანგარიშები შესყიდვების ყველა აქტივობის შესახებ რომლებიც განხორციელებულია ან განხორციელდება განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ;
- წარმოადგინოს ანგარიში და რჩევები კონტრაქტების შეუსაბამობის შემთხვევაში;
- აწარმოოს შესყიდვების სრული ჩანაწერები და შეინახოს დოკუმენტები განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში, რაც ითვალისწინებს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვების ზოგადი და კონკრეტული რეკლამების განთავსების შედეგად ყველა დაინტერესებული ფირმისა და ინდივიდუალური პირის რეესტრს;
- განუმარტოს პროექტის სხვა შესაბამის თანამშრომლებს შესყიდვების პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ის, თუ როგორ დაგეგმონ დროში შესაბამისი ქმედებების განხორციელება, ქმედებათა სტატუსი და სხვა;
- მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შესყიდვების საკითხებთან დაკავშირებით;
- ითანამშრომლოს ფინანსურ სპეციალისტთან პროექტის თანხების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა მიიღოს საქმიანობებში ცოდნისა და ფუნქციონირების გაანალიზებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაოს ეფექტური შესრულება;

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- შესაბამის სფეროში (შესყიდვები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა) მუშაობის მინიმუმ ორი წლის გამოცდილება;
- ადგილობრივი და/ან საერთაშორისო შესყიდვების გამოცდილება (სატენდერო პროცედურები, ხელშეკრულებების დადება, საქონლის იმპორტირება);
- საერთასორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერის ცოდნა;
- რამოდენიმე ამოცანის ერთდროული კოორდინაციისა და გადაჭრის უნარი;
- გუნდურ გარემოში მუშაობის უნარი;
- კომუნიკაბელურობა.

**საანგარიშო ვალდებულებანი:**

შესყიდვების სპეციალისტი დაექვემდებარება განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს.

**აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეზუგბაია

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 30 აპრილი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.


# მოსკოვში ქართველ "კანონიერ ქურდებს" ანტიკრიმინალურ ოპერაციებს უწყობენ

ФСБ-ს თანამშრომლებმა მოსკოვში დააკავეს ორი ქართველი "კანონიერი ქურდი" - 32 წლის გოჩა ჯინჭარაძე, რომელიც კრიმინალურ სამყაროში "ბილი"-სა და "ყურშა"-ს ზედმეტსახელითაა ცნობილი და 33 წლის გელა კულეჯიშვილი, ზედმეტსახელად - "შავი გელა". ФСБ-ს თანამშრომლებმა "კანონიერ ქურდებს" დაკავებისას აღმოუჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება.

ქართველი ავტორიტეტული კრიმინალების დაკავების ფაქტზე აღიძრა საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით - ნარკოტიკული ნივთიერების, იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო შენახვა-გადაზიდვა-გასაღება.

რუსეთის შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები, რათა დადგინდეს, ჰქონდათ თუ არა დაკავებულებს კავშირი ჩეჩნეთის უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებთან." რუსეთის შსს ირწმუნება, რომ რუსეთში მოქმედი ქართული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერები ჩეჩენ ბოევიკებთან იყვნენ დაკავშირებულნი.

სწორედ ამიტომაც რუსეთის შსს-მ და ФСБ-მ შვიდი აპრილიდან დაიწყო ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩატარება და ერთ-ერთი ოპერაციის დროს, გარდა ჯინჭარაძე-კულეჯიშვილისა, კავკასიური მაფია "ჩვენი ეზოდან" გახვეტა, მას შემდეგ, რაც მოსკოვის ცენტრში კრიმინალური ავტორიტეტების მოლაპარაკება ჩაშალა.

მოსკოვის მილიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტმა და მილიციის სხვა განყოფილების კოლეგებმა ქართულ-აფხაზური დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერებისა და ავტორიტეტების თავყრილობა დაშალეს. მოსკოვის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს "კანონიერი ქურდი" ვიტალი ავდიანი, რომელიც კრიმინალურ წრეებში "ვიტია თბილისელის" სახელითაა ცნობილი. კავკასიელ კრიმინალებს, რომლებიც რესტორანში "ჩვენი ეზო" თავყრილობაზე იმყოფებოდნენ, შუაღამისას მილიციელები დაადგნენ თავს. კრიმინალთა თათბირს, რომელსაც ქართულ-აფხაზური დანაშაულებრივი დაჯგუფების 25 წარმომადგენელი ესწრებოდა, საქართველოს მკვიდრი ვიტალი ავდიანი ხელმძღვანელობდა. იგი "შავ სამყაროში" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. 34 წლის ავდიანს ციხეში 12 წელი აქვს გატარებული. "ჩვენ ეზოში" მოწყობილ შეკრებას სტატუსიანი კრიმინალები ესწრებოდნენ, თუმცა მათ შორის იყვნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, რომელთაც, მართალია, სერიოზული "იმიჯი" აქვთ, მაგრამ დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტებს მათთვის სტატუსი, ჯერჯერობით, არ მიუნიჭებიათ. საუბარია 34 წლის თბილისელ თამაზ კოკანოვზე, 33 წლის სომხეთის მკვიდრ გარუნ ვარდანიანსა და 38 წლის დავით სარქისიანზე. შეკრების დანარჩენი მონაწილეები ქართულ-აფხაზური მაფიოზური სტრუქტურის შემადგენლობაში გაერთიანებული მცირე დაჯგუფებების ლიდერები იყვნენ.

მოსკოვის მილიციის მონაცემებით, კრიმინალები (ყველა მათგანი მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში მოქმედებენ) საქმიანი საკითხების განხილვას აპირებდნენ. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური დაჯგუფება რუსეთში ერთ-ერთ სერიოზულ კრიმინალურ დაგჯუფებად არის მიჩნეული. ეს ჯგუფი აკონტროლებს მანქანების გატაცებასა და ძარცვას, აწარმოებს უკანონო ფინანსურ ოპერაცებს. აკონტროლებს ნარკობიზნესს, აზარტული თამაშების ინდუსტრიას, იარაღისა და საბრძოლო მასალების ბრუნვას. მათი პატრონაჟის ქვეშაა პრესტიჟული სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი და მსხვილი ბანკები.

"ჩვენ ეზოში" გამართული ქურდული თავყრილობა მოსკოვის მილიციამ ჩაშალა. ვიპ-დარბაზში შესულმა მილიციელებმა განგსტერებს სუფრიდან ადგომა და კედელთან სახით დადგომა უბრძანეს, გაჩხრეკვის შემდეგ კი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. დაკავებულთა პიროვნების დადგენის შემდეგ ძალოვანებმა მხოლოდ "ვიტია თბილისელი" დაიტოვეს - "კანონიერ ქურდს" სამი გრამი ძლიერმოქმედი ნივთიერება "მეტადონი" აღმოუჩინეს. განგსტერის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით - ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვა-გასაღების კვალიფიკაციით აღიძრა.

"ვიტია თბილისელი" სამართალდამცველებმა ნარკოტიკების მოხმარებისთვის 2000 წელსაც დააკავეს, მაშინ მას ჰეროინი აღმოუჩინეს.

**სტატია მომზადებულია "Московский Комсомолец"-ისა და "РИА-Новости"-ს** მასალების მიხედვით.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს საჩხერის სატყეო მეურნეობის დირექტორი როსტომ დეკანოიძე. მას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა. დეკანოიძის საცხოვრებელი სახლიდან სამართალდამცველებმა ჩხრეკის შედეგად ამოიღეს "აკაესის" სისტემის ავტომატი ერთი მჭიდითა და 59 საბრძოლო ვაზნით. მას სახლში 2 ცალი უცხოური წარმოების პისტოლეტიც აღმოაჩნდა. სატყეო მეურნეობის დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 236-ე მუხლის I ნაწილით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალციხეში მცხოვრებმა, 72 წლის თენგიზ ქილერიძემ ნებაყოფლობით ჩააბარა ორი ხელყუმბარა "ფ-1" დეტონატორის გარეშე, ავტომატ "აკმ"-ის 94 და "აკს"-ის 104 ვაზნა. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს მუხიანის დასახლებაში მცხოვრები, 32 წლის ზაზა გოგიჩაიშვილი, რომელიც 1999 წლის 20 ნოემბერს ოთხ პირთან ერთად თავს დაესხა გლდანის მასივში მცხოვრებ მალხაზ როსტიაშვილის ოჯახს. ყაჩაღებმა გადაჭრილი თოფის - ე.წ. "აბრეზის" გამოყენებით ოჯახიდან გაიტაცეს ვიდეოაპარატურა და ოქროს სამკაულები. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პოლიციის ქურთის ქვეგანყოფილების უფროსი ზურაბ რაზმაძე დღეს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ჯავის რაიონის ტერიტორიაზე ოსმა მილიციელებმა დააკავეს.

როგორც ირკვევა, რაზმაძე მართლაც იმყოფებოდა ჯავის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ოსებმა მართლაც გააჩერეს ვინაობის დადგენის მიზნით. ქართული მხარე აცხადებს, რომ ჯავა კონფლიქტის ზონაა და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ იქ ვინმეს ვინაობით დაინტერესდებიან.ქურთის ქვეგანყოფილების უფროსი ამჟამად სამსახურშია და თავის მოვალეობას ასრულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვში 6 აფხაზი დააკავეს. ისინი ბინების გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილნი. მოსკოვის შს მთავარი სამმართველოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, პარასკევს, საღამოს, მილიციას მიმართა 39 წლის მოსკოველმა, რომლის ბინაც გაიქურდა

დაზარალებულის მტკიცებით, ქურდებმა წაიღეს ვიდეო და აუდიოაპარატურა, ასევე საიუველირო ნაკეთობები - საერთო ჯამში, 200 ათასი რუბლის ღირებულების.

ერთი საათის შემდეგ მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა "ცხელ კვალზე" დააკავეს მძარცველები. ისინი აღმოჩნდნენ აფხაზეთის მაცხოვრებელნი, რომელთა ასაკი 20-25 წელს არ სცილდება. ნაძარცვის ნაწილი ამოღებულია. სამართალდამცავების ინფორმაციით, ყველა დაკავებული ეთნიკური კრიმინალური დაჯგუფების წევრია. დგინდება მათი კავშირი მოსკოვში მომხდარ სხვა ბინების ქურდობებთან. **პრაიმ-ნიუსი**

# სააღდგომოდ მათზე, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს



პირველი გვერდიდან

**მკურნალობა: ასეთ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ ადვილი აღგზნებადობა და განსაკუთრებული ემოციური ფონი. როდესაც ასეთი პაციენტი ხვდება არაპროფესიონალთან ან პროფესიონალ, მაგრამ უგულო ადამიანთან, როდესაც ექიმს არ სურს ან არა აქვს საშუალება პაციენტს თვალყური ხანგრძლივად და ინტენსიურად ადევნოს, ინიშნება რაიმე დამაწყნარებელი. ეს დამაწყნარებლები გონებრივი რეტარდაციის ხელშემწყობი პირველი ფაქტორია. ხანგრძლივი ანტიეპილეფსიური მკურნალობა, ხანგრძლივი სედატიური საშუალებები ტვინის განვითარებას ძალიან აფერხებს, განსაკუთრებით - ბიჭებში და განსაკუთრებით სიცოცხლის პირველი სამი წლის ასაკში. ამ დროს ტვინი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ბიჭების ტვინი ამ ასაკში ისედაც ნელა ვითარდება და როდესაც მის განვითარებას კიდევ უფრო თრგუნავ, ფაქტობრივად, ხელს უშლი ადამიანის განვითარებას. შედეგად ვიღებთ ღრმა შეფერხებებს, რომლებსაც უკვე ველარაფერს შველიან. ასეთ მოზარდებთან აუცილებლად უნდა მუშაობდეს ექიმი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი და ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც პაციენტის მდგომარეობის ადაპტაციას მოახდენს ისე, რომ მან საზოგადოებასთან ურთიერთობაში დისკომფორტი არ იგრძნოს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ, სწორ სამედიცინო მენეჯმენტს და სწორ ფსიქოლოგიურ ჩარევას.**

**ოლიგოფრენია: მისი გამოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს თავის ტვინის განვითარების შემაფერხებელი მინერალური, თუ ჰორმონალური დარღვევები ქრონიკული ინფექციები და სხვა. ოლიგოფრენიის ფორმებია: იდიოპათია, იმბეცილიზმი და დებილობა. გავრცელება - 0,7-3%.**

**ამ სამიდან იდიოტია ფსიქიკური განუვითარებლობის ყველაზე მძიმე ფორმაა. ასეთ ბავშვებს IQ (ინტელექტის მაჩვენებელი, ნორმაა 70-75 ზევით) - მხოლოდ ნოლიდან ხუთამდე, იშვიათ შემთხვევაში კი ოცამდე აქვთ. მათი საზოგადოებასთან ადაპტაცია, თითქმის, შეუძლებელია.**

**იმბეცილობა და დებილობა ოლიგოფრენიის ყველაზე მსუბუქი ფორმაა. ეს ადამიანები ინტელექტუალურ აზროვნებას მოკლებულნი არიან, მაგრამ მათი IQ ხშირად ნორმალური მაჩვენებლის ზღვარზეა ხოლმე. იმბეცილებსა და დებილებს შეუძლიათ - მოუარონ საკუთარ თავს, ისწავლონ რაიმე ხელობა, წერა-კითხვა, ანგარიში და ურთიერთობა დაამყარონ გარშემო მყოფებთან. მათი საზოგადოებასთან ადაპტირება, მონდომების შემთხვევაში, ადვილად შესაძლებელია.**

**მიკროცეფალია: ეს დაავადება ალკოჰოლიკი მშობლების შვილებისთვისაა დამახასიათებელი. მიკროცეფალიით დაავადებულ ბავშვებს, თავის ქალის განუვითარებლობის გამო, თავის მცირე გარშემოწერილობა აქვთ, თუმცა მათი ტვინი, ხშირ შემთხვევაში, ნორმალურად ფუნქციონირებს.**

**ჰიდროცეფალია: თავის ტვინის ქსოვილის შიგნით არსებული სითხის სიჭარბე; იწვევს ძლიერ თავის ტკივილს, ემოციურ აღგზნებებსა და ხშირ შარდვას; შესაძლოა, ახლდეს ეპილეფსიური გულყრები; საჭიროა მუდმივი თვალყურის დევნება, რათა სითხე ტვინის ღერძს არ დააწვეს. ჰიდროცეფალია მენტალური სფეროს დაზიანებას არ ნიშნავს და სწორედ მოვლის შემთხვევაში ასეთი ადამიანების სრული რეაბილიტაციაა შესაძლებელი.**

**ყველა ასეთი ბავშვისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ პედაგოგიურ და სოციალურ გარემოს. არ შეიძლება, ერთნაირად უდგებოდე და ერთნაირად ზრდიდე ცერებრული დამბლის მქონე და იდიოტიით დაავადებულ ადამიანს. არ შეიძლება, ერთნაირად ამეცადინებდე, უფრო სწორად კი, საერთოდ არ ამეცადინებდე იმბეცილსა და მიკროცეფალიის მქონე ბავშვს. არ შეიძლება, მათ უმალავდე სათამაშოებს, რომელიც მათი განვითარებისათვის ასეთი აუცილებელია. ასეთ ბავშვებთან კულტ-მუშაკი კი არა, ფსიქოლოგი უნდა მუშაობდეს.**

ლი დამბლის, მიკროცეფალიის, ოლიგოფრენიის, ჰიდროცეფალიისა და სხვა დაავადებების მქონე ბავშვები ერთად ცხოვრობენ. სახლის ექიმი და დირექტორი ადგილზე არ დაგვხვდნენ; სხვამ არავინ იცოდა კონკრეტულად რომელ ბავშვს რა დაავადება სჭირს. არც ის იციან, რა დაავადება რას ნიშნავს. უფრო მეტიც, აქ აღსაზრდელების ზუსტი ასაკიც კი არავინ იცის. იქ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ძიძებისათვის, პედაგოგებისათვის, მზარეულებისათვის, დამლაგებლებისათვის, კულტ-მუშაკისათვის, ექთნისათვის იქ მყოფი ყველა ბავშვი ერთია - დებილი; შემდეგ კი ხდება პატარა გრადაცია - *გონებიანები* და *უგონოები*.

პატარა ჯუნას ჩვენი ჩასვლა ძალიან გაუხარდა, სასწრაფოდ ხელი მომკიდა და იმ ბავშვებთან შემიყვანა, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ. მერე კანფეტი თავადაც მთხოვა და მათთვისაც დამარიგებინა. ჯუნამ არ იცის, რამდენი წლისაა. დარწმუნებული ვარ - მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისთვის არავის უსწავლებია, თორემ ადვილად დაიმახსოვრებდა.

როგორც ძიძები ამბობენ, კასპის ბავშვთა სახლში, დაახლოებით, 54 ბავშვი ცხოვრობს 5-18 წლამდე ასაკისა. თუმცა, ჩვენ იქ ოცდაათზე მეტი ვერ დავთვალეთ. ვერც იქ მომუშავე პერსონალის რიცხვი დავადგინეთ დაზუსტებით. შემდეგ რომ გამოვიანგარიშეთ, ორმოცამდე გამოვიდა. სოფელ ახალქალაქისთვის ეს სახლი კარგი სამუშაო ადგილია. თუმცა, მიუხედავად პერსონალის სიმრავლისა, ამ სახლში არ მუშაობს არც ფსიქოლოგი და არც ლოგოპედი; ოკუპაციურ თერაპევტზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ძინავთ გაყინულ ოთახებში, ბინძურ თეთრეულზე. იყო დრო, როდესაც ამ ბავშვების ერთადერთი საკვები ლობიოს წვნიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლის ბინადრებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღეში 6 ლარია გამოყოფილი. ახლა ეს მხარე უფრო მოწესრიგებულია. კვების ბლოკი იაპონელებმა გაარემონტეს.

სოსო, 21 წლის:

- რას აკეთებთ ხოლმე დღის განმავლობაში?
- **ვჭამთ.**
- რას?
- **კარტოფილს.**
- სულ კარტოფილს?
- **ჰო. არა - ხორცსაც. კაი რაც არის, იმასა ვჭამ ხოლმე.**
- რა არის კარგი?
- **მაკარონი.**
- დილას რას ჭამთ?
- **დილით ჩაი და კარაქიანი პური.**
- საღამოს?
- **საღამოს ბრინჯსა.**
- რამეს გასწავლიან?
- **კი - ვხატავთ.**

მართალია, მეორე სართულზე რაღაც ლაბორატორია არსებობს, სადაც სახლის ბინადრებმა, წესით, უნდა ხატონ, ქსოვონ და ხეზე იმუშაონ, მაგრამ იქ ისე ცივა, რომ, ზაფხულის გარდა, ზევით ვერავინ ავა. როდესაც თბილა 16 ბავშვი აჰყავთ ხოლმე - *გონებიანები*... მხოლოდ მათ შეუძლიათ დახატონ და მოქსოვონ ისეთი რაღაცები, რაც გამოიყენება და საახალწლოდ ჩასულ მაღალჩინოსან სტუმრებს წარედგინება. "სადღესასწაულო ნომრების მოსამზადებლად" აქვთ ახლად გარემონტებული სათამაშო ოთახიც. თუმცა, ეს ოთახიც უმეტეს დროს დაკეტილია... მხოლოდ სტუმრად ჩასულებისთვის ასრულებენ *გონებიანები* კულტ-მუშაკის ხელმძღვანელობით მომზადებულ სიმღერებს. სხვა დროს დარბაზი ცარიელია, სათამაშოები კი ბოქლომდადებულ კარადაში ინახება. განსაკუთრებულ შემთხვევებში მათაც გამოამზეურებენ ხოლმე.

ელენე, 20 წლის: **"რა ვი, აქ ძალიან კარგია. აი, ბათუმში რომ წაგვიყვანენ ხოლმე, ვერა ვძლებ, ისე მინდა აქ დაბრუნება. კარგა რო გამოზაფხულდება, რო დაცხება ბათუმში წავალთ. ათი დღე ვრჩებით იქა. გონებიანები - დიდი ბავშვები წავალთ. აბა, პატარები რომ წაიყვანონ, ჩაიხრჩობიან. გონებიანები ცოტა ვართ - ბიჭები არიან ოთხნი; ახლა გასულები არიან. გოგოები ვართ ხუთი. თბილისშიც კი დავყავართ დირექტორსა. აი, კარგად რო გავიზრდები, ქალი რო გავხდები, მერე წავალ აქედანა, სად - ჯერ არ ვიცი. რამეს მომინახავენ რა, რამეს გამიკეთებენ. აბა, ეხლა სად წავიდე? ჯერ გზები კარგად არ ვიცი. აი, ზოგი ამერიკაში წაიყვანეს, ზოგი წააშვილეს აქედანა".**

ელენეს სამუდამოდ ამ სახლში დარჩენის უფლება არ აქვს. ამ ახალგაზრდებს, რომლებიც საზოგადოებასთან შეხვედრისათვის სრულიად მოუმზადებლები არიან, ორი პერსპექტივა რჩებათ: როგორც ერთ-ერთმა ძიძამ გვითხრა, *გონებიანებს* ქუთაისის მოზრდილთა თავშესაფარში აგზავნიან, *უგონოებს* კი - თერჯოლაში. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ქუთაისში ერთი გაუბედურებული ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი არსებობს 10-საწოლიანი სტაციონარით. თუმცა, ახლა იქ არავინ წევს. აღრიცხვაზე კი 1000 ადამიანი ჰყავთ, რომლებიც დროდადრო ვადაგასულ, ჰუმანიტარულ წამლებს აკითხავენ ხოლმე.

■ ■ ■

ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ჟვანიამ და ევროკავშირის ყოფილი ელჩის, დენის კორბოის მეუღლემ, ჯეინ კორბოიმ ექვსი წლის წინ ორგანიზაცია "პირველი ნაბიჯი" დააარსეს. ამ ორგანიზაციის მიზანია, მოამზადონ ის ბავშვები, რომლებიც დღეს "კასპის სახლის" მსგავს ინსტიტუტებში ცხოვრობენ, საზოგადოებასთან ადაპტაციისთვის. რამდენიმე წლის წინ მათ "კასპის ბავშვთა სახლიდან" 24 ბავშვი წამოიყვანეს. 12 მათგანი დღეს დიღომში სპეციალურად მათთვის აშენებულ სოფელში ცხოვრობს. 12, ჯერჯერობით, საავადმყოფოებშია. სექტემბრისათვის მათთვის კიდევ ერთი სახლი უნდა დამთავრდეს. მესამე შენობაში "დღის ცენტრი" განთავსდება ქალაქის ბავშვებისათვის. „პირველი ნაბიჯის" ექიმები კასპში კვირაში ერთხელ დღემდე ატარებენ მონიტორინგს; ამოწმებენ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას და მათთვის მედიკამენტებიც ჩააქვთ. ნინო ჟვანია: **"პირველი ნაბიჯის" ფუნქცია არ არის, რაღაც ინსტიტუტის შექმნა, სადაც ყველა ეს ბავშვები ერთად იცხოვრებს. ჩვენ უფრო გარდამავალი ეტაპის მისია გვინდა, შევასრულოთ. ჩვენ გვინდა, მთელი ჩვენი მუშაობა მივმართოთ იქითკენ, რომ საქართველოში, ასეთი ინსტიტუტების ალტერნატიული ბავშვის მოვლის სერვისი განვითარდეს და დაინერგოს მათი განვითარებისა და განათლების სწორი სისტემა".**

"პირველი ნაბიჯი" სენაკის ბავშვთა სახლსაც უწევს პატრონაჟს და ამ სფეროში კიდევ სხვა მრავალი მიმართულებით უწევს მუშაობა. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ეს საქმე იმდენად მიუხედავია, რომ მხოლოდ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორი მასშტაბური და ქმედითუნარიანიც არ უნდა იყოს ის, ყველაფერს ვერ გასწვდება. ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს საქმეა. ასეთი ინსტიტუტების სრული სტრუქტურული ცვლილება და ახალი სწორი მიმართების დანერგვა სახელმწიფოს განსახორციელებელია. თუმცა, ცუდი სულაც არ იქნება, თუ ამ საქმეში ის ინსტიტუტებიც ჩაებმებიან, ვისი პირდაპირი მოვალეობაც ქველმოქმედება გახლავთ.

მსგავს ბავშვთა სახლში მოხვედრა ცხოვრებაში ორჯერ მომიწია; ერთხელ - 1999 წლის ოქტომბერში ნოი-დეთელჰაუში, გერმანიაში, მეორედ კი - 2004 წლის აპრილში, ვნების კვირაში, კასპში. ოღონდ პირველ შემთხვევაში, მეორისგან განსხვავებით, ცერებრული დამბლითა და იდიოტიით დავადებული ბავშვები ერთად არ ცხოვრეობდნენ და მათ ერთი ქარგით არ უვლიდნენ.

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ გერმანიაში ეს ბავშვები გაკრიალებულ, მოვლილ შენობაში იმყოფებოდნენ, კარგად იკვებებოდნენ და თბილ ოთახებში, სუფთა თეთრეულში ეძინათ. ეს მეორეხარისხოვანია. მთავარი ის არის, რომ ამ სახლში მომუშავე პერსონალმა - დამლაგებლიდან დაწყებული, დირექტორით დამთავრებული, ზუსტად იცოდა, რომელ ბავშვს რა დაავადება ჰქონდა და როგორ უნდა მოჰქცეოდნენ მათ. არაფერს ვიტყვი იმაზეც, რომ ამ ბავშვებთან განუწყვეტლივ მუშაობდა ფსიქოლოგიც, ლოგოპედიცა და ოკუპაციური თერაპევტიც; რომ მათ ასწავლიდნენ ყველაფერს, რისი ათვისებაც მათთვის შეიძლებოდა და მომავალი ცხოვრებისათვის, საზოგადოებაში ადაპტირებისათვის ასე ამზადებდნენ. ხაზს გავუსვამ მხოლოდ იმას, რომ ნოი-დეთელჰაუში ამ სახლის მუშაობას კოორდინირებას გერმანიის ევანგელისტური ეკლესია უწევდა. იმავე სოფელში ისინი მოხუცთა თავშესაფარზე და უნარშეზღუდულ მოზრდილ ადამიანთა სახელოსნოებზეც ზრუნავდნენ. მახსოვს, ის კაცი, რომელიც სამივე ამ სახლს კოორდინირებდა, გვეუბნებოდა, - ამ დღეებში რუმინეთში მივდივარ, იქაური მართლმადიდებლური ეკლესიის მოწვევით, რათა ასეთი პროგრამების სწორად დაგეგმვის გამოცდილება მათაც გავუზიაროო. შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ სტუდენტებს გვეკითხებოდა, - თქვენ ქვეყნებში ეს საქმე როგორაა მოგვარებულიო. მაშინ მე ვდუმდი. ახლა კი არ დავდუმდები და ვიკითხავ: რატომ არ შეიძლება ჩვენმა საპატრიარქომ, მეათასე ეკლესიის აშენების ნაცვლად, ან ამის პარალელურად, ამ ბავშვებისათვის ფსიქოლოგის, ლოგოპედისა და ოკუპაციური თერაპევტის მუდმივმოქმედი შტატი დააფინანსოს?

*არც ერთმა ძიძამ არ იცის, რა ჰქვია ვალერის, გიორგის, ან თენგოს დაავადებას; არც ის იციან, რა წამლებს სვამენ და რამდენ ხანში ერთხელ.*



*მშობლებმა გიორგი აქ ერთი წლის წინ მიიყვანეს. "ოთხი ხუთი წლის იქნება," - ამბობს ძიძა, - „ღარიბი ოჯახიდანაა, ალბათ, ვეღარ მოუარეს. ძალიან ცელქია, სიარული არ იცის, მაგრამ რო გაუშვა, ხოხვით აი, იქ გავა. „ახლა გიორგი ინვალიდის ეტლში მშვიდად ზის და სათამაშოთი თამაშობს. "ბებია წევიდა"? - კითხულობს დროდადრო; მხოლოდ ეს ორი სიტყვა იცის. ახლა სიცელქის არაფერი ეტყობა - ალბათ, დამაწყნარებლები აქვს მიღებული.*



*ძიძა: "ეს ყველაზე ახალი მოყვანილია; ქუთაისიდანაა; დედა ჰყავს და დაც; იქნება, ასე, თორმეტი წლის. ხშირად არ აკითხავენ ხოლმე. მე სულ ერთხელ ვნახე დედამისი. რატომ ვერ ჩამოდის, არ ვიცი. ალბათ, მსახურობს, თორემ ეკონომიკურად არა მგონია, უჭირდეს"*



*ვალერი თბილისიდანაა. დედაც ჰყავს, მამაც, ძმაც; ხშირად აკითხავენ ხოლმე. ახლა წაყვანილიც ჰყავდათ და ისევ დააბრუნეს. ვალერიმ ლაპარაკი არ იცის და სულ ყვირის.*



*მეპურე ერთ ჭამაზე ერთ დიდ პურს ჭამს; ერთი ნაჭერი თუ მიეცი, კივილს იწყებს. უყვარს რადიო „ფორტუნაზე" ცეკვა.*



*რუსთაველი ლევანი 19 წლისაა; დედა არ ჰყავს, მამა და ძმა ორ კვირაში ერთხელ აკითხავენ ხოლმე; ჩვენს ბიჭებს სიგარეტი და საპარსი სთხოვა და, - წითელ პარასკევს ჭვარიც ჩამომიტანეთო.*



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# წინათ კი ნიჭი იყო საჭირო

A1 გვერდიდან

**- ისეთ თვეში ხართ დაბადებული, აუცილებლად პოეტი უნდა გამოსულიყავით.**

- აპრილში ჰიტლერიც დაიბადა, ჩარლი ჩაპლინიც და, სხვათა შორის, ლენინიც.

**- როგორია ეს ასაკი?**

- ცნობილი გამოთქმაა - ყველა ასაკს თავის ეშხი აქვს... გულდაწყვეტილი ვარ იმის გამო, რომ სიყრმის და სიჭაბუკის მეგობრები აღარავინ დამრჩა. რა თქმა უნდა, მერეც შევიძინე მეგობრები, მაგრამ ის სულ სხვაა.

75 წლის რომ გახდები კაცი, უფლის მადლობელი უნდა იყო, რომ ამდენ ხანს გაძელი. ძველებური ეშხი და ხალისი აღარ არის - ის თანშეზრდილი ბიჭები და გოგონები, ვინც ჩემი ავი და კარგი იცოდნენ, რომელთა სიყვარული და ურთიერთობა ჩემთვის ძალიან სასურველი იქნებოდა, აღარ არიან, გული მეთანაღრება მათ გამო. არასდროს მეგონა, თუ ასე განვიცდიდი მათ წასვლას.

მომდევნო თაობა დიდად გულზე არ მეხატებოდა, მაგრამ ახლა ისინიც მიყვარს, სხვა აღარავინ დარჩა.

**- ცხოვრებაში ერთი ლექსი მაინც ყველას დაუწერია. თავის დროზე, თქვენც ამიტომ ხომ არ დაიწყეთ ლექსის წერა?**

- ლექსებს მაშინაც ვთხზავდი, როცა წერა-კითხვა არ ვიცოდი. თუმცა, ამ საქმეს სერიოზულად არ ვეკიდებოდი. ეს არასერიოზული ლექსები ჩემი სკოლის ამხანაგებს ძალიან მოსწონდათ.

საშუალო სკოლაში ქართულს კარგი მასწავლებელი, ვარო ვარდიაშვილი მასწავლიდა. ძალიან მიყვარდა ეს პედაგოგი და მასაც ვუყვარდი, ალბათ, ჩემი თემების გამო, თორემ არც კი იცოდა, ლექსებს რომ ვწერდი. ერთხელ ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს აღსანიშნავად ჩვენმა სკოლამ მოზარდ მაყურებელთა თეატრში საღამო მოაწყო. ლექსი იყო საჭირო... მაშინ მერვე კლასში ვიყავი. ჩემს კლასში სიმონ გამსახურდია სწავლობდა, ზვიადის ბიძაშვილი, ის უკვე "ცნობილი" და სერიოზული პოეტი იყო. ცხადი იყო, ლექსს ის დაწერდა, მაგრამ ბიჭები აყვირდნენ, მაჭავარიანი დაწერსო. ("მაჭას" მეძახდნენ, ჩემს დას კი - "მაჭოს"). ეს იყო ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა. ლექსის მხოლოდ ფინალი მახსოვს:

**შენმა მერანმა დატოვა კვალი,**
**გზა არ წაშლილა შენგან თელილი,**
**დღესაც ჭიხვინებს შენი მერანი,**
**მრავალ ქარტეხილს**
**გადარჩენილი,**

- ლექსს დიდი წარმატება ხვდა წილად, ჯილდოდ კოსტიუმის ორდერი მომცეს - ეს იყო ჩემი პირველი ჰონორარი, რომლითაც კოსტიუმი შევიძინე.

**- ლიტერატორი მეგობრები - როგორ იკრიბებოდა ეს წრე?**

- ლიტერატორი მეგობრები სკოლიდანვე მყავდნენ. ასეთი იყო შოთა ჩანტლაძე, ჩვენ ერთად ვსწავლობდით. შოთა საშინელი ანტისაბჭოთა ელემენტი იყო. მან დიდი გავლენა მოახდინა ეროვნული მოძრაობის შემდგომ ლიდერებზე. კოსტავა და გამსახურდია, ფაქტობრივად, მისი დაზრდილები არიან.

შოთა იქვე ცხოვრობდა, უნივერსიტეტის ეზოში იჯდა ხოლმე. თითქმის ყველა თაობამ მის ხელში გაიარა. ასაკით უმცროსებთან მეგობრობის საოცარი უნარი ჰქონდა. ეს უნარი მე არ მაქვს, უფროსებთან მეგობრობა შემიძლია.

შოთამ, ჩემმა მეგობარმა გივი ძნელაძემ (რომელიც ერთი წლის წინ გარდაიცვალა) და მე ერთად ვთარგმნეთ კალევალა, "ფინური ეპოსი", გამოიცა კიდეც.

**- სახელი ანტისაბჭოთა სულისკვეთებით განმსჭვალულმა ლექსებმა მოგიტანათ. აკრძალულიც კი იყავით. მთავრობა რა პრობლემებს გიქმნიდათ?**



მუხრან მაჭავარიანი.

ეს ამბავი მსოფლიო მოვლენაა - დღეს ნიჭი, როგორც ასეთი, საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ სურვილი - გსურს, მომღერალი გახდები, გსურს - მხატვარი, ან მწერალი, ან პოეტი - ოღონდ გსურდეს, მეტი არაფერია საჭირო. წინათ კი ნიჭი იყო საჭირო.

- 1955 წელს გამოცემული ჩემი პირველი წიგნიც კი გააჩერეს, მაგრამ დიდი ნაწილის შეძენა და დარიგება მოვასწარი. ეს მწერლებისგან წამოსული მტრობისა და შურის გამო მოხდა, სხვა ახსნა ამას არ ჰქონდა.

მთავრობისთვის შინაარსისა და ფორმის გამოც ვიყავი მიუღებელი. 1949 წელს მივედი მწერალთა კავშირში და სწორედ მაშინ წავიკითხე "საბა". მაშინ 20 წლის ვიყავი და საუკეთესო ლექსები სწორედ ამ ასაკში დავწერე. ლექსებს დიდი მოწონება ხვდა წილად. მაშინ ცოცხლები იყვნენ გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ირაკლი აბაშიძე...

ამის მიუხედავად, ჩემი ლექსი აღარავინ დაბეჭდა. მხოლოდ 1952 წელს დაიბეჭდა "პირველ სხივში", მაგრამ ეს არ იყო ცენტრალური პრესა, ეს იყო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახი.

**- მწერლების შური და მტრობა ახსენეთ, ვინ იყვნენ ისინი?**

- კონკრეტულად მათ დასახელებას აზრი აღარ აქვს.

**- ღიად მხარს ვინმე გიჭერდათ?**

- უფროსმა თაობამ ძალიან დიდი მორალური მხარდაჭერა გამიწია. ჩემი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, პატივს მცემდნენ და თავს მიყადრებდნენ ლეონიძე, გამსახურდია, გიორგი შატბერაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გალაკტიონი. ისეთ ახალგაზრდასთან, როგორც მაშინ მე ვიყავი, თავად არასდროს მქონია ურთიერთობა.

**- ახალგაზრდა ლიტერატორებთან არ გაქვთ კონტაქტი?**

- მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის დროს ვინც იყო, ყველას ვიცნობდი. სამოქალაქო ომი და გადატრიალება რომ მოხდა, ეს პოსტი დავტოვე. ახლებს ვერც ვხვდები. რა თქმა უნდა, მწერალთა კავშირში აღარ დავდივარ...

**- არც ისინი დადიან მწერალთა კავშირში.**

- ჰო, სხვანაირი განწყობის ხალხია.

**- ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაებით. მახსოვს, უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილმა სტუდენტებმა დროშა მოგაწოდეს და თქვენ გაფითრებული, მაგრამ მტკიცედ გაუძღვით წინ...**

- ეროვნულ მოძრაობაში მუდამ ვიყავი. ზვიადი და მერაბი ჩემზე 10 წლით უმცროსები იყვნენ. ბატონი კონსტანტინე ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ და, რა თქმა უნდა, ზვიადსაც ვიცნობდი. როცა ის დისიდენტი იყო, ჟურნალები "მოამბე" და "ოქროს საწმისი" მოჰქონდა და ვკითხულობდით. მან იცოდა, რომ ჩვენი სამშობლოს მიმართ ერთი აზრი გვამოძრავებდა. პოლიტიკა არ მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს. ზვიადმა მთხოვა, მჭირდებიო და "მრგვალ მაგიდაში" შევედი.

გადატრიალება რომ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ კიტოვანი და იოსელიანი მიცნობდნენ, პატივს მცემდნენ და სამსახურიდან არ გამაგდებდნენ, მწერალთა კავშირი მაინც დავტოვე - მათი დიქტატის ქვეშ მსახური არ მინდოდა.

**- ერთ ხანს დაიკარგეთ, სოფელში ცხოვრობდით.**

- სულ სოფელში არ ვიყავი, მაგრამ დიდ დროს იქ ვატარებდი. ამ წლების განმავლობაში ლექსებს ვწერდი და ორი წიგნიც გამოვეცი. ერთი მოსკოვში დაიბეჭდა, ერთი - თბილისში. ლექსებში იმ პერიოდის მოვლენებია ასახული. მაგრამ ეს წიგნები ცნობილი არ არის, ვის ეცალა წიგნისთვის... დღეს წიგნის გამოცემა პრობლემაა, დიდი ფული უნდა. თუ გამოეცი, გაყიდვა ხდება პრობლემა.

თუ პატრონი გამოჩნდა, რამდენიმე ტომის გამოცემა შეიძლება, მზადაც მაქვს. ლექსების გარდა მეცნიერული ნარკვევები, ლიტერატურული წერილები, თარგმანები მაქვს.

**- თანამედროვე ლიტერატურულ გამოცემებში რატომ არ იბეჭდებით?**

- ჩემთვის ეს არავის უთხოვია და ის კაცი არ ვარ, ვინმეს ვთხოვო, დამიბეჭდე-მეთქი... ამ თემაზე საუბარი არ მინდა. ახალ მწერლებზე განსაკუთრებული აზრის ვარ.

**- საინტერესო იქნებოდა ეს აზრი.**

- ხელოვნებასა და ლიტერატურაში სამწუხარო ამბავი მოხდა - წამოტივტივდა ხალხი, რომელიც ჩემს დროს უნიჭოდ ითვლებოდა. ეს ამბავი მსოფლიო მოვლენაა - დღეს ნიჭი, როგორც ასეთი, საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ სურვილი – გსურს, მომღერალი გახდები, გსურს - მხატვარი, ან მწერალი, ან პოეტი - ოღონდ გსურდეს, მეტი არაფერია საჭირო - წინათ კი ნიჭი იყო საჭირო.

**- ახალ ლიტერატურულ პროცესებზე რას ფიქრობთ?**

- რასაც ხელი მიმიწვდა და რაც წამიკითხავს, განსაკუთრებული არაფერი შემხვედრია. რა თქმა უნდა, ნიჭიერებიც არსებობენ. უცნაური რამ არის - ასე ვიცოდი, რომ ერთი მწერალი მეორისგან უნდა განსხვავდებოდეს, მწერალს ამის სურვილი უნდა ჰქონდეს. ახლა პირიქით არის, რაც უფრო გვანან ერთმანეთს, უფრო უხარიათ.

ერთხელ, დათო ტურაშვილის ინიციატივით, თეატრალურ სარდაფში მიმიწვიეს. დათოს ვიცნობდი. როდესაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვიყავი, იქ დადიოდა. გამიკვირდა, როცა დამირეკა და მითხრა, რომ ახალგაზრდობას ჩემთან შეხვედრა სურდა. უბრალოდ, ინტერესის გულისთვის წავედი – მაინტერესებდა, რა იციან, როგორ იციან, როგორ მიყურებენ. აგრესიულად შემართული და თავდასხმისთვის მზად ვიყავი. იქ კი უზარმაზარი სიყვარული დამხვდა - მისმენდნენ, ჩემი ხუმრობა ესმოდათ, ჩემი ლექსები იცოდნენ, იატაკზე ისხდნენ...

**- რატომ გეგონათ, რომ ამ ახალ თაობას თქვენი არ ესმის?**

- ფესვების მიხედვით, ახლებს ჩემი ინტერესი არ უნდა ჰქონოდათ. ასე მგონია, ეროვნულ ფესვებზე არ დგანან.

**- ხომ არ გგონიათ, რომ ეს თაობა უფრო ეროვნულ ნიადაგზე დგას, ვიდრე უფროსი თაობა?**

- ღმერთმა ქნას. მაგრამ, მხოლოდ ეროვნულობაზე არ არის საუბარი, ლიტერატურულ ფორმასა და ხედვასაც ვგულისხმობ. ყოველთვის რეალისტი ვიყავი და რეალიზმზე უკეთეს ფორმად არაფერი მეჩვენება. საერთოდ, ყველაფერი რეალიზმისკენ მიდის.

**- არ გეგონათ, მაგრამ ახალი თაობის და განსხვავებული ხედვისა და მენტალობის პოლიტიკოსმა მიხეილ სააკაშვილმა დაგიყენათ გვერდით...**

- მის გარშემო იყო ხალხი, ვინც მიცნობდა. თვითონაც ციდან კი არ არის ჩამოსული, სკოლა აქ დაამთავრა. ეტყობა, მიაჩნდა და ტყუილად არ მიაჩნდა, რომ ჩემს სიტყვასა და პოზიციას მნიშვნელობა ჰქონდა. მე კი, თუ დაინტერესება არ მოდის, ვინც არ უნდა იყოს, ჩემი ინიციატივით არავისთან მივდივარ. თუ მომწონს ის, საიდანაც დაინტერესება მოდის, მივდივარ... სააკაშვილს რომ ვუთხარი - 50 წელი დამჭირდა, ხალხის სიყვარული რომ მომეპოვებინა და შენ 10 დღეში მოიპოვე-მეთქი - ტყუილი კი არ მითქვამს. მისი ქება-დიდება არ მინდა, მაგრამ ის არაორდინარული პიროვნებაა.

**- აღარც სააკაშვილის გვერდით ჩანხართ...**

- დავით აღმაშენებლის საფლავზე რომ ფიცი დადო, ქუთაისიდანაც დამირეკეს. არავითარ შემთხვევაში მანდ არ ჩამოვალ-მეთქი, ვუპასუხე - რაში ჭირდებოდა ჩემი მხარდაჭერა? როცა ეს საჭირო იყო, მივედი და ქუთაისში რომ ჩავსულიყავი და სააკაშვილის ქება-დიდება დამეწყო, რაში სჭირდებოდა? ვგრძნობ, რა და როდის არის საჭირო. ამის გამოცნობა ჩემს ასაკში უკვე ქვეცნობიერად ხდება...

არც უზენაეს საბჭოში მინდოდა და არც პარლამენტში, როცა "აღორძინების" სიით ვიყავი. პარლამენტი ჩემი საქმე არ არის და ახლა რომ არ ვარ, ძალიან მიხარია.

**- "აღორძინების" სიაში როგორ მოხვდით?**

- დიდი ხვეწნა-მუდარით, ორი წელი შემოჩენილები მყავდნენ. მაშინ ისინი ოპოზიცია მეგონა და რა ოპოზიციაც გამოდგა, კი ნახეთ.

**- ამას როდის მიხვდით?**

- მალე კი მივხვდი, მაგრამ გვიან იყო.

**- და დატოვეთ მათი რიგები?**

- არავითარ რიგებში არ ვყოფილვარ. ერთგვარი "პარავოზივით" შემიყვანეს ბლოკში და გაიმარჯვეს. მერე უკადრისები მაკადრეს და ამის გამო დავტოვე "აღორძინება" - სადაც ჩემი ფასი არ იციან, ჩემი ღირსი არავინ არის-მეთქი. ერთმა თქვა, "აღორძინება" მაშინ დაიღუპა, მუხრანი რომ წავიდაო...

**- ოჯახის შესახებ...**

- ქალ-ვაჟი მყავს. ქალიშვილი აფხაზური ენის სპეციალისტია, სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობს. ჰყავს ორი ქალიშვილი - სოფიო ახმეტელი, მოთხილამურე და ანა ახმეტელი. ის ფილოლოგია, რეჟისორია და ახლა მასწავლებლობა მოინდომა, პირველ სკოლაში ასწავლის.

უკვე 10 წელია, ჩემი ვაჟი კანადაში ცხოვრობს. მას ორი ბიჭი ჰყავს - მუხრანი და რატი. ჩემი მეუღლე ტელევიზიაში მუშაობდა, ტელეჟურნალისტი და ინგლისური ენის სპეციალისტია. მისი სცენარებით ბევრი რამ არის გადაღებული. გახსოვთ, ალბათ, ფილმი "შორია გურჯისტანამდე" - ისიც მისი სცენარია.

ჩემი შემოსავალი პარლამენტის ხელფასი იყო, ახლა მაგდენივე პენსია მექნება.

**- "ვარდების რევოლუციის" დროს ბევრმა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოთქმისგან თავი შეიკავა. ეს ასე უნდა იყოს?**

- მწერლებს კარგად ვიცნობ, ხუთი წელი მათი მეთაური ვიყავი - აფხაზეთის მწერლობაც ჩემთან შემოდიოდა და ოსეთისაც. მწერალთა კავშირის წევრი 1954 წელს გავხდი. ძველები შემართული ხალხი იყვნენ - გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე - ახალგაზრდობაში ისინი მაგრები იყვნენ და თავის პოზიციას არ მალავდნენ, ეს მათი ბიოგრაფიიდანაც არის ცნობილი. მერე რაღაცნაირი ხალხი წამოვიდა - განმდგარნი არიან ამ ყველაფრისგან, ვითომ არ ერევიან და მათი საქმე არ არის. როგორ შეიძლება, სამშობლოს ბედი მწერლის საქმე არ იყოს?! არ მესმის... თქვენ რომ შეკითხვები დაგისვამთ და პასუხები არ მიგიღიათ, ეს მათი შიშია და შიში სიგლახე არ არის?!

**- საკუთარი ინიციატივით გამოჩენა არ გიყვართ, მაგრამ როდის დადგება ის დრო, როდესაც შეხვედრებზე და საღამოებზე გიხილავთ?**

- ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ ვიღაც არ მომწონს. უბრალოდ, ხალისი დავკარგე, თორემ ვიცი, რომ ჩემი აქტიურობა ბევრს გაუხარდება. ყველას წინასწარ ვაცნობე და შევატყობინე, რომ თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდონ და ვინმემ ორდენის მოცემა ან საღამოს გამართვა არ მოისურვოს. ამას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები, რა ვქნა, ასეთი ხასიათი ჩამომიყალიბდა... ასეთი კი არ ვიყავი - 50 წლის ასაკში პომპეზურობა მიყვარდა. ცუდია, ხალისს რომ დაკარგავ. თუმცა, მარტო ეს არ არის მიზეზი. უცნაური რაღაც მოხდა - როცა 20 წლის ვიყავი, მწერლებზე ძალიან ცუდი აზრი მქონდა და საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა. მერე ჩვეულებრივი გავხდი და ახლა ისეთი ვარ, როგორიც 20 წლის ასაკში...

ცხონებულმა გიორგი შატბერაშვილმა მწერალთა კავშირში ძალით მიმიყვანა, არ მივდიოდი, ჩემს ლექსებს რას გაიგებენ-მეთქი... ვითომ რატომ არ გაიგებდნენ გიორგი ლეონიძე და გალაკტიონი ჩემს ლექსს?!

**- ახლაც ასე გგონიათ, რომ თქვენს ლექსებს ვერ გაიგებენ?**

- ახლა საუბარი სხვა რამეზეა - მაღალი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ როცა 20 წლის ვიყავი, ეს უსაფუძვლო იყო, ქვეცნობიერად ხდებოდა. ახლა გამოცდილებით ვფიქრობ ასე და საფუძველიც არსებობს.



აგრესიულად შემართული და თავდასხმისთვის მზად ვიყავი. იქ კი უზარმაზარი სიყვარული დამხვდა - ახალგაზრდები იატაკზე ისხდნენ, მისმენდნენ, ჩემი ხუმრობა ესმოდათ, ჩემი ლექსები იცოდნენ.



როცა 20 წლის ვიყავი, მწერლებზე ძალიან ცუდი აზრი მქონდა და საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა. მერე ჩვეულებრივი გავხდი, ახლა კი ისეთი ვარ, როგორიც 20 წლის ასაკში...



რაღაცნაირი ხალხი წამოვიდა - განმდგარნი არიან ამ ყველაფრისგან, ვითომ არ ერევიან და მათი საქმე არ არის. როგორ შეიძლება, სამშობლოს ბედი მწერლის საქმე არ იყოს?! ეს შიში და სიგლახეა.



# აფიშა

## თეატრები

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ჰაროლდ პინტერი
"ღალატი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ტელე(მ)ისტერია"
ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19.00 საათზე

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## გამოფენა

**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ჯემალ გვიმრაძის მემორიალური გამოფენა

## ცირკი

ბასტი-ბუბუს კონცერტი
ფასი: 3-7 ლარი
დას: 15:00 სთ.

## კლუბები

**ნოა-ნოა**
ჯემ-სეიშენი: დი-ჯეი ტანო,
ნინო ქათამაძე და ქართველი ჯაზშემსრულებლები
ფასი: 20 ლარი

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22 საათზე
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი;
გოგონებისთვის – უფასო

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**"ლიტერატურული კაფე"**
**აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**
წიგნის გამყიდველ-კონსულტანტი, წიგნის მაღაზიის მოლარე, კაფეს ადმინისტრატორი, მცხობელი, მიმტანი.
*განცხადებები მიიღება 13 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე: გამსახურდიას N31, "წიგნის სახლი" (ტელ: 31 30 97); "ლიტერატურული კაფე", კოსტავას N48 (ტელ: 92 16 49).*
განცხადებებზე მიუთითეთ თქვენი კოორდინატი.

## "მუმი ტროლი" ახალი პროგრამით



"აჭარა მიუზიკ ჰოლში" მეორედ გამართავს კონცერტს ცნობილი რუსული ჯგუფი "მუმი ტროლი". კლუბიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჯგუფი თბილისში შარშანდელისგან განსხვავებულ პროგრამას შესთავაზებს თბილისურ აუდიტორიას.

ჯგუფის მორიგი ალბომი, რომელიც წელს, თებერვალში გამოვიდა, ესაა რეჟისორ ლეონიდ რიბაკოვის ფილმის - "წიგნების გამტაცებლებისთვის" შექმნილი თანმხლები მუსიკა. ფილმი ეკრანებზე მიმდინარე წლის აპრილიდან გამოვიდა.

*24 საათი*

## ჯემ-სეიშენი

კლუბი "ნოა-ნოა" აღდგომის დღესასწაულს საკონცერტო პროგრამით აღნიშნავს. ამაღამ კლუბში ქართველი ჯაზშემსრულებლებისა და ბუდაპეშტიდან ჩამოსული ქართველი დი-ჯეი ტანოს მონაწილეობით დაგეგმილია ჯაზის, ეთნოსა და თანამედროვე მუსიკალური თემების სინთეზის საღამო. სეიშენში მონაწილეობას მიიღებს ნინო ქათამაძეც. ინსტრუმენტალისტებს შორის კი, კლუბის ადგილობრივი ჯგუფის წევრები იქნებიან. შეგახსენებთ, დი-ჯეი ტანომ რამდენიმე ხნის წინათ მონაწილეობა მიიღო "ნოა-ნოაში" გამართულ ტანგოსა და კუბური მუსიკის საღამოებში. სტუმრებს ამაღამ კლუბში სააღდგომო ნამცხვრებითაც გაუმასპინძლდებიან, ბილეთის საფასურშია გათვალისწინებული.

*24 საათი*

## „მი-ფა-სის" ტრადიცია

თბილისში, ერეკლეს ქუჩაზე "მი-ფა-სის სალონის" წინ ახალი ტრადიცია დამკვიდრდა. ამიერიდან, ყოველ შაბათს, თბილისის ძველ უბანში - ერეკლესა და შარდენის ქუჩაზე ახალგაზრდა მუსიკოსთა ცოცხალი შესრულებით კონცერტები გაიმართება. მისივე თქმით, მომავალში თბილისში ქუჩის ხელოვნების განვითარებაც არის დაგეგმილი. როგორც "ზუმბას" ხელმძღვანელმა ზაზა კორინთელმა განაცხადა, ფესტივალი მიმდინარე წლის მარტში დაარსდა.

*ინტერ-პრესი*

# გადმოპატიჟებული

### ზაალ სამადაშვილის ხმამაღალი ფიქრი

ანა კორძაია-სამადაშვილი

"რა კარგი ყოფილა სტუმრად ყოფნა," თქვა მეოცნებე სახით ლიტერატურული საღამოების მუდმივმა მასპინძელმა, ზაალ სამადაშვილმა. გუშინ, "ლიტერატურულ კაფეში", ის ლაშა ბუღაძის სტუმარი იყო.

თავის საუბარს ზალიკომ "ხმამაღლა ფიქრი" უწოდა, განაცხადა, რომ კონკრეტული თემა არ მოუმზადებია. ჩემი აზრით, ძალიან კარგადაც მოქცეულა, რადგან სულ ხანმოკლე დროის მონაკვეთში უამრავ რამეს მოჰყვა: ხორხე ლუი ბორხესისა და ოსვალდო ფერერას საუბრებიდან ილია ჭავჭავაძის წერილებზე გადავიდა, შემდეგ კვლავ არგენტინელებს დაუბრუნდა და ისე აღწერა ჩემთვის უცნობი ფერერა, სადაც არ უნდა შემხვდეს მისი ფოტოსურათი, აუცილებლად ვიცნობ.

ერთი საინტერესო თვისება აქვს ზაალ სამადაშვილს: თითქოს საშინელებას ამბობს, მაგრამ ისეთი სახითა და ტონით, რომ მიხვდებით, რომ ის თავისი თხრობის საგნისა თუ გმირის მიმართ დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული. მან თქვა, რომ ფერერა არც კაცს ჰგავს, არც ქალს, რომ ის ჰგავს კუს – ხომ უსაშინლესი არსება გამოდის? მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას თავად ზაალისგან არ ისმენთ. ზალიკომ იმგვარად გვიამბო დიდი ბორხესისა და "მათუსალასნაირი" ფერერას წარმოდგენები სიყვარულზე, მეგობრობაზე თუ არგენტინელობაზე, რომ აუცილებლად მოგინდებოდათ ამ წიგნის შეძენა.

ისევე, როგორც "ბიტნიკების ანასხლეტი, ყოვლად წამხდარი, ალკოჰოლიკი და მაწანწალა" ჰუბერტ სელბის გაცნობა, რომლის მიერ 1964 წელს დაწერილი "უკანასკნელი მოსახვევი ბრუკლინზე", ერთი კრიტიკოსის წინასწარმეტყველების თანახმად, "ამერიკის თავზე აფეთქდა". საბრალო სელბის წიგნი ცალკეულ ქვეყნებში აუკრძალავთ კიდეც, მაგრამ ეს ცნობა მკითხველს, იმედია, არ შეაშინებს: სასამართლოს წინაშე ხომ ვლადიმირ ნაბოკოვი, არტურ მილერი თუ ჯეიმს ჯოისიც აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელი შემთხვევის გამო ზალიკო გაოცებას ვერ მალავს: "25 წელია, "ულისეს" ვკითხულობ, და საამისო ვერაფერი აღმოვაჩინეო". მაგრამ რას გაუგებ ფსევდომორალისტებს და რეტროგრადებს...



ზაალ სამადაშვილი "ლიტერატურულ კაფეში".

აუდიტორია ზალიკოს აშკარა სიამოვნებით უსმენდა, არც მობილურების წკრიალი ამტყდარა და არც სიგარეტის ბოლს გაუგუდავს ვინმე. მწერალი გატაცებით ჰყვებოდა რეი ბრედბერისა თუ ივ ბონფუას ამბებს, შემდეგ კი თავისი ახალი კრებულის შესახებ მოგვითხრო.

რისთვის წერს მწერალი? შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ ჩვენთვის შესანიშნავი შეგრძნებაა, როცა ხვდები, რომ ვიღაცა შენთვის ირჯება, განსაკუთრებით, როცა ეს ვიღაცა კარგი მწერალია. ზალიკო სამადაშვილი კი არამარტო მკითხველისთვის, არამედ მსმენელისთვისაც წერს, და "მოსასმენი ნაწერების" მიმართ სიყვარულს ბავშვობის მოგონებებით – რადიოდადგმების მიმართ სიყვარულით ხსნის. თქვენც ხომ გახსოვთ დრო, როცა ყოველ ბინაში სახალხო რადიო ჟღერდა? მე კარგად მახსოვს, მართალია, ის არა, რის შესახებაც ზალიკო მოგვითხრობდა – შესანიშნავი მსახიობების მიერ მოთხრობილი "ბიძია თომას ქოხი" თუ "კრაზანა". მე ძილისპირული მახსოვს, როცა ზღაპარი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: "...და დევმა გოგონა მოხარშა და ვახშმად მიირთვა", და მერე "იავნანა", რექვიემივით რომ ჩამესმოდა ყურში.

ზალიკო წერს ისე, რომ მისი ნაწარმოების არამარტო კითხვა, არამედ მოსმენაც სასიამოვნო იყოს, რომ მოსმენილმაც გრძნობა აღუძრას ადამიანს. "მე მიყვარს სადა და სენტიმენტალური პროზა," თქვა ზალიკომ, და ბატონ ჯაბა იოსელიანისეული სენტიმენტალობის განმარტება გაიხსენა: "ეს ერთადერთია, რაც ადამიანს პირუტყვისგან განასხვავებს".

ზალიკომ წაიკითხა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებსაც ჩვენი გაზეთის მკითხველები უკვე იცნობენ და რომლებიც ახალ კრებულშიც შევა: "მე დავწერ...", "ვარიაციები უსაფრთხო ხომალდის თემაზე", "ნუ ეყვარებით" და "პლეხანოვური ამბავი", რომლის წაკითხვამდეც ძალიან თბილ და ადამიანურ ამბავს მოჰყვა, მაგრამ მისი გადმოცემისგანაც თავს შევიკავებ – ვფიქრობ, ზალიკო მას თავად დაწერს, ხოლო თუ არ აპირებს, მოვუწოდებ, დაწეროს.

რადგან მე ძალიან მომწონს ასეთი ამბები. ძალიან მომწონს, როცა რამეს მიყვებიან, რამეს მიზიარებენ - ფიქრებს თუ გრძნობებს. განსაკუთრებით, როცა მთხრობელი ზაალ სამადაშვილია. გემოვნებაზე არ დავობენო, ნათქვამია, მაგრამ, ზალიკოს აზრით, "როგორ არ დავობენ? აბა, რაზე უნდა იდავო?" და თუ ასეა, შემედავეთ, და მე დაგიმტკიცებთ, რომ ჯობს "ცხოვრება ცაში ატყორცნილ მახვილს შევადაროთ და არა აბაზანის ნახვრეტში ხრიალით გაუჩინარებულ საპნიან წყალს"...

# საგამოფენო სივრცე სასწავლებლის შენობაში

ნინო ჭანიშვილი

იაკობ ნიკოლაძის სასწავლებლის შენობა მე-19 საუკუნის მიწურულს აშენდა. ეს შეძლებული, თბილისური ოჯახის საცხოვრებელი სახლი იყო. ყოფილი საჯინიბოს ადგილას დღეს მოქანდაკეების სახელოსნოა მოწყობილი. მოგვიანებით, 1933 წელს შენობა კომუნისტებმა აითვისეს და, სამხატვრო აკადემიის ბაზაზე, სახელოსნო დაარსდა; 1948 წლიდან კი დამოუკიდებელ ტექნიკუმად გადაკეთდა. თბილისის ომის დროს და შემდგომაც სასწავლებელი არაერთხელ გაიძარცვა. მიწისძვრის შედეგად კი შენობა სერიოზულად დაზიანდა.

25 მაისიდან შენობის რემონტი დაიწყება. "სასწავლებელი მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანებულ შენობათა სიაშია და აქ ფართო მასშტაბის სამუშაო ჩატარდება - მთლიანად გამოიცვლება სახურავი, რესტავრაცია ჩაუტარდება მეორე სართულს და, რაც მთავარია, გაკეთდება ცენტრალური გათბობის სისტემა ბუნებრივ აირზე. აქამდე ჩვენ 3 ათასი ლარი გვიჯდებოდა ზამთრის პერიოდში შენობის გათბობა", - ამბობს სასწავლებლის დირექტორი გურამ ქლიბაძე.



ავტორი და შემფასებელი.

ნიკოლაძის სასწავლებელი თავის დროზე საბჭოთა სააგიტაციო პლაკატების წარმოების ერთ-ერთი კერა იყო. აქ ქართველი მხატვრები პროპაგანდისტული პლაკატების ესკიზებს ქმნიდნენ. თავად შენობა კი საბჭოთა მხატვრების სურათებით იყო მოფენილი. 80-იანი წლების ბოლოს აქ ამზადებდნენ თავიანთ პლაკატებს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. დღეს, რა თქმა უნდა, სასწავლებელში იდეოლოგიური შეკვეთა სახელმწიფოს მხრიდან აღარ არსებობს, მაგრამ, როგორც სასწავლებლის პედაგოგი თემურ ჩხუტიშვილი ამბობს, "სასწავლებლის ხერხემლად რეალიზმი რჩება".

ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში ერთი წელია, საგამოფენო სივრცეც მოაწყვეს, სადაც, ძირითადად, სასწავლებლის მოსწავლეების ნამუშევართა გამოფენები ეწყობა. გუშინ სხვადასხვა კურსის სტუდენტების სააღდგომო გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე, სათაურიდან გამომდინარე, რელიგიური თემები ჭარბობდა. მათ შორის, შუა საუკუნეების ფრესკების ასლებსაც შეხვდებოდით. ექსპოზიციაში არარელიგიური ნამუშევრებიც იყო ჩართული - გამოირჩეოდა გიორგი ქარქაშაძის ქანდაკება და ნატუკა ნებიერიძის კოლაჟები.

# ორი რეკლამის გამო

მალე ეკრანებზე გამოვა ორი ისეთი რეკლამა, რომელიც საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობას წინასწარვე აღძრავს. ბობ დილანი ქალის თეთრეულის მწარმოებელი ცნობილი სავაჭრო ნიშნის "ვიქთორიას სიქრეთსის" რეკლამას გააკეთებს; სერ პოლ მაკარტნის მეუღლე კი ამერიკულ ტელეეთერში ფეხის პროთეზის გარეშე გამოჩნდება და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით საზოგადოებას შეახსენებს, რომ ავტოავარიებს ყოველწლიურად 1.2 მილიონი ადამიანი ეწირება.

1993 წელს ლონდონში მილზს პოლიციის მოტოციკლეტი დაეჯახა, მუხლს ქვევით სერიოზულად დაშავდა და ექიმები იძულებულნი გახდნენ, მისთვის ფეხი მოეკვეთათ. ამ უბედურ შემთხვევამდე, დაახლოებით, ოცი წლით ადრე კი ფეხი ავტოავარიაში ჰითერის დედამ დაკარგა.

"ერთი პატარა შეცდომა იყო, რომელიც ადამიანმა გაუაზრებლად ჩაიდინა და მე ასე ძლიერ დავშავდი. იგივე დაემართა დედაჩემსაც. თუმცა, ვფიქრობ, სიტუაციის მოგვარება შეიძლება. უბრალოდ, საზოგადოება ამ საკითხს უფრო უნდა ჩაუღრმავდეს და პასუხისმგებლობის გრძნობით განიმსჭვალოს", - განაცხადა მან.

ჰითერ მილზი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კამპანიაში მთელი წლის განმავლობაში მიიღებს მონაწილეობას. ჩაწერილია ჯორჯ ბუშის მიმართვაც, რომელიც საგზაო უსაფრთხოებას "მსოფლიო დონის საკითხად" მიიჩნევს. მისი თქმით, პოლიციელთა მუშაობით და საგზაო ქამრების გამოყენებით, ამერიკაში ავტოავარიებში დაღუპულთა რიცხვი ნელ-ნელა მცირდება.

არსებული მონაცემებით, 2020 წლამდე ავტოავარიებში დაღუპული ადამიანების რიცხვმა, შეიძლება, 2.3 მილიონს მიაღწიოს.

...ბობ დილანის რეკლამა კი უფრო მხიარულია. ცოცხალი ლეგენდა ტელერეკლამაში პირველად მონაწილეობს. მისი თანხმობა იმდენად უცნაური და მოულოდნელი იყო, რომ თვითონ "ვიქტორიას სიქრეთსის" ხელმძღვანელებიც კი გაოცებულნი არიან. ასეა თუ ისე, ვენეციაში გადაღებულ ვიდეორგოლში ბობ დილანის სახე მაინც გაიელვებს, მას გარს შილიფად ჩაცმული მოდელები ეხვევიან. კლიპს ფონად გასდევს დილანის 1997 წლის ჩანაწერი Love Sick.

"ვიქთორიას სიქრეთსის" რეკლამებში აქამდე, ძირითადად, სუპერმოდელებს იღებდნენ, მათ შორის - კლაუდია შიფერსა და ჰაიდი კლუმსაც. თუმცა, დილანის მაინც სულ სხვაა. "ის კერპია, ნამდვილი ცოცხალი ლეგენდა", - აცხადებს კომპანიის შემოქმედებითი დირექტორი ედ რეიზეკი. რეკლამა ამერიკულ ტელეეთერში მოგვიანებით გავა.



ბობ დილანი.

# ხმაური და მძვინვარება ერთი ეკრანიზაციის გარშემო

## თბილისი სკანდალურ მსოფლიო კინოპრემიერას მოგვიანებით შეუერთდება

ვერა ნეფარიძე

*რატომ გახდა ცნობილი ავსტრალიელი მსახიობისა და რეჟისორის, ჰოლივუდის ვარსკვლავის, მელ გიბსონის უკანასკნელი ნამუშევარი საერთაშორისო სკანდალის მიზეზი, ამაში ჩვენი მაყურებელი რამდენიმე დღეში თავად გაერკვევა. სააღდგომოდ შეპირებული კინოპრემიერა კინოთეატრ "რუსთაველში", რუსი პარტნიორებისთვის არცთუ უცხო უპასუხისმგებლობის მიზეზით, გადაიდო. რუსეთში მელ გიბსონის ფილმისადმი განსაკუთრებული დაინტერესების გამო, რუსი პარტნიორები ვერ შეელიენ ქართველებისთვის განკუთვნილ ერთ ვიდეოასლს; იგივე მიზეზით, უკრაინელ პარტნიორებს დაუგვიანეს "ქრისტეს ვნებანის" კუთვნილი ათი ვიდეოფირის გაგზავნა. თბილისი სკანდალურ მსოფლიო კინოპრემიერას 21 აპრილიდან შეუერთდება.*



გზა გოლგოთისაკენ.



საიდუმლო სერობა.

### სააღდგომო "საჩუქარი"

თითქმის, მთელ მსოფლიოში "ქრისტეს ვნებანის" პრემიერა ვნების შვიდეულისთვის დაიგეგმა, რასაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. კინოთეატრ "რუსთაველის" წარმომადგენლებმა რამდენიმე ხნით ადრე აცნობეს საზოგადოებას, რომ ქართველ მაყურებელს სააღდგომოდ წარუდგენდნენ მელ გიბსონის გახმაურებულ ფილმს. თუმცა, რამდენად მიიღებდა ამას ჩვენი მაყურებელი სააღდგომო საჩუქრად, ძნელი სათქმელია. ამ ფილმის გარშემო რელიგიურ ჭრილში დანახული მოსაზრებები ხომ არაერთგვაროვანია.

"ფილმისადმი ინტერესი ჩვენთან მაღალია. გვირეკავენ მოქალაქეები და გვეკითხებიან, როდიდან გავა ფილმი ჩვენს კინოეკრანებზე. ყველამ აღიარა, რომ მასში ასაკრძალი არაფერია. ამ ფილმს საქართველოს საპატრიარქოს მხრიდანაც აბსოლუტური "მწვანე შუქი აქვს ანთებული". ჩვენთვის, ასევე, ცნობილია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციაც ფილმთან დაკავშირებით", - ამბობს კინოთეატრ "რუსთაველის" ბიზნეს-განვითარების მენეჯერი ირაკლი ჩიკვაიძე. ამდენად, ფილმის თბილისური პრემიერის ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ ჩვენს საზოგადოებაში "ქრისტეს ვნებანისადმი" ინტერესი, თითქმის, მთლიანად პოზიტიურია. რაც, თავისთავად, ალბათ, გადაჭარბებული წარმოდგენაა. ამის ფიქრის საბაბს იძლევა ის უამრავი დაბრკოლება და დებატი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რაც მელ გიბსონის ფილმმა გამოიწვია.

### ბრალდება - ანტისემიტიზმი

ამ კინოსურათისადმი ანტისემიტური ბრალდება იმდენად თითიდან გამოწოვილია, რომ ამაზე უკვე ღიად საუბრობენ იმ ქვეყნებში, სადაც მაყურებელი "წარმატებით" წამოეგო რეჟისორის სატყუარაზე. დასავლეთში მეტად გავრცელებულია მოსაზრება, რომ რეჟისორმა თავად გამოიგონა კონფლიქტი ებრაელებთან. რადგანაც, როგორც ამბობენ, სხვაგვარად (ამ ტიპის რეკლამის გარეშე), ვერ გახდებოდა ეს ფილმი (ძირითადად, დაბალი მხატვრული დონის გამო) საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის საგანი.

ყველაფერი, თითქმის, ნახევარი წლის წინათ დაიწყო. მელ გიბსონის ახალი, ისტორიული დრამისადმი პროტესტი მაშინ ებრაელებმა გამოთქვეს. ებრაელი ინტელიგენციის ნაწილმა პირველმა გაახმაურა გიბსონის ანტისემიტური იდეები. დღემდე ამ მოსაზრებას უამრავი ადამიანი ეთანხმება.

თავად მელ გიბსონი მორწმუნე კათოლიკე ტრადიციონალისტია, რომელიც უარყოფს 1965 წელს ვატიკანის მეორე კრებაზე მიღებულ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ლათინურენოვანი მესის ნაცვლად, ღვთისმსახურება მშობლიურ ენებზე უნდა აღევლინოს; ამავე შეთანხმებით, ებრაელი ერი "გათავისუფლდა" ქრისტეს მკვლელობისთვის კოლექტიური სასჯელისაგან. სრულიად შესაძლებელია, ეს იყოს ამოსავალი წერტილი ამ ადამიანებისთვის, ამტკიცონ, რომ ფილმი ანტისემიტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული (სხვათა შორის, ფილმში ანტისემიტური ვერაფერი აღმოაჩინა პალესტინელთა ლიდერმა იასირ არაფატმაც).

### სკანდალი, შედევრი თუ რეკორდი

"ქრისტეს ვნებანის" მსოფლიო პრემიერა მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ცხარე დისკუსიების მიზეზი გახდა. საჯარო კამათში ჩაერთნენ არა მხოლოდ ოფიციალური ეკლესიებისა და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები, არამედ ადამიანები, რომლებიც შორის არიან რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის პრინციპებისგან.

"საფრანგეთის კინოთეატრების ქსელმა უარი განაცხადა მელ გიბსონის ფილმის ჩვენებაზე"; "საპატრიარქომ მოიწონა "ქრისტეს ვნებანი"; "გიბსონი გოლგოთაზე ავიდა" და ა.შ. - ასეთია იმ საგაზეთო პუბლიკაციების სათაურების ძალზე მცირე ჩამონათვალი, რომლებიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქტიურად ვრცელდება მასმედიის საშუალებებით. ფილმის გარშემო გაჩენილი ყოველი სიახლე ახლაც იკავებს ადგილს საინფორმაციო საშუალებების მოწინავე თემების გვერდით. ეს ამბები კი სხვადასხვა შინაარსისა იყო: "ბრაზილიაში ფილმის ჩვენებისას კინოდარბაზში კათოლიკე მღვდელმსახური გარდაიცვალა"... "41 წლის ნორვეგიელმა ჯონი ოლსენმა, რომელიც ადრე ნეონაცისტური მოძრაობის წევრი იყო, აღიარა 1994-95 წლებში ოსლოში განხორციელებულ აფეთქებებში (რომელსაც ახალგაზრდული მოძრაობა ახორციელებდა) მონაწილეობა. დამნაშავემ სიმართლის თქმა სწორედ გიბსონის სკანდალური ფილმის "ქრისტეს ვნებების" ნახვის შემდეგ გადაწყვიტა"... "კუვეიტის უნივერსიტეტის შარიათის ფაკულტეტის დოქტორმა, ღვთისმეტყველმა მუჰამედ თაბთაბაიმ მოუწოდა არაბეთისა და ისლამური სახელმწიფოების ხელისუფლებებს, აკრძალონ ფილმის "ქრისტეს ვნებანის" ჩვენება, როგორც ისლამის საწინააღმდეგო სწავლება"...

ფილმს განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდა საფრანგეთში. აქ, რელიგიური მოღვაწეების გარდა, შეუვალი იყო კინოგამქირავებელთა ერთი ნაწილის პოზიცია. მაგალითად, ერთ-ერთმა გავლენიანმა ფრანგმა პროდიუსერმა და კინოგამქირავებელმა განაცხადა, რომ გიბსონის ფილმი ფაშიზმის პროპაგანდაა. მისივე სიტყვებით, ეს ფილმი ბარბაროსობასა და ძალადობას სპექტაკლად, სანახაობად აქცევს. ამიტომ, იგი არ აპირებს აჩვენოს სურათი, სადაც მაყურებელი ორი საათის განმავლობაში უყურებს, თუ როგორ ცდიან და აწამებენ ადამიანს. თუმცა, საგულისხმოა, რომ საფრანგეთში ყველა კინოგამქირავებელმა არ გაიზიარა ასეთი მოსაზრება და პრემიერისთვის ფილმის 480 ვიდეოასლი შეისყიდეს.

საპროტესტო განცხადებების პარალელურად, ფილმი დღემდე აგრძელებს ტრიუმფულ სვლას ფინანსური წარმატებებისკენ. პირველი გაქირავებისას კინოსურათმა 270 მილიონი ამერიკული დოლარი შემოსავალი მოუტანა მფლობელებს და დაიკავა პირველი სარეკორდო ადგილი კინოს ისტორიაში ყველაზე შემოსავლიან დამოუკიდებელ ფილმთა შორის. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, დღემდე ფილმის შემოსავალი, მხოლოდ აშშ-ში, 333 მილიონი ამერიკული დოლარია. ვინ იცის, რამდენს ნანობენ ამერიკელი პროდიუსერები, რომელთაც თავის დროზე უარი უთხრეს მელ გიბსონს პროექტის დაფინანსებაზე. ჰოლივუდური კინოსტუდიებისგან მიღებული უარის შემდეგ გიბსონმა საკუთარი ხარჯებით გადაწყვიტა იდეის განხორციელება. "ფილმზე მუშაობა ჩემთვის სულიერი მოთხოვნილება იყო", - იტყვის მოგვიანებით მელ გიბსონი, რომელმაც ეს მოთხოვნილება საკუთარი, 25 მილიონი ამერიკული დოლარით დაიკმაყოფილა.

მაინც რა არის განსაკუთრებული ამ ფილმში? რა იწვევს დაუსრულებელ დებატებს? რამდენჯერ გვინახავს სახარების ეკრანიზაცია (პაზოლინისა თუ სკორსეზეს ვერსიები)?! ეს ფილმებიც ხომ უამრავ შეკითხვას ბადებდა? მაგრამ, არც ერთ მათგანს ისეთი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია, რაც ცნობილი ავსტრალიელი მსახიობისა და რეჟისორის ნამუშევარს ხვდა წილად. შესაძლოა, ამ ყველაფრის მიზეზი თავად ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი გიბსონია - როგორც დამოუკიდებელი პროდიუსერი და დამწყები რეჟისორი. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: თუკი სახარების წინამორბედ ეკრანიზაციებში მოქმედება თავიდან ბოლომდე სახარებას მიჰყვება, გიბსონის ფილმში ნაჩვენებია მხოლოდ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი 12 საათი. სწორედ ეს გადაწყვეტილება აღძრავს პროტესტს ფილმის მოწინააღმდეგეთა შორის; გმობენ, ძირითადად, ნატურალიზმს, რომელიც ზედმიწევნით ცხადად ასახავს ადამიანების მიერ განკაცებული ღმერთის წამებას. კინემატოგრაფის ისტორიას არ ახსოვს ჯვარცმის ასეთი სისხლიანი სცენები. "კინემატოგრაფისთვის აქტუალური მიზანი ქრისტეს ხატის შექმნა უნდა იყოს. საამისოდ კი, არაა აუცილებელი გასისხლიანებული და ნატანჯი ქრისტეს კინოსახის შექმნა", - ამბობს პარიზის არქიეპისკოპოსი ჟან-მარი ლიუსტიჟე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტელედებატებში – "ქრისტე კინემატოგრაფში".

მსოფლიო საზოგადოება ინტერესით ელოდა, რას იტყოდა ფილმის შესახებ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია. მოსკოვში დაგეგმილი პრემიერისთვის რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა მოსკოვის საპატრიარქოს მოსაზრება მელ გიბსონის ფილმთან დაკავშირებით. განცხადებაში გამოთქმული იყო იმედი, რომ ფილმი რუსეთში ბევრ ადამიანს მიაახლოვებდა ღმერთთან. თუმცა, ისიც ეწერა, რომ მორწმუნე ადამიანებისთვის, რომელნიც ეკლესიური ცხოვრებით ცდილობენ ღმერთთან მიახლოებას, ამ ფილმის ნახვა საჭირო არაა. "მათთვის, ვინც ცოტა რამ იცის ქრისტეს შესახებ, სურს, მეტი გაიგოს, მაგრამ ვერ მიეჩვია ინტენსიურად ეკლესიაში სიარულს, ეს სურათი, შესაძლოა, მართლაც, იქცეს ღმერთთან მისასვლელ ერთ-ერთ გზად".

განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობა არ შეიმჩნევა ფილმის მხატვრული ღირებულების შეფასებისას. მელ გიბსონის ეს კინოსურათი ამ მხრივ, ძირითადად არ მოწონთ. მეტიც, კრიტიკოსები სერიოზულ სისუსტეებზეც მიუთითებენ (აღარაფერს ვამბობ ფინალზე, რომელიც ზოგადად, თანამედროვე ამერიკული კინოს სტანდარტებში ჯდება) და ფილმის მეტად ბანალურ სცენებსაც გამოყოფენ.

გიბსონის შემოქმედებითი გონებამახვილობის მაგალითად მიიჩნევენ მთავარი როლის შემსრულებლად ნაკლებად პოპულარული მსახიობის ჯიმ კევიზელის მიწვევას. ამ მსახიობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი როლია კევინ რეინოლდსის "გრაფ მონტე-კრისტოში" შესრულებული ედმონ დანტესი. სხვა პერსონაჟების განსასახიერებლად გიბსონმა უცნობი მსახიობები მთელ მსოფლიოში სააგენტოების დახმარებით მოძებნა. იგი ცდილობდა, გაქცეოდა ცნობილ სახეებს. კრიტიკოსები წარმატებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ, ასევე, ღვთისმშობლის განსასახიერებლად არაჩვეულებრივი ებრაელი მსახიობის, წარსულში ბუქარესტში ებრაული თეატრის პრიმას, მაიე მორგენშტერნის არჩევას.

დაბოლოს, "ქრისტეს ვნებანის" თბილისელ მაყურებელს შევახსენებთ - ფილმის პერსონაჟები არამეულ და ლათინურ ენებზე ლაპარაკობენ. მელ გიბსონის აზრით, ეს ფილმს მეტ დამაჯერებლობას სძენს. "ქრისტეს ვნებანი" კინოეკრანებზე სუბტიტრებით გადის.

ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის"**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ირაკლი წერეთელი | "სიჭაბუკის გამოხდილი ლექსები" | | 27.6 |
| გიორგი მაისაშვილი | "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" | | 6.8 |
| გოჩა მანველიძე | "შელები" | შპს "თბილისელები" | 5.6 |
| აკა მორჩილაძე | "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| თამაზ ვასაძე | ქართული პროზის მცირე ანთოლოგია | "დიოგენე" | 2 |
| გოჩა მანველიძე | "სარანგი" | შპს "თბილისელები" | 1.6 |
| ხოსე ორტეგა ი გასეტი | "მასების ამბოხი" | "ზოდი" | 1.6 |
| | 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | "წიგნი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |



**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | გილერმო დელ ტორო | რონ პერლმანი, სელმა ბლეარი | 23,172,440 | 23,172,440 |
| Walking Tall | კევინ ბრეი | დუეინ "როკ" ჯონსონი, ჯონი ნოქსვილი | 15,501,114 | 15,501,114 |
| "სკუბი-დუ 2" | რაჯა გოსნელი | მეთიუ ლილარდი, ფრედი პრინცი, ალიშა სილვერსტოუნი | 14,788,422 | 49,746,466 |
| Home on the Range | უილ ფინი, ჯონ სანფორდი | ჯუდი დენჩი, კუბა გუდინგი, სარა ჯესიკა პარკერი | 13,880,771 | 13,880,771 |
| "ქრისტეს ვნებანი" | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 10,606,106 | 330,856,971 |
| "მე და პრინცი" | მარტა ქულიჯი | ჯულია სტაილსი, [illegible], ლიუკ მეიბლი | 9,406,378 | 9,406,378 |
| Ladykillers | ჯოელ კოენი | ტომ ჰენქსი, მარლონ უეიანსი, ირმა ჰოლი | 7,090,016 | 23,482,792 |
| Jersey Girl | კევინ სმიტი | ბენ აფლეკი, ჯენიფერ ლოპესი, ჯეისონ ბიგსი, ლივ ტაილერი, მეტ დეიმონი, უილ სმიტი | 5,124,564 | 15,826,301 |
| "მიცვალებულთა ალიონი" | ზეკ სნაიდერი | სარა პოლი, ვინგ რეიმსი | 4,584,368 | 51,759,940 |
| Taking Lives | დი. ჯეი კარუზო | ანჯელინა ჯოლი, იტან ჰოუკი, კიფერ საზერლენდი, ოლივიე მარტინესი | 3,495,271 | 27,473,161 |



**საუკეთესო ალბომების ათეული "ბი-ბი-სი- ს" მიხედვით**

| შემსრულებელი | ალბომი | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|
| ანასტასია | "ანასტასია" | - |
| "განს-ენ-როუზის" | საუკეთესო ჰიტები | 3 |
| აშერი | Confessions | 1 |
| ჯორჯ მაიკლი | Patience | 2 |
| ქეიტი მელუა | Call Off The Search | 5 |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | 6 |
| ნერდი | Fly or Die | 4 |
| უილ იანგი | Friday's Child | 8 |
| ენგელბერტ ჰამპერდინკი | His Greatest Love Songs | 7 |
| "სიზორს სისტერზ" | Scissor Sisters | 22 |

მოკლედ

## ბექჰემი ბისექსუალმა აცდუნა

ბრიტანულ პრესას სალაპარაკო მიეცა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ დევიდ ბექჰემმა თავის მეუღლეს, ვიქტორია ადამსს უღალატა, ინგლისელი ჟურნალისტები მხოლოდ და მხოლოდ ბექჰემის შემაცდენელ ქალბატონზე წერენ. იძიებენ, თუ ვინ არის ის, რა ორიენტაციისაა და კიდევ ვისთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა.

დადგინდა, რომ მადრიდში მცხოვრები რებეკა ლუსი ჰოლანდიელი დიპლომატის ქალიშვილია და სექსუალური ორიენტაციით ბისექსუალია. ჟურნალისტები ესაუბრნენ მის მეგობრებსაც, რომლებიც რებეკას ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე გარყვნილ ქალად ახასიათებენ. ამბობენ, რომ ის არც ერთ წვეულებას არ აცდენს და იქ ქალების შეცდენას ცდილობს. მისი ნაცნობების განცხადებით, რებეკასთვის არა აქვს მნიშვნელობა, ჰყავს თუ არა მისი ინტერესის ობიექტს პარტნიორი, მას ნებისმიერის შეცდენა შეუძლია. აღმოჩნდა, რომ რებეკა ლუსის ფიტნესის მწვრთნელი, მელანი მაკვივიც ლესბოსელია. "ის ყოველთვის აღწევს იმას, რაც სურს. მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ წვეულებაზე ნებისმიერს წაართვას პარტნიორი. თავის დროზე მეც ასე "შემაბა". რებეკა ადამიანების გრძნობებით მანიპულირებს", - განაცხადა მელანი მაკვივმა.

მიუხედავად ამისა, ამბობენ, რომ რებეკას ჰყავს მუდმივი პარტნიორი, ფრანგი ქალბატონი, რომლის ვინაობა თვით ბრიტანელმა ჟურნალისტებმაც ვერ დაადგინეს.

მიუხედავად იმისა, რომ მდედრობითი სქესი მეტისმეტად აღაგზნებს, რებეკა არც მამაკაცებს იკლებს. ჟურნალისტები მის ყოფილ ბოიფრენდს, კაილ ბრაუნს ესაუბრნენ. "ის გიჟდებოდა კოკაინის ზემოქმედების ქვეშ სექსზე, თან, ამ დროს ისე ყვიროდა, რომ მისი დაწყნარება მიწევდა. გარდა ამისა, როდესაც წვეულებებზე დავდიოდით, ის უამრავ ვისკის და ღვინოს სვამდა. ის, რომ რებეკა ბისექსუალია, ადრეც ვიცოდი. ჩემი თანდასწრებით ის ხშირად კოცნიდა გოგონებს ტუჩებში", - ჰყვება ბრაუნი.

მოკლედ რომ ვთქვათ, რებეკა ლუსი ჰოლანდიელი დიპლომატის ქალიშვილი კი არა, ნამდვილი ვულკანია. აბა, როგორ უნდა შეეკავებინა თავი ინფანტილურ ბექჰემს?

## „იუტას" ბედი სტეფანიასა და ცქიტიშვილის ხელშია

NBA-ის ჩემპიონატის დასრულებამდე "იუტას" გუშინდლამდე მხოლოდ ოთხი მატჩი ჰქონდა დარჩენილი. "ჯაზმენებმა", რომელთაც შეცდომის უფლება აღარა აქვთ, პირველი უკვე წააგეს. "დალასი", რომელსაც კარგა ხნის განაღდებული აქვს პლეი-ოფის საგზური, "იუტასთვის" მეტისმეტად ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. "ჯაზმენებმა ვერაფერი გააწყვეს ნოვიცკისა და კომპანიის წინაშე.

ზედიზედ ექვსი მატჩია, "დალასს" არ წაუგია. თანაც, ყოველ მათგანში, სულ ცოტა, 117 ქულას აგროვებს. "იუტას" კი ამაზე ოცნებაც არ შეუძლია. ასე რომ, ამ მატჩში "დალასის" გამარჯვება სავსებით პროგნოზირებადი იყო.

მასპინძლებმა შესამჩნევ უპირატესობას უკვე პირველ მეოთხედში მიაღწიეს, როცა მეტოქე - 35:18 დაამარცხეს. დალასელთა ყველა ლიდერმა შთამბეჭდავად ითამაშა. იუტა კი ამით ვერ დაიკვეხნის. ანდრეი კირილენკო და გორდონ გირიჩეკი ბოლო მატჩებში არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებიან. ამჯერად კი უფერულად ითამაშა კარლოს აროიომაც. ტომ გუგლიოტამ კი ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა.

შემდგომში "დალასმა" უბრალოდ შეინარჩუნა ის უპირატესობა, რომელიც პირველ მეოთხედში მოიპოვა. მან მეორე მეოთხედში მხოლოდ ორი ქულა დათმო, რაც საერთო ანგარიშში პრინციპულად არ ასახულა. ბოლოს კი დარჩენილი მეოთხედები თავის სასარგებლოდ დაასრულა - 117:94.

| | |
|---|---|
| **საკრამენტო - მინესოტა** | **86:94** |
| **ნიუ-ჯერსი - ორლანდო** | **101:81** |
| **დალასი - იუტა** | **117:94** |

## საბონისი საუკეთესოა

საკალათბურთო ევროლიგის "ტოპ-16-ის" უძვირფასეს მოთამაშედ ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი აღიარეს. 39 წლის ვეტერანმა მეორე ეტაპი დაასრულა მარგი ქმედების კოეფიციენტით - 26, რაც მნიშვნელოვნად აღემატება "ბენეტონიდან" მისი იტალიელი კოლეგის დენის მარკონატოს (22,50) ანალოგიურ მიღწევას. ამ რეიტინგში მესამე ადგილი მოსკოვის ცსკას მცველმა მარკუს ბრაუნმა დაიკავა (21,20).

აღსანიშნავია, რომ საბონისი პირველი ეტაპის უძვირფასესი მოთამაშეც იყო. მაშინ მისი სარგებლიანობის საერთო მაჩვენებელი 26,41-ს უდრიდა. სხვათა შორის, საბონისი პირველ ეტაპზე მოხსნების ნომინაციაშიც პირველი იყო. თუმცა, გიგანტი ლიტველი ამბობს, რომ რეიტინგების შესახებ არაფერი იცის და ინდივიდუალური მიღწევები ის არ არის, რისკენაც საბონისი მიილტვის.

"ტოპ-16-ის" საუკეთესო სნაიპერად ესპანეთის "ბარსელონას" მცველი ხუან კარლოს ნავარო გამოცხადდა (მატჩში საშუალოდ 18,6 ქულა). მოხსნების საუკეთესო ოსტატი კი მოსკოვის ცსკას ფორვარდი მირსად თურქანი გახდა (მატჩში საშუალოდ 12,8 მოხსნა).

დასკვნითი ეტაპის საუკეთესო მოთამაშე კი საბონისის თანამემამულე შარუნას იასიკიავიჩუსი ("მაკაბი" ისრაელი) გახდა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი "ჟალგირისთან" გადამწყვეტ შეხვედრაში 37 იყო (საბონისს ქულით ნაკლები აღმოაჩნდა). შეგახსენებთ, რომ გუშინწინ დასკვნითი ეტაპის გადამწყვეტ მატჩში ისრაელის "მაკაბიმ" დამატებით დროში სძლია კაუნასის "ჟალგირისს" და ოთხთა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამრიგად, 29 აპრილს, ევროლიგის ნახევარფინალში, ტელ-ავივში ერთმანეთს შეხვდებიან: "მაკაბი" - ცსკა და იტალიური "სიენა" - "სკიპერი".




ფეხბურთი

# შუშაკი საყაიმო ტრადიციის დარღვევას აპირებს

მიხეილ აბაიშვილი

დღეს გაიმართება საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მე-4 ტურის მატჩები, რომელთაგან ყველაზე დიდ ყურადღებას "ვიტ ჯორჯიასა" და "დინამოს" მატჩი იპყრობს. ეს თამაში "ვიტ ჯორჯიას" მოედანზე, "შევარდენის" სტადიონზე გაიმართება. ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ ჩემპიონატის ორივე ლიდერმა გუნდმა მეორე ეტაპზე საკმაოდ წარუმატებელი სტარტი აიღო. ამასთან, თუ "ვიტ ჯორჯიას" მიერ პირველ 3 ტურში ნაჩვენებ შედეგებს (1 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება), ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებელი შეიძლება ეწოდოს, "დინამოს" ამ თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა აქვს – 3 თამაშში 2 ქულა.

გუშინ თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც სწორედ ზემოხსენებულ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება.

"ხვალინდელ მატჩს ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სპორტული, ისე ფსიქოლოგიური და მატერიალური (ქულების დაგროვების) თვალსაზრისით. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ძალიან რთული თამაში გველის. პრინციპში, ეს მოულოდნელი არავისთვის არ უნდა იყოს. რაც "დინამოს" ვხელმძღვანელობ, "ვიტ ჯორჯიასთან" თამაშები ყოველთვის დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლებში მიმდინარეობს. ასე იყო წლეულს, პირველ ეტაპზე. ასე იყო წინა სეზონშიც. ჩვენი დაპირისპირება, როგორც წესი, ფრედ მთავრდება. თუმცა, არადამაკმაყოფილებელი სტარტი ჩვენც და მეტოქესაც გვიბიძგებს, მოგებაზე ვითამაშოთ. ორივე გუნდს აქვს წარმატების შანსი. გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მონდომებული, კონცენტრირებული და მობილიზებული გამოვა. ჩვენ ეს შეგვიძლია და ვფიქრობ, გავიმარჯვებთ კიდეც", - ასეთია ხორვატი სპეციალისტის ოპტიმისტური პოზიცია.



ივო შუშაკი: "ჩვენ შეგვიძლია გამარჯვებით ვიაროთ".

შუშაკის ამ ოპტიმიზმს ისიც ამაგრებს, რომ მისმა გუნდმა სამიოდე დღის წინ წარმატებით დაძლია დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალური ეტაპი და თასისთვის ბრძოლას აგრძელებს. ამასთან, "დინამოს" ლაზარეთი თითქმის დაცარიელდა – მხოლოდ ბურდულს არ მოუშუშებია ტრავმა.

"განმეორებით მატჩში ბათუმის "დინამოს" დიდი ანგარიშით დამარცხებამ კარგი ფსიქოლოგიური სამსახური გაგვიწია. ჩემი ფეხბურთელები თანდათან იბრუნებენ საკუთარი ძალების რწმენას და, დარწმუნებული ვარ, ეს არა მარტო თასზე, ჩემპიონატშიც კარგად გამოჩნდება. ტრავმირებულიც თითქმის აღარავინ გვყავს. ზოიძე მე-4 დღეა ვარჯიშობს, ნემსაძემ დღეს განაახლა ვარჯიში, მაგრამ 18-კაციან განაცხადში მაინც შევიყვან. ბურდულიც მალე ჩადგება მწყობრში. განწყობილებას ისიც მიმაღლებს, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გოლების გატანა დაიწყო იაშვილმა. ძალიან კმაყოფილი ვარ ახალწვეული ბრაზილიელი რომეროთი, რომელმაც ბათუმში ორი ტაიმი შეუცვლელად ითამაშა. მან ჩემი ნდობა გაამართლა და შემიძლია ვთქვა, რომ ხვალ ძირითად შემადგენლობაში იქნება", - განაცხადა შუშაკმა.

მწვრთნელმა იმაზეც ისაუბრა, რომ მეტოქისგან რაიმე მოულოდნელს არ ელის და არც თავად აპირებს ველოსიპედის გამოგონებას.

"გუნდები ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს. მეტიც, ფეხბურთელები ერთმანეთთან მეგობრობენ კიდეც. მე კარგად ვიცი "ვიტ ჯორჯიას" თამაშის მანერა. ამ თვალსაზრისით არც ბერიძე ჩამომრჩება. ერთი სიტყვით, თამაშში განსაკუთრებული სიურპრიზები არ იქნება, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მატჩი უკომპრომისო ბრძოლაში არ ჩაივლის", – თქვა მწვრთნელმა.

www.pfl.ge

# პირველ არხზე ეროვნული ჩემპიონატი ბრუნდება

აკა ტონია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა რომ ეროვნული ჩემპიონატის მიმართ ინტერესის გაზრდაა, არაერთხელ თქმულა. გარდა იმისა, რომ აუცილებელია, მაყურებელი დაბრუნდეს უშუალოდ სტადიონებზე, საჭიროა მაღალი დონის ტელეტრანსლაციების მოწყობაც. ამ თვალსაზრისით უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობამ ლიგის შექმნისთანავე გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე ტელეკომპანიასთან და ამ არხებმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციების ჩვენება გადაწყვიტეს. მიუხედავად ამისა, ტელეკომპანია "იმედი" დღეს ერთადერთი ტელევიზიაა, რომელიც სტაბილურად აჩვენებს თბილისის "დინამოს" მატჩებს. საქართველოს პირველმა არხმა კი პირობა ვერ შეასრულა. თუმცა, საამისო მიზეზი ნამდვილად აქვს. გასულ შემოდგომაზე მომხდარი პოლიტიკური მოვლენებისა და პირველი არხის ხელმძღვანელობის შეცვლის გამო, "თბილისისა" და "ლოკომოტივის" მატჩის რეპორტაჟი ერთადერთი იყო, რომელიც ამ არხმა გადმოსცა. ეს მატჩი შემოდგომაზე გაიმართა და მას შემდეგ პირველ არხს ეროვნული ჩემპიონატის არც ერთი მატჩი არ უჩვენებია.

პოლიტიკური ვითარება სტაბილური გახდა და საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამაც მოიცალა ფეხბურთისთვის. პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პირველი არხის ხელმძღვანელებს შეხვდა და მხარეები თანამშრომლობის განახლებაზე შეთანხმდნენ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებას პირველი არხი დღეიდან დაიწყებს და მიმდინარე სეზონში დარჩენილი მატჩებიდან ოთხ შეხვედრას უჩვენებს.

მაშ ასე, მათ, ვისაც დღეს სტადიონზე წასვლის საშუალება არ ექნებათ, შეუძლიათ ტელევიზორებთან მოკალათდნენ და პირდაპირ ეთერში იხილონ "თბილისი-"ლოკომოტივის" მატჩი, რომელიც 16 საათზე დაიწყება. ერთი კვირის შემდეგ, 16 აპრილს, პირველი არხი "ლოკომოტივისა" და "ვიტ ჯორჯიას" შეხვედრას შემოგვთავაზებს. პროფესიული ლიგის გადაწყვეტილებით, ეს მატჩი 18 საათზე დაიწყება. იმავე დღეს ტელეკომპანია "იმედი" გადმოსცემს თბილისის "დინამოსა" და გორის "დილას" შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს. ეს მატჩი 16 საათზე დაიწყება. ასე რომ, გულშემატკივარს ორივე მატჩის ხილვის საშუალება ექნება.

პირველ მაისს პირველი არხი "ლოკომოტივი"-"დილას" მატჩს აჩვენებს, ხოლო 22 მაისს - "თბილისისა" და "სიონის" შეხვედრას. პარალელურად, "იმედიც" განაგრძობს ეროვნული ჩემპიონატის იმ მატჩების ჩვენებას, რომლებშიც თბილისის "დინამო" მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრას, რომელიც, ტრადიციულად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს გაიმართება, ასევე "იმედი" გვიჩვენებს (მიუხედავად იმისა, ითამაშებს თუ არა ფინალში "დინამო").

პროფესიული ლიგის წარმომადგენელთა განცხადებით, მომავალი სეზონიდან ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციები კიდევ უფრო გახშირდება, თან, მათი ხარისხიც გაუმჯობესდება. მომავალი წლიდან პროფესიული ლიგა დიდ ყურადღებას მიაქცევს ტრანსლაციების ხარისხს.

# ბენეფისის მოლოდინში

დაფასებაც ასეთი უნდა. ყველაზე ტიტულოვან ბულგარელ ფეხბურთელს ხრისტო სტოიჩკოვს ბარსელონა ელოდება. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე "ნოუ-კამპზე" მსოფლიოს საფეხბურთო ელიტა შეიყრება და ხრისტო სტოიჩკოვის ბენეფისს მოაწყობს. ლეგენდარულ ბულგარელს ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილებენ. ეს კი უდიდესი პატივია. მსგავს ბენეფისებს ბარსელონაში მხოლოდ უმაღლესი ეშელონის ვარსკვლავებს აღირსებენ ხოლმე.

სტოიჩკოვმა კატალონიურ კლუბს პრაქტიკულად მთელი საფეხბურთო კარიერა მიუძღვნა. ფეხბურთის თამაშს კი ოფიციალურად, ფაქტობრივად, 2003 წლის 31 დეკემბერს დაანება თავი, როცა მისი უკანასკნელი პროფესიული კონტრაქტი ამოიწურა. ბოლო დროს ლეგენდარული ბულგარელი ამერიკული MLS-ის კლუბ "დი-სი-იუნაიტედის" ღირსებას იცავდა. თუმცა, შარშანდელი წლის ბოლოს სტოიჩკოვმა გადაწყვიტა, წერტილი დაესვა თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერისთვის.

ამერიკელები ბულგარელს კლუბში ერთ-ერთი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობდნენ (საქმე იქამდე მივიდა, რომ სტოიჩკოვს შეიძლება მთავარი მწვრთნელის პოსტიც კი დაეკავებინა). თუმცა, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, უფრო მაცდუნებელი წინადადება მიეღო. კერძოდ, მას თანამშრომლობისკენ "ბარსელონამ" მოუწოდა. ჯერ კიდევ დეკემბერში კატალონიური კლუბის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ ხრისტო სტოიჩკოვს კლუბის სპორტული დირექტორის პოსტს სთავაზობს. მოგვიანებით "ბარსაში" ბულგარელის თანამდებობამ უფრო ზოგადი სახელი მიიღო - კლუბის მწვრთნელთა საბჭოს წევრი. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ხრისტო სტოიჩკოვმა ამერიკიდან ესპანეთში გადაინაცვლა, სადაც თავის საფეხბურთო კარიერაში ყველაზე წარმატებული შვიდი წელი გაატარა.


ხრისტო სტოიჩკოვს "ნოუ-კამპი" გააცილებს.

თუმცა, ვიდრე ახალ საქმიანობას შეუდგება, ხრისტო სტოიჩკოვს სურს, სპორტული კარიერის დასრულება შარავანდედით შემოსოს გამოსათხოვარ მატჩში, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ვარაუდობენ, რომ 29 მაისს ბარსელონაში ჩავლენ და ბულგარელის პატივსაცემ ბენეფისში მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთის ისეთი აღიარებული ვარსკვლავები, როგორებიც არიან პაოლო მალდინი და რობერტო ბაჯო (რომელიც წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ ასევე პენსიაზე გასვლას აპირებს), რუმინელი გეორგე ჰაჯი, ჰოლანდიელები - მარკო ვან ბასტენი და რუუდ გულიტი, მექსიკელი უგო სანჩესი.

თავად სტოიჩკოვის ვარაუდით, მის გასაცილებლად ბრაზილიიდან კატალონიაში აუცილებლად ჩავა რომარიო, რომელთანაც სტოიჩკოვი წლების განმავლობაში თავდასხმაში ერთ ტანდემს შეადგენდა. კატალონიის დედაქალაქში ასევე ელიან ლეგენდარულ არგენტინელს დიეგო მარადონასაც, რომელიც ერთხანს კატალონიური კლუბის ღირსებას იცავდა (თუმცა, გუნდში სტოიჩკოვის მისვლამდე).

მოქმედი ფეხბურთელებიდან სტოიჩკოვი სტუმრად იწვევს ანდრეი შევჩენკოს. იმ დროისთვის უკრაინის ჩემპიონატი დამთავრებული იქნება. ამ ქვეყნის ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს. ასე რომ, კატალონიაში უკრაინელის ჩასვლა გადაწყვეტილი ამბავია.

ყველა ფეხბურთელი, რომელიც სტოიჩკოვის პატივსაცემად ბარსელონაში ჩავა, ორ გუნდად გაიყოფა: მსოფლიო ნაკრები და "ბარსელონა Dream team".

"ბარსელონა Dream team" გააერთიანებს 1990-იანი წლების "ბარსას" ვარსკვლავებს. არ არის გამორიცხული, რომ საპატიო სტუმრის სტატუსით მატჩს დაესწროს ფეხბურთის მეფე - პელე. სტოიჩკოვმა მიშელ პლატინისაც გაუგზავნა მოსაწვევი.

ძალოსნობა

# ასეც და ისეც შტანგა დასაძლევია

გიგა გურასაშვილი

წელიწადნახევარია, გიორგი ასანიძის საასპარეზო პერიპეტიები არ გაგვიშუქებია. ბოლოს, როდესაც ამის შესახებ ვწერდით, 2002 წლის ვარშავის მსოფლიო ჩემპიონატი გახლდათ. მაშინ ქართველი ძალოსანი ტიტულის დაცვას ცდილობდა, მაგრამ პირადი წონის გამო ბულგარელ ზლატან ვანევ-ვასილიევთან ჭიდილში დამარცხდა და ვიცე-ჩემპიონის რანგში დატოვა ფიცარნაგი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მისი პასიურობის მიზეზი გახლდათ მხრის ტრავმა, რომელიც აქილევსის ქუსლად იქცა ასანიძისთვის. ახლა გიორგი პოლონეთშია და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ასანიძე არ აპირებს, ჩემპიონატზე ზედმეტად დაიტვირთოს თავი. მთავარია, ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურს დაეუფლოს და ამაში გუნდსაც შეეშველოს. ევროპის ჩემპიონატს 17-დან 26 აპრილამდე კიევი უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები 16 აპრილს ეწვევა უკრაინის დედაქალაქს.

რა ვითარებაა საქართველოს ძალოსანთა ნაკრებში, როგორ ემზადება კონტინენტის პირველობისთვის, რომელიც, ამავდროულად, ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობაც გახლავთ. ამის შესახებ შევიტყვეთ თავად ასანიძისგან, რომელსაც გუშინ პოლონეთში შევეხმიანეთ.

"მზადება ნორმალურად მიმდინარეობს, - გვეუბნება სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ატაცში და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი აკვრაში გიორგი ასანიძე. - იმედი გვაქვს, რომ კიევში ჩასათვლელ ქულებს ავიღებთ. თუმცა, ტრავმები გვიშლის ხელს. არსენ კასანბიევს მუხლი აწუხებს. თუ ევროპის ჩემპიონატამდე ვერ მოიშუშა, ალბათ, გამაყუჩებლებით იასპარეზებს. კარგი სპორტსმენია და, დარწმუნებული ვარ, მისი სახით საქართველოს ნაკრებს დიდი ძალა შეემატება".

**- რაკი ვარჯიში დაიწყე, ეტყობა, მხარი მოიშუშე. ასეა თუ თავს ძალას ატან, რომ საოლიმპიადო შანსი ხელიდან არ გაუშვა?**

- რაღაც დისკომფორტს ვგრძნობ, მაგრამ არა ისეთს, რომ შეჯიბრებაზე ვერ გამოვიდე. თუმცა, კიევში ზედმეტად თავის დატვირთვას არ ვაპირებ. ჩემთვისაც და გუნდისთვისაც მთავარია, ჩასათვლელი ქულები და, შესაბამისად, ლიცენზიები ავიღოთ. რეალურად ორ ლიცენზიას ვვარაუდობთ. თუ გუნდურში მეხუთე-მეექვსე ადგილს ავიღებთ, ესეც კარგი შედეგი იქნება იმისთვის, რომ ათენშიც რაღაცის იმედი გვქონდეს.

**- ამ ეტაპზე რა უფრო გიჭირს, ატაცი თუ აკვრა? და, სერთოდ, რამდენის დაძლევას ვარაუდობ ორჭიდის ჯამში?**



- ორივეს თანაბრად ვძლევ. ცოტათი აკვრაში მიჭირს. უფრო სწორად, კი არ მიჭირს, ფრთხილად ვარ, რომ ტრავმა არ გავიმიზეზო. ორჭიდის ჯამში 360-365 კილოგრამის დაძლევას ვგეგმავ, რაც საკმარისი იქნება ლიცენზიისთვის.

**- მეტოქეთაგან ვისგან ელი წინააღმდეგობას?**

- კიევში, ბუნებრივია, იმათთან მოგვიწევს ურთიერთობის გარკვევა, ვისაც ლიცენზიები ჯერ არა აქვთ. ასე რომ, იოლი გასეირნება არ გველის. ყველა ეცდება ბოლო შანსის გამოყენებას. თუმცა, ლიცენზიებისთვის მაინც იტალიასთან, ესპანეთთან და საფრანგეთთან მოგვიწევს ორთაბრძოლა, იმ ქვეყნებთან, რომლებსაც შედარებით დაბალი კლასის ძალოსნები ჰყავთ. საერთოდ, ის ქვეყნები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე სრული გუნდით გამოვლენ, მეტი ქულების აღების ალბათობას ზრდიან. ამიტომ იძულებული გავხდით, ჩვენც ასე მოვქცეულიყავით. კიევში ექვს წონით კატეგორიაში (56, 62, 69, 77, 85, 94) რვა სპორტსმენით ვიასპარეზებთ, აქედან 56 და 85 კგ წონებში - ორ-ორი ძალოსნით.

ჩოგბურთი

# ქართველების ფრე და...

## ბელორუსების, ჯერჯერობით, სენსაცია

სანდრო ნავერიანი

გუშინ, თბილისის დროით დღის სამ საათზე კალიარიში სტარტი აიღო იტალია საქართველოს დაპირისპირებამ "დევისის თასის" მეორე ჯგუფში. პირველი შეხვედრა ირაკლი უშანგიშვილსა და ალესიო დი მაუროს შორის გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლიმ, თავისი პირველი საერთაშორისო ხუთსეტიანი შეხვედრა დათმო. მან სამ სეტში, 6:1, 6:0, 6:2 წააგო შეხვედრა. იტალიელები 1:0 დაწინაურდნენ, მაგრამ თბილისის დროით ხუთ საათზე დაიწყო მეორე შეხვედრა რომელშიც ერთმანეთს ირაკლი ლაბაძე და ანდრეა სეპი დაუპირისპირდნენ. მატჩი ხუთ სეტს გაგრძელდა და ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა. ირაკლიმ პირველ ორ სეტში, მართალია არა დიდი ანგარიშით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა 6:4, 7:5. ამის მერე იტალიელის დრო დადგა და მან ლაბაძეს ორი სეტი დამაჯერებლად მოუგო 6:1, 6:2. შეიძლება გვეფიქრა, რომ ირაკლი ფსიქოლოგიურად დავარდა და მატჩის შემობრუნება აღარ შეეძლო, მაგრამ მან ძალები მოიკრიბა და იტალიელ ჩოგბურთელს, უკანასკნელი, გადამწყვეტი სეტი 6:2 მოუგო. ანგარიში გათანაბრდა 1:1. ხვალ საქართველოს ნაკრების წყვილები იტალიელთა წყვილებს შეხვდებიან. საქართველოს ნაკრების ღირსებას ორი ირაკლი დაიცავს, ლაბაძე და უშანგიშვილი. იტალიელების მხრიდან კი მათ დაუპირისპირდებიან მასიმო ბერტოლინი და ჯორჯო გალიმბერტი. "24 საათი" დაუკავშირდა ლეილა მესხს, რომელიც საქართველოს ნაკრებთან ერთად იმყოფება იტალიაში. მან განაცხადა, რომ ბიჭები მონდომებულები არიან და რაც უშანგიშვილს დაემართა ეს უბრალოდ გამოუცდელობის ბრალი იყო და რომ ხვალინდელ წყვილთა თამაშში ეს აღარ განმეორდება. უშანგიშვილი ხვალინდელ შეხვედრას ყოველგვარი დაბნეულობის გარეშე ჩაატარებს.

მეორე ჯგუფში კიდევ სხვა ნაკრების შეხვედრები ჩატარდა. წინა წერილში გითხარით, რომ თუ საქართველოს ნაკრები გაიმარჯვებს, მაშინ ეგვიპტე ბულგარეთის შორის გამარჯვებულს შეხვდება-მეთქი, ხოდა, ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის, რომ ბულგარეთი, ეგვიპტეს ორით ნოლს უგებს და ალბათ ეს დაპირისპირება ბალკანელების გამარჯვებით დასრულდება. "დევისის თასის" მეორე ჯგუფში კიდევ ბევრი შეხვედრები გაიმართა, მაგრამ ვფიქრობ, თქვენთვის არ უნდა იყოს საინტერესო, მაინც, მესამე ხარისხოვანი ჩოგბურთია. ხოდა სწორედ ამის გამო გეტყვით თუ რა მოხდა "დევისის თასის" უმაღლეს ლიგაში. შვეიცარია საფრანგეთის დაპირისპირებაში, ანგარიშია, ჯერჯერობით 1:1 და ქვეყანაზე არ არსებობს ჩოგბურთის სპეციალისტი, რომელსაც დარწმუნებით შეეძლოს ამ დუელის პროგნოზირება. ეს იმიტომ, რომ საფრანგეთის ნაკრებს, გრიპის გამო გამოაკლდა სებასტიან გროჟანი, რომელიც ნაკრების აშკარა ლიდერია. ესპანეთის ნაკრები ჰოლანდიელებს 2:0 უგებს, ხოლო, ბელორუსებმა მთელი საჩოგბურთო სამყარო ყირაზე დააყენეს: ჯერ იყო და რუს ჩოგბურთელებს გაუმწარეს ცხოვრება და ახლა არგენტინელებს ანადგურებენ. მართალია, ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ როდესაც 2:0 დაწინაურდები ყველაფრის იმედი უნდა გქონდეს. ვოლჩკოვმა ის კალერი დაამარცხა, რომელსაც რამდენიმე კვირის წინ ირაკლი ლაბაძემ ქართული მუსრი გაავლო, ხოლო, მაქს მირნიმ გილიერმო კანა დაამარცხა და სწორედ ამ ორი გამარჯვების შედეგად ბელორუსები 2:0 დაწინაურდნენ.

ფორმულა 1

# ხუან პაბლო მონტოია: „არაფერს ვნანობ!"

ნინო პირველი

2004 წლის სეზონის დაწყებამდე, როცა "უილიამსის" კოლუმბიელმა პილოტმა ხუან პაბლო მონტოიამ "მაკლარენ-მერსედესთან" გააფორმა კონტარქტი, ნამდვილად არავის ეგონა, თუ ცოტა ხნის შემდეგ კოლუმბიელს ეს ნაბიჯი სანანებელი გაუხდებოდა. გასულ წელს "მაკლარენი" საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და 2004 წელსაც კიმი რაიკონენს არაერთი ექსპერტი მიიჩნევდა მიხაელ შუმახერის მთავარ კონკურენტად. მაგრამ სეზონი დაიწყო და აშკარა გახდა, რომ კიმი რაიკონენი არათუ შუმახერს ვერ აკლებდა ვერაფერს, არამედ საერთოდ ფინიშამდე მისვლასაც კი ვერ ახერხებდა. სამივე რბოლა ფინელმა ნაადრევად შეწყვიტა და სამჯერვე ძრავის გაჩერება გახდა მისი კრახის მიზეზი. შარშან შუმახერს "ბრიჯსტოუნის" საბურავები უჭირებდა საქმეს, ახლა კი რაიკონენს გაუმართავი ძრავა გაუხდა თავში საცემი. "მერსედესმა" რეპრესიებს მიმართა. თუ გერმანულ "ბილდს" დავუჯერებთ, სულ მალე თანამდებობას დაემშვიდობებიან "მერსედესის" ძრავის საამქროს შეფი ჰანს-ულრიხ მაიკი და "მაკლარენის" მენეჯერი მარტინ ვიტმარში. ვნახოთ, მარტო ამ ხალხის დათხოვა თუ უშველის საქმეს.

როცა "მაკლარენში" ასეთი კრიზისია და სამი რბოლის შემდეგ ჩემპიონის ტიტულზე მეოცნებე კიმი რაიკონენს ჯერ ერთი ქულაც არა აქვს აქტივში, ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებთ, როგორ განწყობაზეა "უილიამსის" პილოტი ხუან პაბლო მონტოია, რომელიც მომავალი წლიდან "მაკლარენის" საჯინიბოში უნდა გადავიდეს. "მაკლარენის" კრიზისი ისეთი აქტუალური თემაა, რომ მონტოიას უკვე თავი მოაბეზრეს ამ საკითხზე ლაპარაკით. საბრალო კოლუმბიელს ყველა ინტერვიუში იმის მტკიცება უხდება, რომ არ ნანობს "უილიამსის" დატოვებას. "მაკლარენი" ახლა კრიზისშია, მაგრამ ეს არ მაღელვებს. ისიც არ იქნება დიდი ტრაგედია, თუ ერთი წლის განმავლობაში ამ საჯინიბოში ბრწყინვალე წარმატებებს ვერ მივაღწევ. ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება. დარწმუნებული ვარ, "მაკლარენს" დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომაც გავაფორმე კონტრაქტი ამ საჯინიბოსთან", - ამბობს მონტოია.



*ხუან პაბლო მონტოია: "მაკლარენს" დიდი პოტენციალი აქვს.*

მიმდინარე სეზონში არც მონტოია ბრწყინავს მაინცდამაინც. მართალია, მალაიზიაში მეორე შედეგი აჩვენა და შუმახერთან ერთად ავიდა პოდიუმზე, მაგრამ ბაჰრეინში საშინლად არ გაუმართლა - მეცამეტე ადგილზე გავიდა და საერთოდ უქულოდ დარჩა. ახლა ამბიციურ კოლუმბიელს მარტო მიხაელ შუმახერი კი არა, რუბენს ბარიკელო და ჯეისონ ბატონიც უსწრებენ. სეზონის დაწყების წინ მონტოიას ლიდერობის პრეტენზია ჰქონდა და მეოთხე ადგილი ნამდვილად არ შედიოდა მის გეგმებში. არც "მაკლარენის" საჯინიბოში ეგონათ, თუ კიმი რაიკონენი ყველა რბოლას ნაადრევად დაასრულებდა და მხოლოდ დევიდ კულჰარდის იმედზე იქნებოდნენ. შოტლანდიელი პილოტის მიერ მოპოვებული ოთხი ქულა რომ არა, "მაკლარენს" მაჩანჩალათა შორის ყოფნა არ ასცდებოდა...

"ამჟამად "მაკლარენს" არ უმართლებს. ძრავის გაუმართაობის გამო პრობლემები ექმნება. მათ ბევრი რამ გააკეთეს მომავლისთვის. ისეთი სწრაფი ბოლიდები ჰყავთ, რომ სეზონის ბოლომდე მდგომარეობას აუცილებლად გამოასწორებენ. ჩემთვის უკეთესიც კია, ჯერჯერობით წარმატების მოპოვებას რომ ვერ ახერხებენ. ახლავე რომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენ, მაშინ ჩემს გადასვლას აზრი აღარც ექნებოდა, რადგან ჩემს გამარჯვებებს ყურადღებას არავინ მიაქცევდა", - უცნაურ განცხადებას აკეთებს პატივმოყვარე მონტოია, რომელსაც საკუთარი წარმატებები ყველაფერს ურჩევნია და სულაც არ დარდობს, თუ "მაკლარენი" ჯერჯერობით ვერაფერს აღწევს.

მონტოია რომ სრულებით არ წუხს "მაკლარენის" კრიზისზე, ეს გასაგებიცაა. ის ხომ ჯერ ისევ "უილიამსის" პილოტია და სანამ სხვა საჯინიბოში გადავა, მანამდე, ალბათ, ბევრი რამ შეიცვლება. როგორ გრძნობს თავს კიმი რაიკონენი, რომლისთვისაც ეს სეზონი საშინლად წარუმატებელი და დანავსული აღმოჩნდა? როგორც "ბილდის" ჟურნალისტებმა დაადგინეს, ახლა ფინელი პილოტი ისვენებს და მარცხის დავიწყებას ცდილობს. რაიკონენი და მისი საცოლე ჯენი დალმენი ფინეთში არიან. კუნძულ პორკალაზე რაიკონენს ფეშენებელური ვილა აქვს დიდი აუზით და პატარა კინოდარბაზით. მთელი ეს სიამოვნება თავის დროზე ფინელს 2,3 მილიონი ევრო დაუჯდა. რაიკონენი აუზის პირას ნებივრობს, მზეზე ირუჯება და აღდგომის დღესასწაულს ელოდება. ამის შემდეგ ის ისევ დაუბრუნდება ფორმულას. ეს არდადეგები, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს. მაშინ, როცა მისი კოლეგები ბარსელონაში ტესტ-რბოლებს მართავენ, რაიკონენი თავს განცხრომის უფლებას აძლევს და სამყაროსგან გამოთიშვას ცდილობს. იქნებ ამ საგაზაფხულო დასვენებამ მაინც უშველოს წარუმატებლობით თავმობეზრებულ ფინელს...

TV-სპორტი

## შაბათი. 10 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. "LOS ANGELES LAKERS" - "MEMPHIS GRIZZLIES". პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "მონაკო" – "რეალი"
15:00 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლიონი" – "პორტუ"
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:15 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:20 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:45 "გამჟღავნება"
18:15 "გაიტანე"! დელ პიეროსთან ერთად
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
18:55 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" – "დინამო". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალიადოლიდი" – "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "შალკე"
22:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" – "ლაციო". პირდაპირი ტრანსლაცია
23:40 "გამჟღავნება"
00:10 "დარტყმა გოლისთვის"
00:25 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:10) – თავისუფალი დარტყმა
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "შალკე"
02:20 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ლივერპული"
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "ORLANDO MAGIC" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

10:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:00, 14:05, 16:25, 19:30, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
12:20 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
12:50 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ზიმბაბვეში. მეხუთე ნაწილი
13:20 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
14:20 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
14:50 "სპორტის აკვატორია"
15:25 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მეორე
16:40 ჩოგბურთი. დევისის თასი. მეორე წრე. ბელარუსი – არგენტინა. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES LAKERS" - "MEMPHIS GRIZZLIES"
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:40 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ზიმბაბვეში. ფინალი
23:35 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:20) – ახალი ამბები
02:30 02:30-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვლადიმირ კლიჩკო – ლეიმონ ბრიუსტერი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი
18:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
21:00 ველოსპორტი. მსოფლიო თასი ტრეკში. დიდი ბრიტანეთი
23:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
00:15 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი ტუნისში
02:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:45 ახალი ამბები
03:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ი
04:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
04:45 ახალი ამბები

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991




ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად












# ჩვენი პოდიუმი დედამიწაა

თავისუფლების მოედანზე მდებარე ახალ სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" პირველად 3 აპრილს მოვხვდი, ახალგაზრდა მოდელიერ-დიზაინერთა IV საერთაშორისო საქველმოქმედო კონკურსზე, რომლის დევიზია - "ჩვენი პოდიუმი დედამიწაა" და ბოლო ოთხი წელი ქალთა საქველმოქმედო კლუბის, მისი პრეზიდენტის მარინა გუნიას მეშვეობით ტრადიციულად თბილისში იმართება. იგი ქართული მოდის განვითარებას, ახალგაზრდა, ნიჭიერი დიზაინერების გამოვლენა-წახალისებას ემსახურება. ვერ გეტყვით, რომ ოთხივე კონკურსი ნანახი მაქვს, მაგრამ პირველ და წლევანდელ ჩვენებას შორის, ნამდვილად, პროგრესი იგრძნობა. I კონკურსზე გამარჯვებული დიზაინერი ნინო ჩუბინიშვილის კოლექცია არასდროს დამავიწყდება, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და, ეტყობა, ჟიურიზეც, რომელმაც ნინო Kenzo-ს სახლში სტაჟირების უფლებით დააჯილდოვა. წლევანდელ კონკურსზე რამდენიმე მოდელიერის ნამუშევარი მომეწონა, მაგრამ, მოდით, თანმიმდევრობით მოგიყვებით.

"მარიოტში" ცოტა ადრე მომიწია მისვლა და ამიტომ სასტუმროს პირველი და მეორე სართულის ფოიეს დათვალიერება მოვახერხე. ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ინტერიერი მომეწონა. უფრო რომ დავაზუსტო, უბრალოდ, არ მომეწონა - ზედმეტად დაბალმა ჭერმა დამღალა, გაგიჟებული მოხატულობის აგრესიულმა ხალიჩებმა თვალები ამიჭრელა და ასეთი ფეშენებელური სასტუმროებისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვე ვერსად ვიგრძენი. საინტერესოა, ვინ იყო სასტუმროს ინტერიერის დიზაინერი? ცოტა დაგვიანებით, როგორც ქართველებს გვჩვევია, ნელ-ნელა დარბაზი არაქართველი დიზაინერების მიერ შეკერილ ტანსაცმელში გამოპრანჭული ხალხით გაივსო. ყველა ერთმანეთს ესალმებოდა, ესაუბრებოდა, ზედაპირულად უღიმოდა, ადგილებს იკავებდა. ჟურნალისტების მთელი არმია კი ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდა, პოპულარული სახელისა და გვარის მქონე სტუმრებს მიკროფონების მავთულებით ფეხებს უხლართავდა და ბანალურ შეკითხვებზე ბანალურ პასუხებსაც ღებულობდა. უმეტესად საპატიო უცხოელი სტუმრებისგან შემდგარი ჟიური და მისი მომხიბვლელი მასპინძელი მარინა გუნიაც გამოჩნდნენ, მაგიდას მიუსხდნენ და კონკურსიც დაიწყო.

ჩვენება, რომელიც მომღიმარ, ელეგანტურ, შარმიან სოფო ჭყონიას მიჰყავდა, 20 ახალგაზრდა მოდელიერ-დიზაინერის ნამუშევარს წარმოგვიდგენდა და საკმაოდ ეფექტური, საინტერესო კონცეფციის მქონე მოდელებით დაიწყო, რამაც დარბაზი პირველივე წუთიდან სასიამოვნოდ გაახალისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, რომ ჩვენება შემდგომაც ასევე ეფექტურად გაგრძელდა. ძალიან მისასალმებელია, როდესაც სრულ უსახსრობაში, უპირობობაში, უნაჭრობაში, ინფორმაციის და მხარდაჭერის ნაკლებობაში ახალგაზრდები მაინც ცდილობენ, წვალობენ, თავისი ხელით აკეთებენ მოდელებს და ტაშის დაკვრა, მოწონება, მილოცვა გულით მოგინდება; მაგრამ ძნელია, აშკარა ნაფლეთომანია, კონკების უცნაური ტენდენცია არ აღნიშნო, რომელიც, ეტყობა, კერვის, თარგის გამოჭრის უცოდინრობით არის გამოწვეული. აბა, როგორ შეიძლება, რომ ერთი-ორი დიზაინერის გარდა, ყველას ნაკუწებიდან შეკოწიწებული, მოგონილი ტანსაცმელი მოსწონდეს? ეტყობა, სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტზე, რომლის სტუდენტი კონკურსის თითქმის ყველა მონაწილე იყო, კერვას, თარგის გამოჭრას, სილუეტის, ხაზის, ელეგანტურობის, ქალურობის ცნებას არასაკმარისად ასწავლიან. ბავშვები ცდილობენ, იგონებენ, კონცეფციებს თხზავენ, ელემენტარული კი არ იციან. უცნაურია, მაგრამ როგორც კი კოსტიუმში ეთნო, ნაციონალური თემა შემოაქვთ, გემოვნების პრობლემა აშკარად ჩნდება. ალბათ, ესეც ცალკე შესასწავლი და ყურადღების მისაქცევი თემაა, რომელიც, ჩემი აზრით, სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ. მით უმეტეს, რომ ქართველებს მდიდარი ფერთა გამა, ულამაზესი ორნამენტი, დახვეწილი სილუეტის მქონე ნაციონალური კოსტიუმი გაგვაჩნია, რომელიც, ვფიქრობ, თანამედროვე დიზაინში ძალიან საინტერესოდ შეიძლება გამოიყენონ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, აშკარა იყო, რომ აი უკვე ოთხი წელიწადი კონკურსი ტყუილად, უშედეგოდ არ ტარდება, ქართული მოდის სკოლა ნელა, მაგრამ პროგრესს განიცდის და ახალგაზრდა დიზაინერებს კი სტიმული, წახალისება უჩნდებათ, რასაც კონკურსის ორგანიზატორები წლიდან წლამდე აკეთებენ. კონკურსანტების ნამუშევარზე ჩემი და ჟიურის აზრი თითქოს დაემთხვა. ერთადერთი, ვინმე ფანცულაიაზე გული დამწყდა. მე, პირადად, მისი მოდელები მომეწონა და მიმაჩნია, რომ მას კონცეფციაც, სტილიც, სილუეტიც, ფერიც ჰქონდა, მაგრამ ჩემი და ჟიურის აზრი ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული აღმოჩნდა.

საკონკურსო ჩვენება დასრულდა, ჟიური ნახევარი საათით გადაწყვეტილების მისაღებად განმარტოვდა, ხალხი კი კვლავ უგემოვნო ხალიჩით დეკორირებულ, გამოციებულ ფოიეში გავიდა, კონკურსის მხარდამჭერ კოკა-კოლას მიირთმევდა, ჩუმად საუბრობდა, ზედაპირულად იღიმოდა, ერთმანეთის არაქართულ ტანსაცმელს ათვალიერებდა, ჟურნალისტები კი კვლავ ცნობილ სახეებზე ნადირობდნენ.

ჟიურიმ, როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღო. კონკურსანტები, რომლებიც გულწრფელად ღელავდნენ და დაღლილები ჩანდნენ, ძალიან გულისამაჩუყებლად გამოიყურებოდნენ და ჟიურის წევრების, განსაკუთრებით კი უცნაურ, ლამაზ ქუდში და აბრეშუმის შარფში გამოწყობილი, ექსტრავაგანტული მოდის ისტორიკოსის ალექსანდრ ვასილიევის თბილი მილოცვა დაიმსახურეს. თუმცა, მხოლოდ ვასილიევი ფლობდა რუსულს და, შესაბამისად, თარჯიმანს არ საჭიროებდა, დანარჩენ ინგლისურენოვან ჟიურის წევრებს კი ისეთი უცნაური თარჯიმანი უთარგმნიდა, შეიძლება, მათი გამოსვლებიც თბილი იყო, თარჯიმანს რომ ეცლია და რამე გაგვეგო. ეჭვი მაქვს, რომ სასტუმრო "მარიოტმა" ინტერიერის, ხალიჩების შესაბამისი თარჯიმანიც იშოვა.

გამარჯვებული კონკურსანტები სტაჟირებას მილანში და მოსკოვში გაივლიან და მინდა დავიჯერო, რომ თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს კიდევ უფრო დახვეწენ, კონკურსის ორგანიზატორების იმედებს გაამართლებენ და V კონკურსის ჩატარების სტიმულს გაუჩენენ.

"მარიოტის" უშნო ხალიჩების, უცნაური თარჯიმნის, ზედაპირული ღიმილის, აგრესიული ჟურნალისტების და ნაფლეთომანიის ტენდენციის მიუხედავად, დადებითი ემოციით გამოვედი დარბაზიდან, სადაც 2004 წლის 3 აპრილს 20 ახალგაზრდა მოდელიერ-დიზაინერის გულწრფელი, მონდომებული შრომა ვნახე, რომელსაც რამდენიმე წელიწადში, თუ კონკურსი ასე გაგრძელდა, შეიძლება თანამედროვე ქართული მოდაც ვუწოდოთ და მათი პოდიუმი კი, მართლაც, დედამიწა გახდეს.








# უიმედო "იმედის მელოდიები"

ტელე-იმედის საინფორმაციო გამოშვებებს, ჯანრი კაშიას საინტერესო ტოკ-შოუს, ღამის კინოს იმედის ეთერში ხშირად ვუყურებ და შესაბამისად, "იმედის მელოდიებისთვისაც" არაერთხელ მომიკრავს თვალი, მაგრამ ამ მელოდიებს იმედისას ვერაფერს ვატყობ, უფრო პირიქით, ჩემში სრულ უიმედობას, სინანულს იწვევს. ნუთუ ქართული ესტრადა მართლაც ასეთ უიმედო მდგომარეობაშია? შეიძლება ოპტიმისტი ვარ, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ არც ისეა საქმე, როგორც ეს ტელე-იმედის მუსიკალური ბლოკიდან ჩანს. მაინტერესებს, ამ სიმღერებს ეთერში გასაშვებად ვინ არჩევს და ვის გემოვნებას ვეწირებით? გასაგებია, რომ თითქმის ყველა კლიპი არტ-იმედის პროდუქციაა, მათ ეკუთვნის და კარგია თუ ცუდი, საკუთარის რეკლამირება-პოპულარიზაციას ცდილობენ, მაყურებელს კი, თუ არ მოსწონს, ნუ შეხედავს. კი ბატონო, მაგრამ გამაგებინეთ, რატომ არ შეიძლება, რომ ტელე-იმედის ეს უიმედო მელოდიები ცოტა ღირებული, ასევე არტ-იმედის პროდუქციით გაჯერდეს, დაბალანსდეს? არტ-იმედს ხომ ჰქონდა განხორციელებული გიორგი ჩუბინაშვილის რომანსების, რუსული რომანსების და გია ყანჩელის სიმღერების პროექტები, რომლებსაც ეკა მამალაძე, ნატო მეტონიძე და არტ-იმედის სხვა მომღერლები ასრულებდნენ. რა დაშავდება იმით, რომ ამ საკონცერტო პროექტების ნაწყვეტები "იმედის მელოდიებში" გვაჩვენონ? ჩვენც ხომ ვისიამოვნებთ, რომ არტ-იმედი მხოლოდ უიმედო მუსიკისა და მუსიკოსების პოპულარიზაციით არ არის დაკავებული და ქართული ესტრადა კი ვიღაცა ორისამი, დარასკრუტკებული, ვულგარული, უგემოვნო, უხმო და უსმენო შემსრულებლებით არ შემოიფარგლება.

პირადად მე დღესაც მახსოვს ის სიამოვნება, რომელიც კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გიორგი ჩუბინიშვილის რომანსების საღამოზე მივიღე, ან ამავე დარბაზში რუსული რომანსის საღამო, რომლის ყველა მონაწილე შესრულების ერთ სიმაღლეზე ნამდვილად ვერ იდგა, მაგრამ ზოგადად კონცერტი კულტურულობითა და გემოვნებით გამოირჩეოდა. იმის მერე ამაოდ ველოდები, რომ სადმე, როდისმე კიდევ ერთხელ მომასმენინებენ ამ კონცერტებიდან თუნდაც ერთ რომანსს.

სამწუხაროდ, მე ვერ ვნახე ნიკა მემანიშვილის მიერ გია ყანჩელის სიმღერების არანჟირება, რომელსაც ქართული ესტრადის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი მომღერალი - ნატო მეტონიძე ასრულებდა. თბილისში ამ პროექტმა დიდი რეზონანსი, მოწონება გამოიწვია და დარწმუნებული ვარ, იმათ გარდა, ვინც ჩემსავით ეს კონცერტი ვერ მოისმინა, ისინიც კიდევ ერთხელ სიამოვნებით მოისმენდნენ მართლაც კარგ მუსიკას, ვინც ოპერის თეატრში იყო.

თუ არტ-იმედის ხელმძღვანელობამ ასეთი პროექტები განახორციელა, ე.ი. მათი ღირებულებაც ესმოდა, მაშინ რატომ არ ესმის ეს ტელე-იმედის ხელმძღვანელობას, მის მუსიკალურ რედაქციას, რომელიც ქართული ესტრადის იაფფასიანი ნიმუშებით არის აღფრთოვანებული და შემოფარგლული. რა მოხდება, რომ არტ-იმედის და ტელე-იმედის თანამშრომლები ერთმანეთში შეთანხმდნენ, ერთობლივად გაარკვიონ, რა არის კარგი და რა არის ცუდი და შედეგად კი "იმედის მელოდიები" დახვეწონ თავისივე პროდუქციით, რომელსაც რატომღაც გვიმალავენ?

# ფილოსოფიიდან ხელოვნებამდე

ძალიან ბევრი წელი მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი პროფესიით ფილოსოფოს-ფსიქოლოგ, შესანიშნავი იუმორის მქონე, ინტელიგენტ, სასიამოვნო ქალს - ზეიკო ანჯაფარიძეს, მაგრამ ამ კვირაში მის პიროვნებაში სრულიად ახალი, ჩემთვის უცნობი მხარე აღმოვაჩინე. გაირკვა, რომ ფილოსოფიიდან შემოქმედებამდე ერთი ნაბიჯია, თუ ადამიანი მუდმივ ძიებაშია და საინტერესოდ ცხოვრობს. ორი შვილის დედა, ორი შვილიშვილის ბებია, ოთხი წლის წინ ახალმა გატაცებამ შეიპყრო და ზეიკო ანჯაფარიძემ მინანქრის რთული ტექნოლოგია შეისწავლა, რომელიც ნელ-ნელა, ჰობიდან პროფესიულ სიმაღლეზე აიყვანა და ამ დღეებში შარდენის პატარა, მყუდრო ქუჩის ერთ-ერთ გალერეაში პერსონალური გამოფენა-გაყიდვა შემოგვთავაზა. ბევრი ლამაზი, გემოვნებიანი, დახვეწილი ნაკეთობა, უამრავი ხალხი, უმეტესად ლამაზი ქალები, მომღიმარი ზეიკო ანჯაფარიძე, რომელიც მილოცვებს ჩვეული იუმორით ღებულობდა, ბევრი ყვავილი და გულწრფელი კომპლიმენტები - ასეთი იყო გამოფენის გახსნის მზიანი დღე.



თუმცა, მე აქსესუარებს დიდად არ ვხმარობ, მიუხედავად ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილ რამდენიმე ნაკეთობას სიამოვნებით შევიძენდი და ზუსტად ვიცი, რომ კარგად მოვიხმარდი, იმიტომ, რომ თითოეული ნამუშევარი, ესთეტიკურობის პარალელურად, ქალის ბუნების, ფსიქოლოგიის ცოდნით არის დამზადებული. ეტყობა, მინანქარზე მუშაობისას ზეიკო ანჯაფარიძეს ფსიქოლოგის პროფესია გამოადგა და ისეთი გამოფენა მოაწყო, რომლის ყოველი ექსპონატი კონკრეტული ქალის სტილის, მოთხოვნილების, ელეგანტურობის გათვალისწინებით და მათ დასამშვიდებლად შეიქმნა. ალბათ, მხატვრის წარმატება გარანტირებულია, როდესაც მან მომხმარებელ-მყიდველის, დამფასებლის ფსიქოლოგია იცის, ითვალისწინებს და, აქედან გამომდინარე, თითქოს პირადად მისთვის დამზადებულ ნაკეთობას სთავაზობს.

ადამიანი, რომელიც, ზეიკო ანჯაფარიძის მსგავსად, თავისი ცხოვრების არც ერთ დღეს უინტერესოდ, სიცარიელეში არ ატარებს, აღფრთოვანებასა და პატივისცემას იწვევს. საინტერესო, შევსებული ცხოვრება დიდი უპირატესობაა, რომლის მიღწევა არც ისე იოლია და ყველას არ გამოსდის. ამას განსაკუთრებული ნიჭი, ინტელექტი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, სიცოცხლის დაფასება და სიყვარულის უნარი სჭირდება. სასიამოვნოა, დღევანდელ მასობრივი უინტერესობის, უსულობის ფონზე ასეთ ადამიანს რომ იცნობ, მისი ენერგიით, ენთუზიაზმით, ჟინით, შეგიძლია აღფრთოვანდე და გაზეთის მეშვეობით გამოხატო, რასაც პირადად ვერ ეტყოდი.

# მოტირალი ქალწული მარიამი გვაფრთხილებს

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ყვირილით "ევრიკა!" არქიმედე აბაზანიდან ამოხტა. ნიუტონს თავზე ვაშლი დაეცა. კვერცხის ფოკუსი კოლუმბს ამერიკის აღმოჩენაში დაეხმარა. ინკვიზიციის მიერ მოტეხილმა გალილეიმ შესძახა: "და მაინც, ის ტრიალებს!" სავარაუდოა, რომ არც აბაზანა ყოფილა, არც ვაშლი, არც კვერცხი და არც "და მაინც". მიუხედავად ამისა, არსებობს არქიმედესა და ნიუტონის კანონები, ამერიკა აღმოჩენილია, დედამიწა კი ტრიალებს. თან როგორ! ეს ამჟამად მოდური ვირტუალური რეალობა არაა. ეს ცივილიზაციის ისტორიაა. ადამიანებმა ეს ამბები დაიჯერეს, და რწმენამ ისინი რეალობად აქცია...

ეკრანებზე გამოსვლამდე მიხეილ ჭიაურელი სტალინს კინოფილმ "ბერლინის დაცემის" მეორე სერიას უჩვენებდა. ამ სურათის დასკვნით კადრებში არის ეპიზოდი, სადაც ბელადი რუს ქალს ხელზე ეამბორება. ამ ქალს გიაცინტოვა თამაშობდა. ამ ეპიზოდის გამო ყველა ღელავდა. და მართლაც:

- სად გინახავთ, რომ სტალინს ქალისთვის ხელზე ეკოცნა? – მუქარით დაინტერესდა ბელადი.

- ხალხს უნახავს, - უპასუხა რეჟისორმა, რომელიც მეფის კარზე ნაცადი კაცი იყო.

სტალინს ულვაშებში ჩაეცინა. ეპიზოდი ფილმში დარჩა...

ბეთლემში ქველმოქმედების ასულთა ორდენის მონაზვნებმა მოტირალი ქალწული მარიამი ნახეს. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც ებრაელ და პალესტინელ ჯარისკაცთა შორის სროლის შედეგად წმინდა ოჯახობის ტაძრის დამაგვირგვინებელი ღვთისმშობლის ქანდაკება დაზიანდა. უბიწო ქალწულის დანახვამ მონაზვნები შეძრა, მისმა სიტყვებმა კი ქრისტეს პატარძლებს თავზარი დასცა.

- მან გვითხრა, რომ ტერორისტული აქტები, რომლებიც ყველა ქვეყანაში შხამიანი თესლივით ვრცელდება, მსოფლიოს დაღუპავს. მათ ვერავინ გადაურჩება, თუ წელსვე არ დაიწყებს გარკვეული პირობების შესრულებას, - ჰყვება ერთ-ერთი მონაზონი. – შემდეგ ქალწულმა მარიამმა დაგვლოცა, ატირდა და გაქრა.

მისმა სიტყვებმა მონაზვნებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ სასწაულის წინა ღამეს ქველმოქმედების ასულთა ორდენის ოთახები ვარდის სურნელით აივსო. სურნელი მწუხრის ლოცვის დროს იგრძნეს. ვარდების სურნელი სამლოცველოს რაღაც მუსიკალური აკომპონიმენტის თანხლებით მოედო – ჰანგი თითქოს გუმბათიდან მოისმოდა. ეს ბგერა ენით უთქმელ სითბოს ასხივებდა. შემდეგ სინათლის სვეტი გაჩნდა, რომელმაც ნელ-ნელა ქალწულ მარიამის სახის მიღება დაიწყო. მას ცრემლი სდიოდა, როცა სასტიკი სამსჯავროს მოახლოებას წინასწარმეტყველებდა და მისგან გადარჩენის შესახებ ლაპარაკობდა. პირველი შოკისგან გაქვავებული მონაზვნებიც გონს მოეგნენ და ატირდნენ. მათი გულები, რომლებიც უბიწო ქალწულის იერსახით იყო შეძრული, არა მარტო სევდით, არამედ დიდი სიყვარულითაც აღივსო.

- ჩვენს შორის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული დები არიან, და ქალწულ მარიამის წინასწარმეტყველური სიტყვები ყველამ თავის მშობლიურ ენაზე გაიგონა. მაგრამ ამ სიტყვების შინაარსი ერთი და იგივე იყო, - ამბობს ერთ-ერთი მონაზონი. – ისინი, დაახლოებით, ასეთი იყო: "ჩვენ სასტიკი სამსჯავროს ზღურბლზე აღმოვჩნდით, როგორც ეს გამოცხადების წიგნშია ნათქვამი. გადარჩენის გზა მხოლოდ თანაგრძნობაა – სანამ გვიანი არაა". შემდგომ ქალწულმა მარიამმა თქვა: "გადარჩენის პირობები მარტივია. მაგრამ საჭიროა, რომ მათ შესახებ მთელმა მსოფლიომ იცოდეს".

ქალწულ მარიამის თქმით, რომელიც, როგორც ჩანს, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში ჩინებულად ერკვევა, ანტიქრისტე, პირველ რიგში, ღატაკთა "გულებს დაეუფლება", დამცირებულ და შეურაცხყოფილ ქალებსა და მამაკაცებს დაიმორჩილებს და მათზე იბატონებს. ულუკმაპუროდ, თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ეს ხალხი თანახმა იქნება სული მიჰყიდოს "ნებისმიერ სისტემას, რომელიც მათ ყიდვა-გაყიდვის ნებას დართავს, და ანტიქრისტეს ლაშქარში ჩაეწერება". შემდგომ უბიწო ქალწულმა იწინასწარმეტყველა, რომ "2003 წლისთვის ექსპერიმენტული ელექტრონული საკრედიტო ბარათების სისტემა საზოგადოებას მოიცავს და ბოროტების მძლავრი არმიის ფონანსირებას შეუდგება". ერთი ბეთლემელი ქველმოქმედების ასულის თქმით, "ქალწულმა მარიამმა გვითხრა, რომ სატანის შემოტევის წინააღმდეგ თავდაცვის პირველი ხაზი უსახლკაროთა ღამისსათევები და დამშეულთა სასადილოები უნდა გახდეს. მათ, ვისაც ქრისტეს ლაშქარში სურთ ყოფნა, ჯერ მშივრები უნდა დააპურონ და უსახლკაროები შეიფარონ. ქრისტეს ეს რიგითი მებრძოლები გამარჯვების მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი გახდებიან.

ქალწულ მარიამის უწყებაში განსაკუთრებული ყურადღება ავლანელი ქალების ტანჯვაზე იყო გამახვილებული, რომლებიც თალიბების სასიტკი მმართველობისა და ომის მსხვერპლი გახდნენ – "გონი დაებინდათ და სხეული დაუსახიჩრდათ". ქალწულ მარიამის სიტყვები ბურუსით იყო მოსილი – გაუგებარია, რა კავშირი აქვს არმაგედონთან ავლანელი ქალების ტანჯვას. მაგრამ მითითებულია, რომ ამ უბედურების დახმარება ჩვენი ცოდვების გამოსყიდვის საწინდარი იქნება, ისევე, როგორც ისრაელსა და პალესტინას შორის მტკიცე მშვიდობის დამყარებისა.

ქალწულ მარიამის სიტყვების თანახმად, ანტიქრისტე გამოჩნდება "რეგიონიდან, რომელიც ნავთობს აწარმოებს". მონაზვნების გასაოცრად, ქალწული მარიამი გულისხმობდა არა საუდის არაბეთს ან თანამედროვე ბაბილონს – ერაყს, არამედ ტეხასს, ალიასკას, რუსეთს და ცენტრალურ აფრიკას. "თუ ნავთობის კორპორაციის ძლევამოსილების შესახებ ვისაუბრებთ, ძნელი სათქმელი იქნება, თუ რას ფლობს საერთოდ უბრალო ხალხი," გოდებდა ქრისტეს მშობელი. მან მონაზვნებს მოუწოდა, არ ესარგებლათ იმ გადაადგილების საშუალებებით, რომლებიც ნავთობპროდუქტებს მოითხოვს, და ამტკიცებდა, რომ ყველაფერს ფეხით სიარული სჯობს.

შემდგომ ქალწულმა მარიამმა ისინი გააფრთხილა, რომ "ანტიქრისტეს ლაშქრის ფორმირება აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსული ადამიანებითა და ჩინელი ობლებით დაიწყება, ვინაიდან ცხოვრების სასტიკი პირობები სიყვარულისა და თანაგრძნობის ინსტიქტებს ბავშვებისთვის მიუწვდომელს ხდის. ამიტომ ანტიქრისტე მხოლოდ მაშინ დამარცხდება, როცა დედის სითბოს მოკლებული აღმოსავლეთის ბავშვების სახეებს კვლავ ბედნიერი ღიმილი გაანათებს". ყოჩაღ, ქალწულო მარიამ! მან, ასევე, განაგრძო: "რაც მეტი ობოლი მიაგნებს მოსიყვარულე ოჯახს, მით უფრო დასუსტდება სატანის მებრძოლთა რიგები, სანამ ის საბოლოოდ არ დამარცხდება".

უწმინდესი ქალწულის სიტყვებში იდუმალი ელემენტიც იყო – როგორც მსგავს წინასწარმეტყველებათა წესია. ქალწულმა მარიამმა მონაზვნებს უთხრა, რომ სატანის დამარცხების საიდუმლოს მიგნება ამერიკის მოხუცთა თავშესაფრებში შეიძლება. ის "შეკრულია 13 დავიწყებული ვეტერანის მეხსიერებაში. ამ 13 გასაღების გარეშე არმაგედონის სისხლისღვრამ შეიძლება მთელი დედამიწა დატბოროს და უკაცრიელი გახადოს". ამიტომ ქალწულმა მარიამმა ადამიანებს მოუწოდა, თანაგრძნობა გამოიჩინონ უსუსური მოხუცებულების მიმართ, მათ მიმართაც კი, ვისაც ალცჰაიმერის მსგავსმა დაავადებებმა მეხსიერება დააკარგვინა. "უფროსი თაობების გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვიდრე თანამედროვე სატელევიზიო შოუები," მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ქალწულმა მარიამმა. მან თქვა, რომ ამიტომ დღეში ერთი საათი მაინც მოხუცებს წიგნი უნდა ვუკითხოთ და მათი ნაამბობი ვისმინოთ – ჩვენ არა მარტო კეთილ საქმეს გავაკეთებთ, არამედ გადარჩენის გზასაც მოვძებნით – მათ მეხსიერებაში დაფლულ 13 გასაღებს.

ასეთია ბეთლემის ქველმოქმედების ასულთა თქმით, ქალწულ მარიამის მესიჯი. სულ ერთია, ეჩვენათ მათ ღვთისმშობელი თუ არა. მთავარია, რომ მათ ის დაინახეს და მისი ისმინეს. მთავარია, რომ ვიღაცამ ღვთისმშობლის ქანდაკება სასროლ მიზნად გადააქცია. ის ისრაელის ტანკის მიერ გასროლილი ჭურვის ნამსხვრევებმა დააშავა, რომლის ცეცხლშიც მონასტერი და ორსულ ქალთა ჰოსპიტალი მოხვდა (ყოველი ქალისთვის მის შიღში ღვთაებრივი ნაწილი არსებობს). როცა ჭურვი ჰოსპიტალის შენობას მოხვდა, მისი მკვიდრნი პანიკამ მოიცვა. იხსენებს და ელისაბედი, რომელიც იმ შემზარავ დროს ჰოსპიტალში იმყოფებოდა: "ტანკი პირდაპირ ჰოსპიტალის წინ იდგა, პალესტინელები კი მის ზემოთ ქუჩებში იყვნენ განლაგებული. სროლა სამი საათის განმავლობაში უწყვეტლივ გრძელდებოდა". ქალწულ მარიამის გამოცხადება ამის შემდეგ ზუსტად ერთი კვირის თავზე მოხდა.

...საოცარი რამაა სასწაულები. მაგრამ, მათი სიბრძნე ძალზე მარტივია. 13 გასაღები იდუმალია, მაგრამ ათი მცნება – ძალიან მარტივი. ის, რაც ამჟამად დედამიწის იმ ნაწილში ხდება, სადაც ძე ღვთისა დაიბადა და ჯვარზე იყო გაკრული, საშინელი სასწაულია, საშინელი სწორედ იმის გამო, რომ ძალზე მარტივია – პალესტინელის ტყვია თუ ებრაელის ჭურვი ქალწულ მარიამს მოხვდა და მასთან ერთად – ყოველ ჩვენთაგანსაც. დღევანდელი მსოფლიო შიმშილისა და სიღატაკის, სიძულვილისა და შეურიგებლობის, ომისა და ტერორის ჯვარზეა გაკრული. ტაძრებს ჯარისკაცები და მევახშეები შეესივნენ. მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში ჩადებულია უდიდესი სასწაული სასწაულთა შორის – ჯვარზე გაკრულისა და სამარხში ჩაბრძანებულის აღდგომა. მოხდა ეს თუ არა – ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხალხმა ეს ნახა, ისევე, როგორც ბეთლემელმა მონაზვნებმა ნახეს ტყვიებითა და ჭურვის ნამსხვრევებით დაცხრილული, ბიბლიისა და ანტიგლობალიზმის ენაზე მოლაპარაკე ქალწული მარიამი. შეგვიძლია ბევრი ვიმხიარულოთ მის ლექსიკაზე, მაგრამ მისი გაფრთხილება სასაცილო არაა. სიწმინდეს ვერაფერი ეხება, ყველაფერი დანარჩენი კი შეიძლება ომისა და სიძულვილის ცეცხლში დაინთქას. ხალხმა ეს იცის. ის მას ხედავდა და დღესაც ხედავს. ბეთლემშიც კი. სააღდგომოდაც კი. და მხოლოდ მას შეუძლია ცრემლი მოსწმინდოს ქალწულ მარიამს, თუნდაც ომის მსხვერპლად და ვეტერანად ქცეულს. თქვენსა და ჩემს გარდა ამას ვერავინ შეძლებს. ამ სასწაულის სიდიადე და ბრძნული სისადავე სწორედ ესაა.



ქალაქი ბეთლემი

დილის რეცეპტი
გადაცემიდან
"დილა მშვიდობისა საქართველო"
ირინა მერაბიშვილი
კონდიტერი
კაფე "დელმარე"

## პასკა



**ინგრედიენტები:**

8 კვერცხი
225გ შაქარი
250გ რძე
30გ საფუარი
200გ კარაქი
500გ ფქვილი
½ ლიმონი
5 წვეთი ლიმონის ესენცია
0,5 ჩ/კ მიხაკი

0,5 ჩ/კ დარიჩინი
0,5 ჩ/კ ჯავზი (მუსკატი)
0,5 ჩ/კ ყვითელი ყვავილი
ვანილი
მარილი
200გ ქიშმიში

**მომზადების წესი:**

ავთქვიფოთ კვერცხის ცილა და დავუმატოთ შაქარი. მიღებულ მასაში შევურიოთ ათქვეფილი კვერცხის გული, გამდნარი კარაქი და თბილ რძეში გახსნილი საფუარი, კარგად ავთქვიფოთ და დავუმატოთ გახეხილი ლიმონი, ვანილი, მიხაკი, ჯავზი, დარიჩინი, ყვითელი ყვავილი, მარილი და ლიმონის ესენცია. მიღებულ მასას ნელ-ნელა შევაზილოთ ფქვილი. მივიღებთ საშუალო სისქის ცომს რომელიც არ უნდა აკვრს ხელს. ცომი შევფუთოთ და დავდგათ 2 საათით სითბოში. ამოსული ცომი მოვზილოთ კიდევ ერთხელ და ისევ დავდგათ სითბოში 30 წუთით.
ამ დროის გასვლის შემდეგ ცომს შევურიოთ ქიშმიში, კარგად მოვზილოთ და ჩავასხათ ფორმებში ( ფორმის 1/3 ზე ).
გამოვაცხოთ ღუმელში, ნელ ცეცხლზე. გამომცხვარ პასკას მოვაყაროთ პუდრი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

10 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": დოკ. ფილმი "ჭაბუა ამირეჯიბი" **01.20** მხ. ფილმი "მეწამული მოსასხამი". მთ. რ-ში: რიჩარდ ბარტონი, ჯინ სიმონსი.

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **08.35** ღია ბარათი. გურმანი. **09.25** საბავშვო გადაცემა. **10.30** ეს უნდა იცოდე. გადაცემა ბავშვებისათვის. **11.50** კლიპების სიტყვები. **13.15** თოვლის დნობა. მხ. ფილმი. **15.05** მითხარი ღმერთის სახელი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის .ტელე თამაში. **20.05** ორკესტრის მართვის ხელოვნება. **21.25** კრიმინალი. მხ. ფილმი. **00.00** ერთი გამოGონების ისტორია.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "სელა ვი" **10.00** დილის პაემანი **11.00** მხიარული კარუსელი **11.25** მოგზაურობა სასიტყვეთში **11.55** გლობუსი **12.25** პოზიცია **13.10** სახარება მათესი **15.15** "იმღერე რამე" **16.00** ფეხბურთი. "თბილისი"-"ლოკომოტივი" **18.00** ვესტნიკი **18.45** თბილისის დროით **19.05** პროფათეული **19.35** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** ამბობენ **22.55** ტელეფილმი "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმამდე" **00.00** აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** ფილმი "მახოუნის საკუთრება". მთ.რ-ში ფილიპ სეიმურ ჰოფმანი, მინი დრაივერი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "ერთხელ მექსიკაში" მთ. რ-ში ანტონიო ბანდერსაი, სელმა ჰაიეკი

### მზე

**09.00** მულტფილმი "ჯუნგლის წიგნი 1" **10.20** საბ. სერიალი "ფერიების ქვეყანა" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "კამელოტის ქალები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მოტაცებული" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **21.20** ფეხბურთი მზეზე **22.00** მხ. ფილმი "ვინმე ჯო" (ტიმ ალენი) **23.30** მხ. ფილმი "ჟანა დარკი" (მილა იოვოვიჩი)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** ჯანმრთელობა **20.00** მხ. ფილმი "ძაღლი კეგლის თამაშისას" **21.30** რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან **22.20** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" **14.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი" **16.00** მხ.ფილმი "მოჩვენება" **18.10** მულტფილმი **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "განკიცხულნი" **00.20** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 16.45, 18.45** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30, 11.40, 15.15, 17.50, 01.20** იმედის მელოდიები **10.50** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "დუბლიორები ფინიშის ხაზთან" **15.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **16.00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. (პ.რეპ.) **18.00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **20.00** ქართ. სერიალ "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00, 00.15** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### მეცხრე არხი

**08.25** მხ. ფილმი "საიდუმლო კუნძული" **10.15, 14.50, 16.25, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.20** მხ. ფილმი "კვო გადის" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "მისტერ ბინი" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **21.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" მე-3ს. **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "ვი აი პი" მე-2ს. **01.00** მხ. ფილმი "შეხვედრა მშობლებთან" (რობერტ ლენერი)

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "სასწაულებრივი გარდასახვა" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 19.15, 23.00, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მელოდრამა "სილვია" **14.15** მუსიკა **14.35** კომედია "აგენტი ჯონი ინგლიში" **16.20** "ჭიტა-ჭიტა" **16.30** მულტფილმი **17.50** სათავგად. ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" 1 ს. **19.30** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.00** მელოდრამა "ცის დასალიერს" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **00.30** მხ. ფილმი "იესო" **02.30** ისტორიული ფილმი "ბენ ჰური"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **07.30** Олег Стриженов в фильме **"Господин Великий Новгород" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой". Виктор Черномырдин. **12.00** "Пестрая лента" **13.10** История с географией. "Братья по крови: Идеальные творения" **14.10** Дог-шоу **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.20** Умницы и умники **16.00** Спасатели. Экстренный вызов **16.30** "Тайны православных святынь". Док. фильм **17.00** Эрик Робертс в триллере **"Ребенок" 18.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса **19.15** Нонна Мордюкова в фильме **"Русское поле" 21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** Олег Янковский в фильме **"Бедный, бедный Павел" 00.20** Трансляция богослужения из Храма Христа Спасителя **03.00** Станислав Любшин в фильме **"Дымъ" 06.00** Вениамин Смехов в детективе **"Ключ"**

### РТР

**07.00 Фильм "СОБАЧЬЕ СЧАСТЬЕ" 08.10** "Том и Джерри". Мультсериал **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта. **10.45** Сам себе режиссер. **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд". **13.15** В поисках приключений. **14.15** Клуб сенаторов. **15.00, 21.00** Вести **15.20** Лидия Федосеева в фильме **"СВЕРСТНИЦЫ" 16.50** Кино-истории Глеба Скороходова. **17.00 Футбол.** Чемпионат России. "Сатурн" (Моск. обл.) - "Локомотив" (Москва). Прямая трансляция. **19.00** Премьера. "Шутки юмора-2004". **21.25** Зеркало. **21.50** "Честный детектив" **22.20** Марина Александрова в мелодраме **"СЕВЕРНОЕ СИЯНИЕ" 00.20** Прямая трансляция Пасхального богослужения из Храма Христа Спасителя. **02.00** Людмила Гурченко в фильме **"ПЯТЬ ВЕЧЕРОВ" 04.10** Олег Янковский в фильме-спектакле **"ШУТ БАЛАКИРЕВ".**

### НТВ

**06.55** Роджер Мур в фильме **"КОРАБЛЬ "ЛУННЫЙ ГОНЩИК" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: Александр Самойленко - Андрей Янков. **12.00** Квартирный вопрос: стена вместо стенки. **13.20** "Дикий мир: гриф секретно". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.15** Юрий Соломин в фильме **"СВЕТ В ОКНЕ" 16.00** Схождение Благодатного огня. Прямая трансляция из Иерусалима. **17.20** "Женский взгляд". Ирина Винер. **17.55 Сериал "КАМЕНСКАЯ: ИГРА НА ЧУЖОМ ПОЛЕ". 1 с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Михаил Ульянов в боевике **"ВОРОШИЛОВСКИЙ СТРЕЛОК" 23.05** "Красная смерть". Фильм Александра Герасимова. **00.00** Джоди Фостер в фильме **"КОНТАКТ" 02.50** Двое в городе. **03.25** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# ფსიქიატრები ჰაკერების გამოჭერას ცდილობენ



მამუკა ქირია

*იმისათვის, რომ უკეთ გაერკვნენ კომპიუტერული ჰაკერების მოტივაციაში, კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტები კლინიკური ფსიქიატრიის მეთოდებსაც მიმართავენ. ეს ის ფსიქიატრები არიან, რომლებიც თანამშრომლობენ და ეხმარებიან სპეცსამსახურებს მკვლელების, ქილერების, მანიაკების, ფსიქიკურად შეშლილი ადამიანების გამოვლენა-დაკავებაში.*

ფირმა NetSec-ის კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების სპეციალისტი ტომ პარკერი თავის ინტერვიუში აცხადებს, რომ ყოველი ჰაკერი მოითხოვს კონკრეტულ შესწავლას, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფსიქიკით, ასევე მომზადების დონით. აქედან გამომდინარე სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა დონის ჰაკერულ შეტევასთან გვაქვს საქმე. უფრო მეტიც, უკვე არსებობს ფსიქიატრების მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ჰაკერების გამოკვლევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთი და იგივე ჰაკერი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის შეტევას ამზადებს, აქედან გამომდინარე ფსიქიატრები ტესტირებისას ცდილობენ დაადგინონ დამნაშავის ასაკი, იყო თუ არა ის აქამდე დაკვირვების ობიექტი, მისი კვალიფიკაციის დონე, და შესაძლოა თუ არა, ერთმა ჰაკერმა განმეორებით განახორციელოს შეტევა.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰაკერის კვალიფიკაცია, სპეციალისტები სწავლობენ მის სამოქმედო გეგმებს და პროგრამულ კომპონენტებს. თუ შეტევისას გამოყენებული პროგრამები დაწერილია თავად ჰაკერის მიერ და არაა სტანდარტული სოფტი, მაშინ საქმე გვაქვს უფრო რთულ და ჭკვიან დამნაშავესთან. ტექნიკური კვალიფიკაციის მიხედვით შექმნილია შეფასების სპეციალური საზომი შკალა, სადაც შეყვანილია მონაცემთა ბაზა და თითოეული ჰაკერისთვის პირადი პროფფაილი. შემდგომში ეს ბაზა გარკვეული ალბათობით იძლევა საშუალებას გაირკვეს თითეული ჰაკერის მოქმედების გეგმა, რისთვისაც უსაფრთხოების სამსახურები გეგმაზომიერად ღებულობენ ზომებს ყველა საეჭვო ვარიანტის გამოსარიცხად.

პროგრამისტებს და კომპიუტერულ სპეციალისტებს ბევრი რამის თქმა შეუძლიათ ჰაკერების ხელწერაზე და მათი მუშაობის ტექნოლოგიებზე, მაგრამ ქვეცნობიერ, კრიმინალურ აზრებს ისინი ნამდვილად ვერ შიფრავენ. ამიტომაც, საქმეში კლინიკური ფსიქიატრიის სპეციალისტები ჩაერთვნენ. სპეციალისტები თვლიან, რომ მოქნილი შეფასების ბაზის არსებობის პირობებში, სადაც ჩადებული იქნება ფსიქიატრების დასკვნები კონკრეტულ ჰაკერზე, შესაძლებელი გახდება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. რა თქმა უნდა, სამუშაო ძალიან ბევრია. სანამ ყველა რჯულის კომპიუტერული პარაზიტის ფსიქოლოგია არ იქნება შესწავლილი, ამ საქმეს ხეირის მოტანა არ ძალუძს.

ტომ პარკერი ყურადღებას ამახვილებს უკვე ცნობილი ჰაკერების სახეობაზე. მათ ინსაიდერებს ეძახიან და ისინი ძალიან საშიშები არიან იმათთვის, ვინც ქსელების უსაფრთხოებას ცუდად ფლობენ, ასევე, მათი სამოქმედო გეგმაა, ვითომცდა დახმარების და გარკვეული სერვისის შესრულება ინტერნეტის საშუალებით. შემდგომ კი ანკესზე წამოგებულთ საშინელი თაღლითობის ფაქტი ელოდებათ მომავალში. ასეთი სახის ჰაკერებს, სხვა სიტყვებით, თაღლით-ჰაკერებსაც ეძახიან. დღეისათვის ბევრი მათგანი ზემოთხსენებულ ბაზაშიც არის, მაგრამ მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. ტომ პარკერი თვლის, რომ ფირმის უსაფრთხოება დღეს შიდა ქსელში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციაზეც არის დამოკიდებული და უსაფრთხო მუშაობისთვის ფირმებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას სთავაზობს სახელად WarmTouch.

ამ პროგრამას ინსაიდერებისგან შიგნიდან შეუძლია დაიცვას ფირმის ქსელი. კონკრეტულად ის ამოწმებს ყველა თანამშრომლის მიწერ-მოწერებს, ვებ-გვერდებზე გადასვლებს და კონტაქტებს, რა თქმა უნდა, საეჭვო კავშირები, თუნდაც ამას ბრმად აკეთებდეს თანამშრომელი, ძირფესვიან სკანირებას გადის WarmTouch-ს საშუალებით. ცხადია, ამ პროგრამაშიც უკვე ჩადებულია ფსიქოლოგიის ელემენტები.


## ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში



14 აპრილს 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2004-2005 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37 ა (ახალი ეკლესიის უკან).
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
ტელ: 22-74-41; 22-78-89

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*12,19, 26 აპრილი*
*"თავისუფალი თეატრი"*
*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

მიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ხანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის იანისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისურის კურსების გავლა

## ლონდონში

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61





## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.






ამ ქვეყნის ყოველი ნაწილის, ყოველი შტატის ხალხმა შექმნა ცენტრალური ხელისუფლება და მიანიჭა მას დაბეგვრის ზოგადი, გენერალური ძალაუფლება. ყოველი შტატი და მისი ყველა მოქალაქე წარმოდგენილია კონგრესში და ისინი თავიანთ წარმომადგენელთა საშუალებით ახორციელებენ ამ ძალაუფლებას. და როდესაც კონგრესი ბეგრავს შტატების იმ ინსტიტუტებს, რომლებიც დაკანონებულ-ლიცენზირებულნი არიან ცენტრალური ხელისუფლების მიერ, იგი ამით ამავე დროს ბეგრავს ამ შტატთა მაცხოვრებლებსაც. ამგვარი გადასახადები აუცილებლად უნიფორმალურნი უნდა იყვნენ. მაგრამ როდესაც რომელიმე ცალკეული შტატი ბეგრავს შეერთებული შტატების ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე ოპერაციას, ეს შტატი ამით ზემოქმედებას ახდენს იმ ინსტიტუტზე, რომელიც შექმნილია არა მარტო მისი, არამედ სხვა შტატების ხალხის მიერ; ანუ იმ ხალხის მიერ, რომელთა კონტროლზეც ამ კონკრეტულ შტატს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

ყოველთვის არსებობს და მუდამ უნდა იარსებობს განსხვავებამ, რომელიც არსებობს მთელის ერთ ნაწილთან მიმართებაში და ერთი ნაწილის მთელთან მიმართებაში; აქ საუბარია განსხვავებაზე, რომელიც არსებობს იმ მთავრობის კანონთა შორის, რომელიც ცენტრალურ, მთავარ ხელისუფლებადაა მიჩნეული, და იმ ხელისუფლებას შორის, რომელიც ამგვარ კანონთან წინააღმდეგობაში მოსვლისას, მეორეხარისხოვანი ხდება.

ამგვარად, ჩვენ ვასკვნით, რომ ცალკეულ შტატს არ გააჩნია ძალაუფლება, იქნება ეს დაბეგვრისა თუ სხვა რამ უფლება, რომ რამენაირად დაასუსტოს, დააბრკოლოს ან დატვირთოს, ანდაც ნებისმიერი სახით აკონტროლოს ის ქმედებანი, რომელიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების დადგენილ კანონთა შესაბამისად.

მთელს ყოველთვის აქვს უფლება და უნარი თავისი ერთი ნაწილის კონტროლისა; ნაწილს კი მთელის კონტროლის არც უფლება და არც საშუალება არ გააჩნია.

**ჯონ მარშალი**
აშშ უზენაესი სასამართლო
მაკკალა მერილენდის წინააღმდეგ.
1819 წელი

## პოლიტიკური მეცნიერება

*ვიცით, რომ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას, რომელიც "ვარდების რევოლუციად" მოინათლა, ხალხის უმრავლესობა დიდი ნდობითა და იმედით შეეგება. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ცვლა არის არა მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევად აუცილებელი (მაგრამ არასაკმარისი) საშუალება. ჩვენი რწმენით, საჭიროა, რომ საზოგადოების თავისუფლებისადმი ლტოლვას ახალი ხელისუფლების მხრიდან მოჰყვეს მართლაც რევოლუციური ცვლილებები როგორც მმართველობის ოპერირების სტილში, ისე მმართველ სუბიექტთა მიერ საკუთარი როლისა და სტატუსის გადაფასებისა და ახლებურად გააზრების საქმეში. გაჩნდა დიდი იმედი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაწყვეტილი საუკუნოვანი კავშირი, რომელიც იდეაში ურთიერთმომთხოვნელობასა და პროაქტიურ აზროვნებას ეფუძნება, აღდგენის კონდიციაშია. ჩვენ გვაქვს იშვიათი შესაძლებლობა იმისა, რომ ვირწმუნოთ - ჩვენი მთავრობა აღარ არის ჩვენი მტერი. ამის მიუხედავად, ნებისმიერი ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ჯანმრთელი ეჭვის არსებობა თავისუფლების შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად ითვლება, რომელიც კეთილგონიერებითა და ისტორიის გაკვეთილებითაა ნაკარნახევი. მომხდარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტად გახადა აუცილებელი, რომ საზოგადოების წევრებმა ლოკალურ ქმედებებს გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის კი საჭიროა გავეცნოთ იმ უნივერსალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებს, რომელთა საშუალებითაც დღეისათვის ყველა თავისუფალი ქვეყანა ურთიერთობს. მკითხველს ვთავაზობთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცებაც, ერთი მხრივ უმიზნო და, მეტწილად მსმენელთა დაბნევაზე გათვლილი მრავალსიტყვიანობისგან დაგვიცავს; მეორე მხრივ კი, არსებულ გაუგებრობათა აღმოფხვრაში დაგვეხმარება.*

**პატრიარქალიზმი** - ეს წარმოადგენს დინასტიური მმართველობის მარტივ ფორმას. მაქს ვებერის მიხედვით, იგი ტრადიციული ძალაუფლების ადრეული ფორმაა, რომლის დასაწყისადაც შეიძლება ჩაითვალოს ერთი რომელიმე ოჯახის მეთაურის მხრიდან ძალაუფლების ხელში აღება და მისი გამოყენება ერთი თაობიდან მეორე თაობის მოსვლამდე.

**პატრიმონიალიზმი** - ამ მოვლენას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პატრიარქალური მმართველობა იწყებს ადმინისტრაციული აპარატის შექმნას. შუა საუკუნეების ევროპისათვის ეს წარმოადგენდა დამახასიათებელ ფორმას, რომელიც სათავეს ფეოდალიზმიდან იღებდა.

**სტეიტიზმი** - ეს არის თარგმანი ფრანგული ტერმინისა etatisme, რაც აღნიშნავს იმგვარ სახელმწიფო სისტემას, რომელშიც სახელმწიფო განზრახ და ხშირად ერევა ეკონომიკაში, რასაც იგი ახორციელებს ინვესტიციების მიმართულებათა განსაზღვრით, ხელფასებისა და ფასების ოდენობის კონტროლირებით და შრომის მარკეტთა ზედამხედველობით.

**სუპრანაციონალური მმართველობა** - ეს არის მმართველობა, რომელიც ქვეყანათა ასოციაციის სახელით ხორციელდება და რომელიც ფედერალიზმთან შედარებით მმართველობის ნაკლებად მკაცრი ფორმაა, იმდენად, რამდენადაც ყოველი წევრი სახელმწიფო ამ ასოციაციისა ინარჩუნებს საკმაო სუვერენობას. თუმცა, მმართველობის ამ ფორმას გააჩნია უფრო მეტი ფორმალური შეზღუდვები და მოთხოვნები, ვიდრე ეს კონფედერაციების შემთხვევაშია. სუპრანაციონალური ორგანიზაცია ადგენს იმ წესებს, რომლებსაც შემდგომში ემორჩილება ყოველი წევრი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე. ამგვარ მმართველობის ფორმას გააჩნია გარკვეული ფინანსური დამოუკიდებლობა და აგრეთვე საკუთარ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის აუცილებელი ძალა. სუპრანაციონალური მმართველობის ყველაზე თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი.

**კონფედერაციები** - ესენი წარმოადგენენ ჯგუფებს სახელმწიფოებისა, რომელთაც საერთო მიზნები გააჩნიათ - ძირითადად თავდაცვითი ან ეკონომიკური ხასიათისა; ამ მიზანთა შემდგომი დაკანონება ხელშეკრულების საშუალებით ხორციელდება. დროთა განმავლობაში ამ ფორმამ შესაძლოა ტრანსფორმირება განიცადოს და "ფედერაციად" გადაიქცეს; ანუ ერთ ქვეყნად, რომელსაც ფედერალური მთავრობა მართავს. ამის ორი შესანიშნავი მაგალითია შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ უკანასკნელმა საკუთარი არსებობა დაიწყო როგორც კონტინენტურმა კონგრესმა, ანუ აჯანყებულ ბრიტანულ კოლონიათა კონფედერაციამ, რომელთაც 1776 წელს იმპერიისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ კავშირმა დაიწყო საკუთარი ფულადი ერთეულის გამოშვება და საკუთარი არმიის ორგანიზება. ბრიტანეთის დამარცხების შემდგომ, რაც ამ კონფედერაციამ საფრანგეთის დახმარებით შეძლო 1780 წელს, კონფედერაციაში წარმოიშვა სერიოზული უთანხმოებები ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას. ამგვარად, 1787 წელს კონფედერაცია ფედერალურ სახელმწიფოდ - ამერიკის შეერთებულ შტატებად გარდაიქმნა.

ჩვეულებრივი ხმარებისას და არა პოლიტიკური მეცნიერების ტერმინოლოგიაში, კონფედერაციები და ფედერაციები ხშირად ერთმანეთში ერევათ. ამის ერთი მიზეზი შესაძლოა მდგომარეობდეს იმაში, რომ შვეიცარია, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნიდან ფედერაციას წარმოადგენს, ფორმალურად იწოდება, როგორც Confederation Suisse. არსებობს ერთგვარი ტენდენცია კონფედერაციებისათვის, რომ მათ ფედერალური მთავრობის მოდელი გამოიყენონ. ამ დროისათვის ევროკავშირი კონფედერაციაა, მაგრამ მიმდინარეობს ცხარე მსჯელობა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საჭიროება იმისა, რომ იგი ფედერაციად გადაიქცეს. მეორე მხრივ, ჩრდილო-ატლანტიკური კავშირი (NATO) კონფედერაციას წარმოადგენს, რომელიც არასდროს გადაიქცევა ფედერაციად.

## პრეცედენტი

# ჟან-ბედელ ბოკასას სასამართლო პროცესი: 1986-87

ტომ სმიტი

**ბრალდებული** - *ჟან-ბედელ ბოკასა.*

**ბრალდება** - *მკვლელობა, კანიბალიზმი, სახელმწიფო თანხების მითვისება, საკუთრების უკანონო მოხმარება, თავდასხმა, ფიზიკური ანგარიშსწორება.*

**მთავარი დამცველები** - *ფრანსუა ჟიბო, ფრენსის შპინერი.*

**მთავარი ბრალმდებელი** - *გებრიელ-ფოსტინ მბუდუ.*

**მოსამართლე** - *ედუარდ ფრანკი.*

**პროცესის ადგილმდებარეობა** - *ბანგუი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.*

**პროცესის თარიღი** - *15 დეკემბერი, 1986, 12 ივნისი, 1987 წელი.*

**ვერდიქტი** - *დამნაშავე.*

**სასჯელი** - *სიკვდილით დასჯა, რაც სამუდამო პატიმრობით შეიცვალა.*

**მნიშვნელობა** - *ჟან-ბედელ ბოკასას გასამართლება სამართლიანი პროცესისა და ნაფიც მსაჯულთა მეშვეობით იმ დანაშაულთათვის, რომელიც მან საკუთარი ავადსახსენებელი რეჟიმის წლებში ჩაიდინა, იყო პოსტკოლონიალურ აფრიკაში სახელმწიფო მეთაურის გასამართლების პირველი პრეცედენტი.*

ფრანგული რევოლუციის დღეებიდან მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში მრავალი დიქტატორი გასამართლებულა საკუთარი ქვეშევრდომთათვის მიყენებული ზიანისათვის. თუმცა, 1986 წელს ჟან-ბედელ ბოკასა პირველი დესპოტი გახდა, რომელსაც საკუთარ ხელქვეითთა შეჭმისათვის ასამართლებდნენ.

არმიის გენერალური შტაბის მეთაური ბოკასა ყოფილი ფრანგული კოლონიის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი საკუთარი ბიძაშვილის, დევიდ დაკოს დამხობის წყალობით გახდა 1966 წელს. მოგვიანებით კი, 1976 წლის 4 დეკემბერს, ბოკასამ მისი თაყვანისცემის ობიექტის, ნაპოლეონ ბონაპარტეს დარად, თავი იმპერატორ ბოკასა პირველად გამოაცხადა და საკუთარი მმართველობის ინაუგურაცია 25 მილიონად შეფასებული კორონაციით აღნიშნა. ზედმეტია თქმა იმისა, რომ ასეთი ღარიბი ქვეყნის ბიუჯეტისათვის ამხელა თანხის ხარჯვა წარმოუდგენელი ფუფუნება იყო.

ბოკასას კორონაციის ავადხსენებას მხოლოდ მისივე სიხარბემ და სადიზმმა გადააჭარბა. მან თავისი არამრავალრიცხვოვანი ერი სულ მცირე ხანში პირწმინდად გააკოტრა - ბოკასამ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მთავარი შემოსავლის წყაროს - ბრილიანტების მითვისებას მიჰყო ხელი. ამასთანავე, იმპერატორი, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ სულაც არ თაკილობდა პოლიტიკურ ოპონენტთა სიკვდილით დასჯას, ასევე სიკვდილით სჯიდა ასობით ადამიანს, რომლებიც მისი მარტოოდენ წარმოსახვითი მტრები იყვნენ. ხშირი იყო იმ უცხოელ ჟურნალისტთა ცემისა და დაპატიმრების ფაქტებიც, ვინც იმპერატორს რამენაირად განარისხებდა.

თუმცა, ამგვარი მოპყრობა მაინც ბევრად სჯობდა იმას, რაც ბოკასას ხელქვეითებს ელოდა. 1971 წლის დედის დღე მან აღნიშნა იმით, რომ ბრძანა ყველა იმ პატიმრის ჩამოხრჩობა, ვისაც დანაშაული ქალის წინააღმდეგ ჰქონდა ჩადენილი. ხალხში დადიოდა ხმები, რომ სასახლეში დამწყვდეული ათობით ლომი და ნიანგი მოუთმენლად ელოდნენ იმათ ყველას, ვინც რამენაირად ბოკასას გულისწყრომას დაიმსახურებდა. მოარული ხმები ასევე ამბობდნენ, რომ თვით იმპერატორი მის მიერ განწირულთა და დასჯილთა სხეულებს ჭამდა.

მიუხედავად ამისა, არც ცენტრალური აფრიკის არც ერთ მეზობელ ქვეყანას, ისევე როგორც არც მის ყოფილ ფრანგ მმართველებს, მისთვის ამგვარი სადიზმისათვის პასუხი არ მოუთხოვიათ: იმპერატორი მშვიდად მოგზაურობდა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს საზღვრებში. 1979 წელს ბოკასამ უშუალო მონაწილეობა მიიღო ასამდე სასკოლო ასაკის ბავშვის მოკვდინებაში. ეს უკვე მეტისმეტი იყო საფრანგეთის იმ მთავრობისათვის, რომელიც წლების განმავლობაში ყველაფერზე თვალს ხუჭავდა იმისათვის, რომ რამენაირად არ გაენაწყენებინა ფიცხი დიქტატორი რომ ამ უკანასკნელს საკუთარი ქვეყნის ალმასის საბადოების კარები არ დაეკეტა. 1979 წლის 20 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ბოკასა ლიბიას სტუმრობდა, ფრანგი მედესანტეები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგუიში დაეშვნენ და ყოფილი პრეზიდენტის, დევიდ დაკოს ხელისუფლება აღადგინეს.

ბოკასამ ემიგრაციაში დარჩენა ამჯობინა. პირველჟამს ის აბიჯანში, აივორი კოუსტის დედაქალაქში, შემდეგ კი პარიზში ჩავიდა, რის საშუალებასაც მას ის ფრანგული პასპორტი აძლევდა, რომელიც გენერალ შარლ დე გოლის სამსახურში მიიღო მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა, მრავალი ადამიანი, ვინც მას დამნაშავედ მიიჩნევდა, წინააღმდეგი იყო მისი საფრანგეთში შეშვებისა. მათი პროტესტი უშედეგო გამოდგა. გაძევებული დესპოტი საკუთარ ოჯახთან ერთად შვიდწლიან ემიგრაციაში აღმოჩნდა და ამით საკმარისზე მეტი უხერხულობა შეუქმნა იმ პიროვნებებს, ვინც წარსულში მის რეჟიმს უჭერდა მხარს. ბოკასა ხმამაღლა წუწუნებდა იმის თაობაზე, რომ მისთვის საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნული სამხედრო პენსია არ იყო საკმარისი და საკუთარი შემოსავლის გაზრდის მიზნით მან საკუთარი მემუარების გამოქვეყნებაც კი სცადა. თუმცა, საფრანგეთის სასამართლოებმა გამოსცეს ბრძანებულება, რის მიხედვითაც ბოკასას მემუარების რვა ათასივე ეგზემპლარი ამოღებული იქნა გაყიდვიდან იმ პიკანტური ეპიზოდების გამო, რომლებშიც იგი აღწერდა, თუ როგორ იყოფდა ქალებს საფრანგეთის პრეზიდენტ ჟისკარ დესტენთან, ვინც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო. ბოკასა, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ წარსულში, მაშინ როდესაც ჟისკარ დესტენი საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე იყო, მას ამ უკანასკნელისთვის გადაცემული ჰქონდა ორას ორმოცდაათი ათასის ფასეულობის ბრილიანტები. ვალერი ჟისკარ დესტენის მომავალი საპრეზიდენტო კამპანია ჩაიშალა უფრო დიდი სკანდალის თავიდან აცილების მიზნით.

### იმპერატორი ბრუნდება სასამართლოს წინაშე წარსადგომად

1986 წლის 23 ოქტომბერს ბოკასა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში დაბრუნდა. ყველაზე მეტ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყოფილ ხელქვეითთა მხრიდან იგი გულთბილ შეხვედრას მოელოდა. საპირისპიროდ ამისა, ბოკასა ქვეყანაში შესვლისთანავე დაპატიმრებულ იქნა. მას თოთხმეტი ბრალდება წაუყენეს; მათ შორის მკვლელობისათვის, სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის და ანტროფოფაგიისათვის, ანუ ადამიანის ხორცის საკვებად გამოყენებისათვის. მისი ემიგრაციის დროს ბოკასას ამავე ბრალდებებისათვის ერთხელ უკვე მიესაჯა სიკვდილით დასჯა in absentia, ანუ მისი სასამართლო პროცესზე დასწრების გარეშე 1980 წელს. მაგრამ ახლა, როდესაც ის ყველასათვის მოულოდნელად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის ხელში აღმოჩნდა, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ იგი პერსონალურად და ადვოკატის დაცვის უფლების მინიჭებით გაესამართლებინა.

პროკურორთა ერთი ნაწილი განიხილავდა შესაძლებლობას, რომ ბოკასა ბანგუის სპორტულ სტადიონზე, ათიათასობით მაყურებლის თვალწინ გასამართლებულიყო; ანუ სწორედ იმ ადგილას, სადაც ათიოდე წლის წინ ასე პომპეზურად ჩატარდა მისივე კორონაცია. თუმცა, შესაძლო ქაოსის პერსპექტივამ ბრალმდებლებს ამ იდეაზე ხელი ააღებინა. "ჩვენ გვსურს მოწესრიგებული და მშვიდი სასამართლო პროცესი, და არა სპექტაკლი" - ასე ახსნა საბოლოო გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა ბერნარდ ბელუმმა.

პროცესი 1986 წლის 15 დეკემბერს დაიწყო მართლმსაჯულების სასახლის ერთ-ერთ მოკრძალებული ზომის დარბაზში. ბოკასა და მისი ფრანგი ადვოკატები, ფრანსუა ჟიბო და ფრენსის შპინერი ექვსი მსაჯულისა და სამი მოსამართლის წინაშე წარსდგნენ. სხდომას ხელმძღვანელობდა მოსამართლე ედუარდ ფრანკი. პოსკოლონიალურ აფრიკის სასამართლო პრაქტიკაში სამართლიანი პროცესი მსაჯულების მონაწილეობით აქამდე არნახულ რამეს წარმოადგენდა: ყოველი გადაყენებული დიქტატორი წარსულში ან საჩვენებელი სასამართლო პროცესის დამთავრებისთანავე სიკვდილით ისჯებოდა, ან მას ქვეყნიდან აძევებდნენ. ასევე სიახლეს წარმოადგენდა საზოგადოებისათვის ღია პროცესის ჩატარება, რაც ბანგუის რადიოსადგურმა უზრუნველყო პირდაპირი გადაცემით. მთელი ქვეყნის მასშტაბით ხალხი ისმენდა ყველა იმ მოწმის ჩვენებას, ვინც ღიად ჰყვებოდა, თუ როგორი ტანჯვა გამოიარეს ბოკასას საპყრობილეებში და რამდენი ახლობელი დაკარგეს მის ჯარისკაცთა წყალობით.

ჩამოთვლილ მსხვერპლთა სიაში იყვნენ ბოკასას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან დაწყებული, მისი სასახლის ერთ-ერთი მცველის ახალშობილი ვაჟით დამთავრებული ადამიანები. მისი ეს მცველი სიკვდილით დაესაჯათ იმისათვის, რომ მას ბრალი იმპერატორის მკვლელობის განზრახვაში დასდეს. ჰოსპიტალის ექთანმა სასამართლოს მისცა ჩვენება, როგორ ეთქვა მისთვის ამ მცველის ფეხმძიმე მეუღლეს იმის თაობაზე, რომ იმპერატორი მომავალი დედის ახალშობილის სიკვდილით დასჯას აპირებდა, თუ ბავშვი მამრობითი სქესისა დაიბადებოდა. მართლაც, ახალგაჩენილ ბიჭს, დედის სიტყვებით, შხამის მომაკვდინებელი ინექცია გაუკეთეს, რის შესახებ ბრძანებაც ბოკასას ეკუთვნოდა.

ბოკასას ასევე ბრალად ედებოდა ორი მკვლელობის ჩადენა, რასაც მისი დამხობა მოჰყვა. 1979 წლის იანვარში მან გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ყველა მოსწავლე ვალდებული ხდებოდა, ეყიდათ და ჩაეცვათ ძვირადღირებული უნიფორმა, რომელიც შეკერილი იყო ბოკასას ერთ-ერთი ცოლის ფაბრიკაში. როდესაც სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ამ ბრძანებას პროტესტის მარშით გამოეხმაურა, ბოკასამ სროლის ბრძანება გასცა, რასაც რამდენიმე ბავშვის სიკვდილი მოჰყვა. როდესაც იმპერატორის ესკორტს საშუალო სკოლის რამდენიმე სტუდენტმა ქვების სროლა დაუწყო, სამიოდ თვის თავზე წინა შემთხვევიდან, ბოკასამ 180 სტუდენტის დაპატიმრება და მათი განსაკუთრებული ტენიანობის საკნებში დამწყვდევა ბრძანა. იმავე ღამეს იმპერატორი ციხეს ესტუმრა. მოსწავლეთა "თავხედობით" აღშფოთებულმა ბოკასამ გული ჯერ ღრიალით იჯერა, შემდეგ კი რამდენიმე ბავშვს თავის ქალა საკუთარი, მძიმე ძვლისაგან გაკეთებული ხელჯოხით ჩაუმტვრია. დანარჩენი ბავშვების კეტებით ჩაქოლვა მან საკუთარ ჯარისკაცებს მიანდო. 180 ბავშვიდან ამგვარ საზარელ სიკვდილს მხოლოდ 27 გადაურჩა.

ბოკასამ ყველა ჩამოთვლილ ბრალდებაზე უარი განაცხადა. მან ყველაფერში მისი კაბინეტისა და არმიის მაამებლობით შეპყრობილი მაღალჩინოსნები დაადანაშაულა, ვინც, მისივე სიტყვით, მისი რეჟიმის დროს მომხდარი ყველა დანაშაულისათვის იყო პასუხისმგებელი: "მე წმინდანი სულაც არ ვარ; ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ, როგორც ყველა სხვა".

მაგრამ, როდესაც მტკიცებულებანი მის წინააღმდეგ საკმაოზე მეტად გამოიკვეთა, ბოკასამ თავისი ჩვეული და ლეგენდარული ტემპერამენტი გამოააშკარავა: "გასაგიჟებელი აქ ის არის, რომ გვესმის - ამაში დამნაშავე მხოლოდ ბოკასა, ბოკასა, ბოკასაა" - დაუღრიალა მან მთავარ ბრალმდებელ გებრიელ-ფოსტინ მბუდუს. "ჩემს წინააღმდეგ საკმარისი ბრალდებებია წაყენებული, რომ შენ ყველა დანარჩენი მკვლელობაც არ დამაბრალო, რომელიც გასული 21 წლის განმავლობაში მომხდარა!"


კანიბალი იმპერატორი ჟან-ბედელ ბოკასა


ბოკასა და რუმინელი დიქტატორი ჩაუშესკუ

გაგრძელება C 3 გვერდზე

პრეცედენტი

# ჟან-ბედელ ბოკასას სასამართლო პროცესი: 1986-87

C2 გვერდიდან

### ჩვენებამ კანიბალიზმის საზარელი დეტალები გამოააშკარავა

კანიბალიზმი ბოკასას წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათაგან შესაძლოა ყველაზე ხმაურიანად გამოიყურებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ბრალდება მცირე სამართლებრივ პასუხისმგებლობას თუ შეიცავდა. ის კანონები, რომლებიც კანიბალიზმს კრძალავდნენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ამ დანაშაულს არ მიაკუთვნებდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რიცხვს. 1981 წელს პრეზიდენტ დევიდ დაკოს დამხობისთანავე, ახალმა პრეზიდენტმა ანდრე კოლინგბამ ყველა მანამდე ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ამნისტია გამოსცა. ამდენად, ბოკასა არ შეიძლებოდა დასჯილიყო ამ დანაშაულისათვის მაშინაც კი, თუ მას დამნაშავედ სცნობდნენ. თუმცა, ბრალდებები ბოკასას წინააღმდეგ მოყვანილი იყო მისი ძველი საბრალდებო დასკვნებიდან, რასაც მისი in absentia გასამართლება მოჰყვა - ეს კი კოლინგბას ამნისტიამდე ერთი წლით ადრე მოხდა; ამგვარად, ანტროფოფაგიის ბრალდება ბოკასას წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა სიაში მოხვდა.

ყოფილი პრეზიდენტი დევიდ დაკო სასამართლოს აძლევდა ჩვენებას, რომ მას 1979 წელს ბოკასას წინააღმდეგ განხორციელებული გადატრიალებისთანავე ჰქონდა ნანახი ფოტოსურათები, რომლებზედაც



ბოკასა ძალაუფლების მწვერვალზე...



...და სასამართლოს განაჩენის შემდეგ

აღბეჭდილი იყო დასახიჩრებულ სხეულთა დიდი რაოდენობა, რასაც ბოკასას სასახლის საყინულეში ინახავდნენ. ბოკასას პირადმა მზარეულმაც განუცხადა სასამართლოს, რომ მას პირადად იმპერატორისათვის მომზადებული ჰქონდა კერძები ადამიანის ხორციდან, რომელსაც სასახლეში განთავსებული დიდი ზომის მაცივრებიდან აწვდიდნენ. სასამართლომ უარი განაცხადა, განეხილა ჭორები, რომ ბოკასა საკუთარ მსხვერპლთა ხორცს მის სახელოვან სტუმრებსაც ასინჯებდა, რომელთა შორის იყო პრეზიდენტი ჟისკარ დესტენი.

მთავრობის წარმომადგენლებმა დაიქირავეს ფრანგი იურისტი ბერნარდ ჟონო, რომ ამ უკანასკნელს იმ მილიონობით ფრანკის ბედი გაერკვია, რომელიც ბოკასამ სახელმწიფო ხაზინიდან გაიტანა მისი პირადი მოხმარებისათვის. სასამართლო პროცესის ბოლოსათვის ბოკასას ადვოკატებმა დაარწმუნეს სასამართლო, რომ მას ჟონო პროცესზე მოწმედ არ დაეშვა; თუმცა, იმ საზარელ დანაშაულებთან შედარებით, რომელთა ჩადენაშიც ბოკასას ბრალს სდებდნენ, სახელმწიფო ქონების მითვისება საკმაოდ უწყინრად გამოიყურებოდა; ეს ასე იყო განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბოკასას მითვისებული თანხის უდიდესი ნაწილი უკვე დახარჯული ჰქონდა.

1987 წლის 12 ივნისს ბოკასა დამნაშავედ ცნეს. სასამართლომ აღიარა, რომ ბოკასას მრავალ დანაშაულს აბრალებდნენ და მათგან მხოლოდ 20 შემთხვევაში არსებობდა ურყევი მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, რეზულტატი არ იცვლებოდა. ბოკასა ჩუმად იცრემლებოდა, როდესაც საკუთარ სასიკვდილო განაჩენს ისმენდა. შპინერმა და ჟიბომ განაჩენის გასაჩივრება სცადეს იმ ნიადაგზე, რომ, მათი აზრით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუცია ყოფილი სახელმწიფო მეთაურის გასამართლების უფლებას მხოლოდ სახელმწიფო ღალატისათვის იძლეოდა. უზენაესმა სასამართლომ გასაჩივრება არ მიიღო.

1988 წლის 29 თებერვალს პრეზიდენტმა კოლინგბამ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საკუთარი პოზიცია ამგვარი სასჯელის აკრძალვით აღნიშნა. ბოკასას, ვინც საკუთარი მმართველობის წლებში არასდროს იზიარებდა შეწყალების ამგვარ ამაღლებულ კონცეფციას, სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეეცვალა.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკოლოზ რურუამ*

პრაქტიკული რჩევები

# უძრავი ქონების ნასყიდობა

რა უნდა ვიცოდეთ უძრავი ქონების (სახლის, ბინის ან სხვა შენობა-ნაგებობის, ასევე მიწის ნაკვეთის) შეძენისას?

თუ თქვენ გადაწყვიტეთ შეიძინოთ უძრავი ქონება (სახლი, ბინა ან სხვა შენობა-ნაგებობა, თუ მიწის ნაკვეთი), აუცილებელია იცოდეთ, რა მოქმედებები უნდა განახორციელოთ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის, რადგან აღნიშნული ტიპის გარიგების დადებისას კანონი ითვალისწინებს გარკვეულ წესებს, რომელთა დაუცველობაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იქნება.

თუ თქვენ უკვე შეაჩერეთ არჩევანი სასურველ უძრავ ქონებაზე, იმისათვის, რომ დაიცვათ კანონის მოთხოვნები, ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ გარემოებებზე:

### ნივთის გასხვისებაზე უფლებამოსილი პირები

უპირველეს ყოვლისა, გაარკვიეთ, არის თუ არა გამყიდველი ამ ქონების მესაკუთრე. ამისათვის კი მოითხოვეთ მისგან როგორც პირადობის, ისე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. საბუთების გულდასმით შემოწმებისას გაარკვევთ, ვინ არის მესაკუთრე, ან აქვს თუ არა მას ამ ქონების გაყიდვის უფლება, ხომ არ აქვს ამ ქონების მიმართ სხვა პირს რაიმე უფლება.

საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

პრივატიზაციის ხელშეკრულება, თუ უძრავი ნივთი პრივატიზაციის გზითაა მიღებული საკუთრებაში;

ნასყიდობის ხელშეკრულება, თუ ქონება ან ნივთი ნაყიდია;

სამკვიდრო მოწმობა, თუ ქონება მემკვიდრეობითაა მიღებული საკუთრებაში;

ჩუქების ხელშეკრულება, თუ ნივთი ჩუქებითაა მიღებული საკუთრებაში;

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ ქონება სასამართლო წესითაა მიკუთვნებული.

საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემოწმებისას (გარდა სასამართლო გადაწყვეტილებისა) ყურადღება უნდა მიაქციოთ, არის თუ არა ხელშეკრულება დადასტურებული სანოტარო წესით, და არის თუ არა ის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. 1998 წლის იანვრამდე შედგენილი ხელშეკრულება რეგისტრაციაში უნდა იყოს გატარებული ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ბიუროში, ხოლო 1998 წლის იანვრის შემდეგ შედგენილი ხელშეკრულებები კი რეგისტრირებული უნდა იყოს მიწის მართვის დეპარტამენტის საჯარო რეესტრის სამსახურში. სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტს უნდა ჰქონდეს სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ნოტარიუსის ბეჭედი და ხელმოწერა. აუცილებლად უნდა დაადგინოთ, არის თუ არა გამსხვისებელი (ხელშეკრულების, სასამართლო გადაწყვეტილების თუ სხვა საფუძველზე) მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამისათვის მიბრძანდებით მიწის მართვის დეპარტამენტში და საჯარო რეესტრის სამსახურში შეიტანთ განცხადებას უძრავი ქონების რეგისტრაციისა და მესაკუთრის ვინაობის დადგენაზე ინფორმაციის მიღების შესახებ. საჯარო რეესტრის სამსახური თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გაცნობებთ, არის თუ არა ეს უძრავი ქონება რეგისტრირებული ამ სამსახურში და ვინ არის მისი მესაკუთრე.

### მესამე პირების უფლებები ამ ქონების მიმართ

თუ უძრავი ქონების გამყიდველი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და ყიდის ქონებას, რომელიც ქორწინების განმავლობაში არის შეძენილი, მაშინ ამ ქონების თანამესაკუთრე იქნება მეუღლეც, რადგან მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას (თანასაკუთრებას). შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მეუღლე ყიდის თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას, ამისათვის აუცილებელია მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1159-ე, 1160-ე მუხლები).

თუ გარიგების საგანია პრივატიზებული ბინა, რომელიც პრივატიზაციის შემდეგ პირველად უნდა გაიყიდოს, მაშინ გამოითხოვება მხოლოდ იმ პირთა თანხმობები, რომლებიც პრივატიზაციის დროს ბინაში იყვნენ ჩაწერილები, წარმოადგენდნენ პრივატიზების უფლების მქონე პირებს და რომელთა თანხმობები პრივატიზაციის დროს არ გამოითხოვებოდა.

თუ უძრავი ქონების მესაკუთრე არის არასრულწლოვანი (18 წლამდე), ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ხოლო თუ არასრულწლოვანი დებს ხელშეკრულებას კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას.

გამონაკლისი: წარმომადგენლის თანხმობა საჭირო არ არის, როდესაც არასრულწლოვანი დადებული ხელშეკრულების შედეგად იღებს სარგებელს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი).

### ნასყიდობის ხელშეკრულების დადება

პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის "ბე"-ს მიცემა. "ბე" არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული გარკვეული ფულადი თანხა, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამყიდველს ხელშეკრულების დადებით უზრუნველსაყოფად. ამასთან: უნდა იცოდეთ, რომ თუ "ბე"-ს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, "ბე" რჩება მის მიმღებს და ის ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია "ბე"-ს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან "ბე" უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, "ბე"-ს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი).

### უძრავი ქონების შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულებისფორმა

კანონი მკაცრად განსაზღვრავს უძრავი ქონების შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის სავალდებულო ფორმას. კერძოდ, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია:

ხელშეკრულება დამოწმებული სანოტარო წესით;

შემძენის რეგისტრაცია ახალ მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

კანონით გათვალისწინებული ამ აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 183-ე მუხლები).

სანოტარო ბიუროში ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის ხელშეკრულების ორივე მხარემ, როგორც მყიდველმა, ისე გამყიდველმა, უნდა წარადგინოთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ნოტარიუსთან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შედგენისას წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნასყიდობის ხელშეკრულება, გაცვლის ხელშეკრულება, სამკვიდრო მოწმობა, ჩუქების ხელშეკრულება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება; ნოტარიუსთან წარდგენილ უნდა იქნეს ამ დოკუმენტის დედანი, ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ამასთანავე, თუ გასასხვისებელია საცხოვრებელი სახლი, ბინა, რომელიც შეძენილია 1998 წლის 10 იანვრამდე და იგი არ არის აღრიცხული საჯარო რეესტრში, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება. ამ შემთხვევაში, გარდა ცნობა-დახასიათებისა, საჯარო რეესტრიდან უნდა გამოითხოვოთ წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უძრავი ქონება არ არის აღრიცხული საჯარო რეესტრში;

ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ ნოტარიუსთა პალატიდან;

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა თანხმობის გამოთხოვა სხვა პირისაგან, წერილობითი და ნოტარიულად დადასტურებული თანხმობა.

ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისათვის უნდა გადაიხადოთ კანონით დადგენილი საზღაური, რომელიც გამოიანგარიშება გარიგების ღირებულების საფუძველზე.

### საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლა

სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა წაიღოთ უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით საგადასახადო სამსახურში და გადაიხადოთ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ქონების გადაცემის გადასახადი. უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისას გადასახადის გადამხდელია უძრავი ქონების საკუთრებაში მიმღები; გადასახადის განაკვეთი კი განისაზღვრება დასაბეგრი თანხის 2 პროცენტის ოდენობით. საგადასახადო სამსახური მოგცემთ ქონების გადაცემისათვის გადასახადის გადახდის დეკლარაციას (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი).

სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულება, საგადასახადო დეკლარაციასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს მიწის მართვის დეპარტამენტში. ახალი მესაკუთრე (ნასყიდობის ხელშეკრულება) რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის მოსაკრებელი განისაზღვრება 7 ლარის ოდენობით.

მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ გახდებით უძრავი ქონების მესაკუთრე.

# როგორ შევადგინოთ ანდერძი

თუ გსურთ თქვენი ქონება გარდაცვალების შემდეგ დარჩეს ამა თუ იმ პირს, იქნება ეს თქვენი კანონიერი მემკვიდრე, ნათესავი თუ გარეშე პირი, შეადგინეთ ანდერძი და დააფიქსირეთ თქვენი გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით.

### ანდერძის ფორმა

ანდერძით მოანდერძემ უნდა განსაზღვროს, თუ ვის სურს დაუტოვოს ქონება მისი გარდაცვალების შემთხვევაში. თუმცა, შედგენილი ანდერძი მოანდერძეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს მისი ნების შესაბამისად. ანდერძში გათვალისწინებული მემკვიდრე ნაანდერძევ ქონებას მიიღებს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის ანუ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ. ასე რომ, მოანდერძეს ანდერძის შედგენის შემდეგაც აქვს უფლება, თავისი სურვილისამებრ განკარგოს ქონება, მაგალითად, გაყიდოს, გააჩუქოს და ა.შ.

კანონის მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნაა, რომ ანდერძი შედგენილი იყოს წერილობითი ფორმით. თუ ანდერძის შედგენისას მამკვიდრებლის მიერ არ იქნა დაცული კანონით განსაზღვრული ფორმა (მარტივი ან რთული წერილობითი), მაშინ ის ჩაითვლება ფორმის დაუცველად, შესაბამისად, ბათილ გარიგებად. აღნიშნული ანდერძი არ წარმოშობს არავითარ იურიდიულ შედეგებს. წერილობითი ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს ორი სახით. ერთი მხრივ, შეიძლება ის შედგენილ იქნეს წერილობითი ფორმით და დადასტურებულ იქნეს ნოტარიალურად, მეორე მხრივ, ანდერძი შეიძლება გაფორმდეს მარტივი წერილობითი ფორმით, კერძოდ, არ მოხდეს მისი დადასტურება სანოტარო წესით (მოანდერძემ არ წარუდგინოს ის ნოტარიუსს დასადასტურებლად). მოანდერძე თვით განსაზღვრავს, თუ რომელი სახის ანდერძის შედგენა სურს მას.

ყველა შემთხვევაში ანდერძს ადგენს პირადად მოანდერძე. არ შეიძლება, მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა. მოანდერძე უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ანდერძი, როგორც წესი, ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას უნდა შეიცავდეს. არ დაიშვება ანდერძის შედგენა ორი ან მეტი პირის მიერ. ამ წესიდან არის ერთი გამონაკლისი, კერძოდ, ურთიერთმემკვიდრეობისას. ერთობლივი ანდერძის შედგენა შეუძლიათ მხოლოდ მეუღლეებს. ასეთი ანდერძი არ შეიძლება ეხებოდეს სხვა მემკვიდრეებს. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ მხოლოდ ორივეს სიცოცხლეში.

### შინაურული ანდერძი

მოანდერძეს შეუძლია შეადგინოს ანდერძი და არ დაადასტუროს ის სანოტარო წესით. მოანდერძემ ანდერძი უნდა დაწეროს და, რა თქმა უნდა, ხელი მოაწეროს. ასეთ ანდერძს შინაურული ანდერძი ეწოდება და ის ჩვეულებრივი იურიდიული ძალის მქონეა. თუ შინაურული ანდერძი მოანდერძემ შეადგინა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი), ასეთ დროს აუცილებელია, ანდერძის შედგენას ესწრებოდეს ორი მოწმე. ანდერძის ტექნიკური საშუალებებით შედგენისთანავე მას ხელს აწერს ჯერ მოანდერძე, შემდეგ მოწმეები.

### სანოტარო ანდერძი

ანდერძს, როგორც წესი, ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე. ნოტარიუსი ადასტურებს მასთან მოანდერძის მიერ წარმოდგენილ ანდერძს. ანდერძი მოანდერძის სიტყვებით შეიძლება ჩაიწეროს ნოტარიუსმა. ანდერძის ჩასაწერად ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები, მაგალითად, საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენისათვის აუცილებელია ორი მოწმის დასწრება. ანდერძის შედგენის შემდეგ ის უნდა წაიკითხოს ჯერ თავად მოანდერძემ, შემდეგ ნოტარიუსმა და ბოლოს მოწმეებმა. მოანდერძე ანდერძზე ხელს აწერს მოწმეების თანდასწრებით. მოანდერძის შემდეგ ანდერძს ხელს აწერენ მოწმეები. ანდერძზე კეთდება ჩანაწერი, რომელშიც მითითებულია მოწმეების შესახებ.

თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯი ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას.

მოანდერძეს, რომელიც ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც მას უნდა წაეკითხოს.

ჩამწერი და წამკითხველი შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი არ უნდა იყოს წამკითხველი.

ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

ერთი პირის მიერ შედგენილ რამდენიმე ანდერძს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი სანოტარო ფორმით არის შედგენილი, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ენიჭება.

აქედან გამომდინარე, თუ მოანდერძემ პირველი ანდერძი შეადგინა სანოტარო ფორმით, შემდგომი კი სანოტარო ფორმის გარეშე, პირველი ანდერძი ძალაში რჩება, რადგან ის არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება მოიშალოს ან შეიცვალოს მხოლოდ სანოტარო ფორმით შედგენილი შემდგომი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით. შინაურული ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს როგორც ნოტარიული, ისე შინაურული ანდერძით.

სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იყოს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ. თუ მოანდერძეს ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია ხელი მოაწეროს ანდერძს, მისივე თხოვნით, ანდერძს შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ანდერძზე ხელმოწერას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს თავად მოანდერძე და, რა თქმა უნდა, ნოტარიუსი. ასეთ შემთხვევაში ანდერძზე კეთდება სათანადო წარწერა, რომელშიც აღინიშნება, თუ ვინ, და რა მიზეზით მოაწერა ანდერძზე ხელი.

### ანდერძის მოწმეები

მთელ რიგ შემთხვევებში, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ,ანდერძის შედგენაში მონაწილეობენ მოწმეები. კანონი პირდაპირ მიუთითებს, თუ რა შემთხვევაშია აუცილებელი ანდერძის შედგენისას მოწმეთა დასწრება.

სამოქალაქო კოდექსი ასევე მკაცრად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მოწმეები ანდერძის შედგენისას. ანდერძის მოწმეები არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვნები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალი და აღმავალი ხაზით, დები ან ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები.

### ანდერძის შენახვა ნოტარიუსთან, დახურული ანდერძი

როდესაც მოანდერძე ანდერძს ადგენს, ხშირად მას არ სურს, რომ ანდერძის შინაარსი მოწმეებს გააცნოს. ზოგადად მოწმეები საჭიროა იმისათვის, რომ მათ თავად ანდერძის შედგენის ფაქტი დაადასტურონ და არა მისი შინაარსი, თუმცა ესეც არ არის გამორიცხული. განმსაზღვრელია ორივე შემთხვევაში, რომ მოწმეები ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. თუ მოანდერძეს არ სურს მოწმეებმა იცოდნენ ანდერძის შინაარსი, მაშინ მოწმეები დაადასტურებენ ანდერძს მისი შინაარსის გაცნობის გარეშე. ასეთ ანდერძს დახურულ ანდერძს უწოდებენ. ასეთი ანდერძის და-

გაგრძელება C4 გვერდზე

## პრაქტიკული რჩევები

C3 გვერდიდან

დასტურებისას მითითებული უნდა იყოს, რომ მოწმეები ანდერძის შინაარსს არ გასცნობიან.

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი, დალუქული კონვერტის სახით და სამი მოწმის თანდასწრებით, შესანახად გადასცეს ნოტარიუსს. აღნიშნული სახის ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთან.

### ანდერძის საიდუმლოება

ნოტარიუსს შეუძლია გაამხილოს მოანდერძის ცნობა ანდერძის არსებობის შესახებ მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ. არა მარტო ნოტარიუსს, არამედ ყველა იმ პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეებს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე, ე.ი. მოანდერძის გარდაცვალებამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას.

პირებს, რომელთაც ბრალი დაედებათ ანდერძის საიდუმლოების გამჟღავნებაში, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით. თუ ანდერძის შესახებ ცნობების გამჟღავნებამ მემკვიდრეს ზიანი მიაყენა, ასეთი ზიანი დამრღვევმა უნდა აანაზღაუროს.

მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე წარადგენს სანოტარო ბიუროში მოანდერძის გარდაცვალების მოწმობას. გარდაცვალების მოწმობის მიღების შემდეგ ნოტარიუსი დანიშნავს ანდერძის გამოქვეყნების დღეს და მოიწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. კონვერტი იხსნება ყველა დაინტერესებული პირის თანდასწრებით.

### ანდერძის შედგენისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები

თუ თქვენ გსურთ ანდერძის შედგენა და ობიექტური მიზეზებით არ შეგიძლიათ მიმართოთ ნოტარიუსს, კანონი ითვალისწინებს თანამდებობით პირთა იმ წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ დაადასტურონ ანდერძი.

ანდერძის დადასტურების უფლება აქვს:

**1.** საავადმყოფოს, ჰოსპიტლის და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარ ექიმს, უფროსს, მათ მოადგილეს სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმს, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორს ან მთავარ ექიმს, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

**2.** საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსს, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;

**3.** გემის კაპიტანს ან საჰაერო ხომალდის მეთაურს, თუ მოანდერძე გემზე ან ხომალდზე იმყოფება;

**4.** სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულების და სასწავლებლის მეთაურს (უფროსს), თუ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

**5.** თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსს, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

ჩამოთვლილი თანამდებობის პირთა მიერ დადასტურებული ანდერძი უტოლდება ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძს და ისინი შესაბამისად ეგზავნება სანოტარო ორგანოს მოანდერძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო ბიუროები არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (სოფელი, დაბა) ადასტურებენ მოქალაქეთა ანდერძებს.

# მემკვიდრეობა

### ქონების გადაცემა მემკვიდრეობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საქართველოში არსებობს მემკვიდრეობის ორი ფორმა: კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა.

კანონით მემკვიდრეობა, ე.ი. გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე, მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ:

მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი;

ანდერძი შეეხება მხოლოდ სამკვიდროს ნაწილს;

ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

კანონით მემკვიდრეობისას, მამკვიდრებლის ქონება გადადის იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მიჩნეული არიან მემკვიდრეებად. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს მემკვიდრეთა ხუთ რანგს. ამასთან, წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდეგი რიგის მემკვიდრეობას. პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის შვილები, მშობლები და მეუღლე. კანონით მემკვიდრეთა რიგი მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში.

### ქონების გადაცემა ანდერძით

თუ პირს სურს თავისი ქონება, საკუთარი სურვილისამებრ, დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე ადამიანს, მიუხედავად იმისა, ეს პირები მიეკუთვნებიან მის მემკვიდრეთა ან ნათესავთა წრეს თუ არა, მას შეუძლია შეადგინოს ანდერძი.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე.

სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, - ადგილობრივი თვითმმართველობის ან იმ ორგანოს მიერ, რომელსაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლის თანახმად, ასეთი უფლებამოსილება გააჩნია.

ანდერძის ნოტარიალურად დამოწმების საზღაურია 9 ლარი, ხოლო ნოტარიუსთან ანდერძის შენახვისა - 1.5 ლარი (ნოტარიუსთან ანდერძი ინახება მოანდერძის გარდაცვალებამდე).

მემკვიდრეობით ქონების გადაცემისას, ქონება მემკვიდრეზე გადადის მხოლოდ მამკვიდრებლის სიკვდილის შემდეგ.

### მემკვიდრეობითი ქონების მიღების პროცედურა და საზღაური

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებმა მემკვიდრეობის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართონ სანოტარო ბიუროს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში განცხადებას შეიტანს სამკვიდროს მიღების შესახებ ან, ფაქტობრივად, შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას.განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ მემკვიდრემ უნდა შეიტანოს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

ნოტარიუსი მემკვიდრეებზე სამკვიდრო მოწმობას გასცემს მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ.

სამკვიდრო მოწმობა შეიძლება გაიცეს როგორც მთელ სამკვიდროზე, ასევე მის ნაწილზე. მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე, მათი სურვილისამებრ.

სამკვიდრო მოწმობის გაცემის საზღაური გამოიანგარიშება სამკვიდროს ღირებულებიდან. რამდენიმე მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში საზღაური გამოიანგარიშება თითოეული მემკვიდრის წილის პროპორციულად. მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილ და ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის საზღაური გამოიანგარიშება მხოლოდ ქონების იმ ნაწილის ღირებულებიდან, რომელზეც გაიცემა სამკვიდრო მოწმობა (ღირებულება დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით). ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები მოცემულია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლში.

უძრავ ნივთებზე სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ მემკვიდრემ უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და, აღნიშნული მოწმობის საფუძველზე, დარეგისტრირდეს სამკვიდროში მისი წილის მესაკუთრედ. მემკვიდრე საჯარო რეესტრის სამსახურში ავსებს განცხადებას და იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს 7 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონი "მიწის ნაკვეთისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების სახელმწიფო სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ", მუხლი 7, პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი). 10 დღის შემდეგ იგი კიდევ ერთხელ ეწვევა საჯარო რეესტრის სამსახურს, რომელიც მას აძლევს ამონაწერს საჯარო რეესტრიდან. ამ დღიდან იგი ხდება მემკვიდრეობით მიღებული ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე.

### გადასახადი მემკვიდრეობითი ქონების მიღებისათვის

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს გადასახადს მემკვიდრეობის მიღებისათვის, რომელიც შეადგენს მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულების 30%-ს. მემკვიდრეობით ქონების მიმღებმა გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც მას მისცემს ცნობას იმის შესახებ, რომ მან ნამდვილად გადაიხადა ეს გადასახადი. აღნიშნული ცნობა-დეკლარაცია მემკვიდრეობის გადასახადის გადახდის შესახებ,პირმა, სამკვიდრო მოწმობასთან ერთად, უნდა წარადგინოს საჯარო რეესტრში.

მემკვიდრეობის გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები, ანუ: მამკვიდრებლის შვილები,მშობლები,მეუღლე (შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და ამ უკანასკნელთა შვილები მემკვიდრეებად ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი), აგრეთვე დები და ძმები, ხოლო თუ ისინი გარდაცვლილი არიან,- დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები. გადასახადისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის პირები, რომელთა მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება არ აღემატება 50000 ლარს.

### ანდერძის შეცვლა ან მოშლა

მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი შემდეგი სამი გზით:

ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება;

სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით;

ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულებით.

### დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯამების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ:

ანდერძით ქონების გადაცემისას, ქონება მემკვიდრის საკუთრებაში გადადის მამკვიდრებლის სიკვდილის შემდეგ.

საქართველოს კანონმდებლობა ანდერძის გაუქმების შესაძლებლობას, კერძოდ, ანდერძი შეიძლება გაუქმდეს მოანდერძის სიცოცხლეში, მისი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს ახალი ანდერძის შედგენით ან სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით ან ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით, მოანდერძის ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულების საფუძველზე.

ანდერძით ქონების მიღებისას, მიმღებმა უნდა გადაიხადოს გადასახადი, თუ ის არ არის პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე ან თუ ქონების ღირებულება აღემატება 50 000 ლარს.

*მასალები მოგვაწოდა*
*გერმანიის ტექნიკური დახმარების ცენტრმა (GTZ)*
*მოამზადა სოფო ჩაჩავამ*

## თვალსაზრისი

# გრძელი და რთული გზა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისკენ

ქრისტოფ ფრანკი
უმაღლესი პროკურორი,
ქ. ფრაიბურგი

### უკრაინის წინააღმდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეზიდენტის ლუციუს ვილდჰაბერის მიერ 2002 წელს გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პოლიტიკის ზეგავლენა.Eმისივე აზრით, ეს განსაკუთრებით ზოგიერთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას ეხება. უკრაინის წინააღმდეგ 2002 წლის 25 ივლისს მიღებულმა გადაწყვეტილებამ (საქმე N 48553/99) ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საშუალება მისცა სასამართლო პროცესთან მიმართებაში დაეკონკრეტებინა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

გადაწყვეტილება სანიმუშოდ ნათელყოფს, თუ რამდენად დიდ საფრთხეშია^მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა ისეთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო უძლური აღმოჩნდა დაემკვიდრებინა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელების ტრადიცია. საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში 39 (!) ნაწილად წარმოადგინა, მოყვანილია აქ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავრწმუნდეთ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ორგანოების დაუფარავ მცდელობაში, მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების გამო ზეგავლენა მოეხდინათ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე:

მოსარჩელე, საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე რუსული სატრანსპორტო სააქციო საზოგადოება, 1997 წლამდე გახლდათ იგივე საქმიანობით დაკავებული^უკრაინული ღია ტიპის სააქციო საზოგადოების კაპიტალის 49%-ის მფლობელი. აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომაც დაადასტურა, მოხდა უკრაინული სს-ის დახურული ტიპის საზოგადოებად გარდაქმნა და სახელმწიფოს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საწესდებო კაპიტალის გაზრდით მოსარჩელის წილის 20,7%-მდე შემცირება. Aამ ცვლილებების საფუძველზე უკრაინულმა სს-მ მიიღო საზოგადოების ერთპიროვნულად მართვისა და ქონების კონტროლის უფლებამოსილება. საზოგადოების ქონების ნაწილი გაიყიდა მისი გენერალური დირექტორის მიერ ახლად დაფუძნებულ ფირმებზე. საბოლოოდ აქციონერთა კრებამ 1999 წელს საზოგადოების ლიკვიდაცია გადაწყვიტა. მოსარჩელეს არც ერთი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია.

მან ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სს-სა და მისი ადგილობრივი სამეთვალყურეო ორგანოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1997 წელს შეიტანა სარჩელი რაიონულ საარბიტრაჟო სასამართლოში. ორ ინსტანციაში სარჩელის არდაკმაყოფილების შემდეგ მოსარჩელემ უკრაინის უზენაეს სასამართლოს მიმართა. ამასობაში მოპასუხე სს-მ მიმართა უკრაინის პრეზიდენტს და სთხოვა, რომ უკრაინის ინტერესების დასაცავად საქმე პირადად გაეკონტროლებინა, რის შემდგომაც ქვეყნის პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მისცა მითითება, რომ მას დაეცვა უკრაინის ეროვნული ინტერესები.

ამ ზეგავლენის მიუხედავად უზენაესმა სასამართლომ 1998 წლის მარტში გააუქმა ორივე გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის სხვა რაიონის სასამართლოს დაუბრუნა. იმავე დღეს მოპასუხე დაუკავშირდა უკრაინის პრეზიდენტს და სთხოვა, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები საწარმოსა და უკრაინის ეროვნული ინტერესების დასაცავად.

მას შემდეგ, რაც უკრაინის ბირჟის სამეთვალყურეო ორგანომ მოპასუხის გადაწყვეტილებები კანონსაწინააღმდეგოდ სცნო, სახელმწიფოს პრეზიდენტმა პარლამენტის ერთ-ერთი წევრის მიმართვის საფუძველზე კიდევ ერთხელ მოუწოდა უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს, ეზრუნა სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე.

საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარემ მოპასუხის მხრიდან ძლიერი ზეგავლენის გამო საჯაროდ განაცხადა უარი ამ საქმის წარმოებაზე, რის შემდეგაც საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს გადაეცა. მას უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ გაუგზავნა ქვეყნის პრეზიდენტის წერილი, იმის მოწოდებით, რომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღებისას გაეთვალისწინებინა. უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილემ შემდგომ ასევე წერილობით მიმართა ამ საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს და მოუწოდა, ეს საქმე თავის "პირად კონტროლზე აეყვანა". 1998 წლის მაისში სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ წერილობით უარი თქვა მოსარჩელის მიერ შეტანილი იმ საჩივრის განხილვაზე, რომელშიც სხვა პრეტენზიებთან ერთად მითითებული იყო სასამართლოს მიერ საჯაროობის პრინციპის დარღვევაც. ასევე უშედეგო აღმოჩნდა შემდგომი გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში.

1999 წლის თებერვალში წარუმატებელი აღმოჩნდა მოსარჩელის მიმართვა უკრაინის გენერალური პროკურატურისადმი, თხოვნით, რომ მას უზრუნველეყო პროცესის კანონის ფარგლებში წარმართვა. ამავდროულად მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს, საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების გადამოწმების მიზნით გამოეყენებინა "პროტესტის" უფლება. ამ პროცესის შედეგად 2000 წლის აპრილში, იმის საფუძველზე, რომ საქმის მასალები არ იქნა საკმარისად შემოწმებული, ბირჟის სამეთვალყურეო ორგანოს პრეტენზიები არ იქნა გათვალისწინებული, დაბოლოს, გადაწყვეტილებები მოკლებულ იყო ყოველგვარ იურიდიულ დასაბუთებულობას, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა რაიონულ სასამართლოს.

ამის საპასუხოდ რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოახსენა, რომ გადაწყვეტილების გაუქმების გამო მისი სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოსამართლეთა მიკერძოებულობის საფრთხეს ქმნიდა. მისი თხოვნა სხვა სასამართლოს წარმოებაში ამ საქმის გადაცემასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ დააკმაყოფილა.

გენერალური პროკურორის მონაწილეობით სასამართლო სხდომების ჩატარებისა და მტკიცებულებების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ რაიონულმა სასამართლომ ლიკვიდირებული უკრაინული სს-ის უფლებამონაცვლეს უკანონო გადაწყვეტილების შედეგად დაკარგული ქონების ნაწილობრივი ანაზღაურება დააკისრა, მაგრამ სამეთვალყურეო ორგანოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მას შემდეგ, რაც მოპასუხემ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს თავმჯდომარეს საზედამხედველო წესით საქმის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართა, სასამართლოს აღმასრულებელმა უარი განაცხადა გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

გენერალური პროკურორის "პროტესტისა" და მოპასუხის მიერ საზედამხედველო წესით საქმის გადასინჯვის მოთხოვნის შედეგად, უფლებამოსილი სააპელაციო სასამართლოს ეკონომიკურმა პალატამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი გააუქმა. ამის საპასუხოდ მოსარჩელემ უზენაეს ეკონომიკურ სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა. სასამართლომ ეს საჩივარი 2002 წლის აპრილში პროცესის ხარჯებისათვის საკმარისი საავანსო თანხის გადაუხდელობის საფუძველზე მისი არსებითი განხილვის გარეშე მოსარჩელეს უკან დაუბრუნა. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელეს საჩივრის ხელახალი შეტანის შესაძლებლობაზე ისე, რომ არ მიუთითა იმ ვადებზე, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა დაეცვა მოსარჩელეს. მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ ხელახლა შეიტანა საკასაციო საჩივარი, სასამართლომ იგი ვადის გადაცილების გამო წარმოებაში არ მიიღო.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გამართულ პროცესზე მოსარჩელემ გამოთქვა პრეტენზია მის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით აღიარებული მოსამართლის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის, სასამართლო პროცესის ზეპირობისა და საჯაროობის პრინციპების დარღვევის, ასევე პროცესის დაუსაბუთებელი გახანგრძლივების გამო.

სასამართლო პროცესზე უკრაინის მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა არ შელახულა საქმეში უკრაინის პრეზიდენტის ჩარევით და რომ ეს უკანასკნელი კანონის ძალით ვალდებულია, მოახდინოს უკრაინის მოქალაქის განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ მის განსჯადობას განეკუთვნებიან უკრაინის სასამართლოთა მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილ იქნა 1997 წლის 11 სექტემბერს უკრაინაში ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.Aმიუხედავად ამისა, თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებების საფუძველზე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო ფართოდ გაითვალისწინა ის გარემოებებიც, რომლებსაც კონვენციის ძალაში შესვლამდე ჰქონდა ადგილი. ამ საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უკრაინის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლით გათვალისწინებული "პროტესტი" კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას, როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს,^თუ არ მოხდება გენერალური პროკურორის "პროტესტის" საფუძველზე საქმის ხელახალი არსებითი განხილვა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რამდენად ურთიერთგანსხვავებული გზითა და სისრულით ხდება უკრაინის სასამართლოების მიერ სამართლის გამოყენება და სათანადო ხელახალი შემოწმებისა და შესწავლის გარეშე ზემდგომი სასამართლოების მითითებების უგულებელყოფა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მკაცრად გააკრიტიკა უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი პირების მიერ პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის მცდელობა. ეს, მისი აზრით, აბსოლუტურად არ შეესაბამება გადაწყვეტილების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების მიერ მიღების უზრუნველყოფის პრინციპს და ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ ასევე დარღვევად იქნა მიჩნეული საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ფორმალური მიზეზების გამო, როგორიცაა საავანსო თანხის გადაუხდელობა და ვადის გადაცილება. მართალია, შიდასახელმწიფოებრივი წესები პროცესის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნას, მაგრამ ეს წესები არ უნდა იქნან ავტომატურად გამოყენებული ექსტენსიური ფორმალიზმით, არამედ კონკრეტული შემთხვევის თავისებურების შესწავლითა და გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მოსარჩელესათვის საჩივრის ხელმეორედ შეტანის ვადა წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ნათელყო, რომ ზეგავლენის ყველანაირი მცდელობა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ანდა სასამართლო იერარქიის იმ ორგანოს მხრიდან, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული საქმის წარმოებაში, წარმოადგენს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით დამკვიდრებული ძირითადი პრინციპების დარღვევას, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო პროცესის წარმოებას ეხება. ევროპის თანამეგობრობის ყველა მოქალაქის ეფექტური სამართლებრივი დაცვისა და სამართლის მიუკერძოებელი განმარტების უფლება მოიცავს აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების მიერ უზრუნველყოფილ სამართლებრივ უსაფრთხოებასაც, რომელიც დაუშვებელია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გამო.

ეს პროცესი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთულია მოსამართლეთათვის შეინარჩუნონ მიუკერძოებლობა საქმის არსისათვის შეუსაბამო პოლიტიკური ზეგავლენისა და მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან ზეწოლის პირობებში და არ დაუშვან სასამართლოს იარაღად გამოყენება.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ამ ამოცანას თავი გაართვეს, პატივისცემას იმსახურებენ.

ხოლო მათ, ვინც ზეწოლას ვერ გაუძლო, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ამგვარმა გადაწყვეტილებებმა კიდევ ერთხელ უნდა აჩვენონ, თუ რაოდენ დიდი მოთხოვნები წაეყენება მათ თანამდებობას.

*სტატია მოგვაწოდა*
*გერმანიის ტექნიკური დახმარების ცენტრმა (GTZ)*